პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 აპრილი **სამშაბათი** 2013
№082 (13 998) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომში მშვიდობა იყო?

## რობერტო მანჩინი აგუერომ გადაარჩინა




„ოლდ ტრაფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ თანაქალაქელ „სიტის“ ილებდა. მატჩამდე არსებობდა ჭორი იმის შესახებ, რომ წაგების შემთხვევაში, სტუმრების დამრიგებელ რობერტო მანჩინის კარისკენ მიუთითებდნენ. მაგრამ, იტალიელი სპეციალისტის გაგდება გადაიდო - „სიტიმ“ 2:1 მოიგო, თანაც სამივე გოლი მისმა ფეხბურთელებმა გაიტანეს: მილნერმა და აგუერომ „იუნაიტედის“ კარში, ხოლო კომპანიმ - საკუთარში.

■ ■ ■

რომაულ დერბიში, რომელშიც ნომინალური მასპინძელი „რომა“ იყო, ყველაფერი ვნახეთ: გატანილი და გაფუჭებული პენალტი, გაძევება და... ორი გოლი. „ლაციო“ ერნანესმა გაიყვანა წინ, შემდეგ მან 11-მეტრიანი ააცილა მეორე ტაიმის დებიუტში, დაახლოებით 10 წუთში კი პენალტის შესრულებისას არ შეცდა ფრანჩესკო ტოტი, რომელმაც ამ მატჩში ბოლო გოლი გაიტანა - 1:1. 70-ე წუთიდან „ლაციო“ ათი კაცით თამაშობდა - გააძევეს ბიავა.

მატჩის წინ, რომის ქუჩებს შორის გუნდების გულშემატკივრებს შორის ჩხუბი მოხდა. „გაძეტა დელო სპორტი“ წერს, რომ „რომას“ ორ და „ლაციოს“ ერთ ქომაგს დანით ჭრილობა მიაყენეს. იყო შეტაკებები ფანებსა და პოლიციას შორის, რომელმაც ცრემლსადენი აირის გამოყენება მოუწია.

9



# ჟოზე ჰიტლერია?

მადრიდის „რეალის“ გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა 30-ე ტურის მატჩის წინ პლაკატი გამოფინა, რომელშიც **ჟოზე მოურინიო ადოლფ ჰიტლერს** შეადარეს.

„ლევანტესთან“ მატჩის წინ სტადიონის ერთ-ერთ შესასვლელთან გულშემატკივრებს დახვდათ ეს პლაკატი: „ჰაილ მოუ“. პლაკატზე გერმანიის ნაციონალ-სოციალიზმის ლიდერის და მოურინიოს კარიკატურებია გამოსახული.

სხვათა შორის, ამ პლაკატმა ესპანეთშიც და დანარჩენ მსოფლიოში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „რეალის“ ფანებს შორის.




## ქეცბაია მზეზე

# ნავალ, როცა შანსი გაქრება



გუშინ, ტელეკომპანია „მზის“ ეთერში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია ქართველი ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხობდა. უამრავი თემისგან შემდგარი კითხვა-პასუხის ბოლოს, ქეცბაიამ ერთი საგულისხმო განცხადება გააკეთა: როგორც კი საქართველოს ნაკრები შესარჩევი ტურნირის მსვლელობისას ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს დაკარგავს, ქართველთა მწვრთნელი მაშინვე დატოვებს დაკავებულ პოსტს.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2016-ზე მოხვედრის შანსი გაცილებით მაღალია, რადგან ფინალურ ეტაპზე 24 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას, თუმცა ჯერჯერობით ცნობილი არ არის კვალიფიკაციის ფორმატი. იმედია, მომავალი შესარჩევი ციკლი საქართველოს ნაკრებისთვის ისე განვითარდება, რომ არც ჩვენ დაგვჭირდება ქეცბაიასთვის გუშინდელი განცხადების შეხსენება და არც მას გაახსენდება თავისი ნათქვამი...



## ლევან კობიაშვილი:

# გამოსათხოვარ მატჩს თავად გავმართავ!

„გამომიძახებს თუ არა, ეს მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია. ამის გამო პრეტენზია არასდროს მქონია, თუმცა იმას მაინც ვიმსახურებდით, ეთქვათ, რომ ნაკრებს აღარ ვჭირდებით და გულშემატკივართან გამომშვიდობების შესაძლებლობა გვქონოდა“, - სფფ-ის განცხადება სწორედ ლევან კობიაშვილის ამ სიტყვებს მოჰყვა.

თუმცა 35 წლის ფეხბურთელი ამბობს, რომ გამოსათხოვარ მატჩს საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ თავად გამართავს.

„მინდა, კიდევ ერთხელ ვთქვა: გაცილების მატჩის ან მსგავსი ღონისძიების ჩატარება არასოდეს მომითხოვია. უბრალოდ, გულისტკივილი და სურვილი გამოვხატე, რომ დამსახურებულ ფეხბურთელებს მომავალში მაინც დაემშვიდობონ ღირსეულად.

სფფ-ს კი დიდ მადლობას ვეუბნები განცხადებისთვის, რომელშიც ვეტერანებისადმი პატივისცემასა და დაფასებას რამდენიმე თბილი სიტყვით გამოხატავენ.

ჩათვალონ, რომ ჩემგან მათი ეს განცხადება და თანადგომა მიღებულია... რაც შეეხება განცხადებაში ნახსენებ ნოემბერში გასამართ მატჩს, თუ საჭიროდ ჩათვლიან, შეუძლიათ ჩაატარონ.

თუმცა ვიმეორებ - არც ვალდებულნი არიან, ასეთი შეხვედრის ჩატარება არც მითხოვია და არც მჭირდება...

როცა საფეხბურთო კარიერას დავასრულებ, გამოსათხოვარ მატჩს თავად გავმართავ ჩემი ორგანიზებითა და სახსრებით!“ - განაცხადა კობიაშვილმა.



**ლელოს ხვალინდელ ნომერში: ექსკლუზიური ინტერვიუ დინამო თბილისის პრეზიდენტთან რომან ფიფიასთან**

დინამო



ჩისკო ფოტო: www.fcdinamo.ge

# ჩისკო: ლიგაში მოხვედრა შეიძლება

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში საჩხერის „ჩიხურას“ (3:0) წინააღმდეგ „დინამოს“ რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო **ჩისკო**, რომელმაც ორი გოლი გაიტანა. ესპანელი ლეგიონერი მშვენიერ სეზონს ატარებს - 23 მატჩში უკვე 19 გოლი დაუგროვდა.

მატჩის შემდეგ, დუბლის ავტორმა "ლელოსთან" კომენტარში განაცხადა, რომ გუნდის თამაში სულ უფრო მეტ იმედებს უსახავს: *"ჩვენი მეტოქე ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი იყო და ცხადია, მასთან იოლ შეხვედრას არ ველოდით. მართალია, დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ, მაგრამ "ჩიხურა" რთული მეტოქე აღმოჩნდა და სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწია. "დინამომ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღეისთვის საქართველოში საუკეთესო კლუბია".*

ცხადია, "დინამო" წელს ჩემპიონობას უახლოვდება, მაგრამ საინტერესოა - ეს თამაში ევროპაში წარმატებული გამოსვლისთვის საკმარისი თუ იქნება?

*"მიმაჩნია, რომ წელს გუნდი აშკარად გაძლიერდა, წინა პერიოდთან შედარებით, უკეთაც გამოიყურება და ევროპულ სარბიელზე უფრო წარმატებული გამოსვლის იმედი უნდა გვქონდეს. თუ ასე გავაგრძელებთ, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაშიც მოვხვდეთ, რადგან გუნდს წინსვლის პოტენციალი აშკარად აქვს"* – ამბობს თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი ლიდერი.

**მერაბ მამულაშვილი**

დილა

## ირაკლი მოდებაძე:

# ქულის დაკარგვას აღარ გვეპატიება

გორის "დილა" შოკშია. ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ამასწინათ, თბილისში "დინამოს" ფრე ეთამაშა და კონკურენტთან ჩამორჩენის გასაბათილებლად გორის შეხვედრისთვის ემზადებოდა.

როგორც ჩანს, **ვალდას ივანაუსკასის** გუნდი შეცდომაში სწორედ "დინამოზე" სწორებამ შეიყვანა - გორელებს გამორჩათ, რომ **გია გეგუჩაძის** "ტორპედოც" არ არის საჩუქარი და საკუთარ სტადიონზე მტკივნეული მარცხი ინვნიეს - 1:2. **გიორგი ბერიაშვილის** დუბლს "დილამ" მხოლოდ **ირაკლი მოდებაძის** გოლით უპასუხა, რაც მატჩის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა. ახლა, გორელები 60-ქულიან "დინამოს" მთელი ოთხი ქულით ჩამორჩებიან და მათი საჩემპიონო ამბიციებიც საკმაოდ საეჭვო გახდა.

"დილას" ერთ-ერთ ლიდერს ირაკლი მოდებაძეს წაგების მიზეზებზე დავეკითხეთ: *"ვერ ვიტყვი, რომ სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრის მნიშვნელობა ვერ გავაცნობიერეთ, მაგრამ ჩვენი უშუალო კონკურენტი "დინამოა" და შესაძლოა, ამის გამო, ქუთაისელებთან სრული მობილიზება ამიტომ ვერ შევძელით, მეტოქე სათანადოდ არ შევაფასეთ და ფსიქოლოგიურად კარგად ვერ მოვემზადეთ. კონცენტრაცია დასაწყისშივე დავკარგეთ, რითაც "ტორპედომ" ისარგებლა და ორი ბურთი გაგვიტანა. ამ წაგებაზე ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ.*

*ვფიქრობ, მომხდარს ჩვენი მწვრთნელიც კარგად გააანალიზებს და მოთამაშეებიც საკუთარ შეცდომებს გადავხედავთ. საჩემპიონო შანსები ჯერ არ დაგვიკარგავს. "დინამოს" 4 ქულით ჩამოვრჩებით, დარჩენილ 6 ტურში კი დაწევა შესაძლებელია. მთავარია, დარჩენილ შეხვედრებს მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ. ახლა "დილას" ქულის დაკარგვის უფლებაც არ აქვს. შევეცდებით, მომავალში იგივე აღარ განმეორდეს. თორემ, კიდევ ერთი წაფორხილება ძალიან ძვირად დაგვიჯდება".*

გამოცდილი მოთამაშე გორის "დილას" მომავალზეც ლაპარაკობს: *"ნებისმიერ შემთხვევაში, წელს "დილას" არსებობის ისტორიაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა. ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო, უძლიერესი შემადგენლობა შეიკრიბა, რომელმაც საქართველოს თასი მოიგო, ახლა კი ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. მაგრამ ჯერ ზუსტად არ ვიცით, მომავალ სეზონში "დილას" რა ბედი ელის - შევინარჩუნებთ შემადგენლობას თუ გუნდი ამბიციებს დაკარგავს. „დილას" დასუსტდება გულდასაწყვეტი იქნება. მიმაჩნია, რომ მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის იქნება მნიშვნელოვანი, თუ თბილისის "დინამოს" სერიოზული კონკურენტი ეყოლება. ერთგუნდიანი ჩემპიონატი ფეხბურთს არაფერს არგებს. ასე იყო ადრე და ძალიან არ მინდა, ახლაც იგივე განმეორდეს.*

*საამისოდ, მომდევნო სეზონისთვის ფინანსური საკითხების გადაჭრაა საჭირო. სეზონის დასრულებამდე პრობლემები არ იქნება, საკითხავია - მერე რა მოხდება. იმედია, გორის ხელმძღვანელობა "დილას" ძველებურად მიხედავს და პროგრესს არ შეაჩერებს. ეს გუნდი 2-3 წელიც რომ შეინარჩუნონ, დარწმუნებული იყავით - ქალაქსა და ქვეყანას ევროპაშიც არ შევარცხვენთ".*

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი მოდებაძე თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველოს თასი. დინამო-გურიას წინ

# დინამო მაინც დინამოა, მაგრამ...

## მიხეილ კაკალაძე: ჩემში რაღაც-რაღაცები გავაცოცხლე

პირველი ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა - ლანჩხუთის „გურიამ“ მიმდინარე სეზონში ერთი სენსაცია უკვე მოახდინა - დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალიდან საქართველოს ჩემპიონი „ზესტაფონი“ გამოთიშა. მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში „გურიამ“ ლანჩხუთში 0:0 ითამაშა „დინამო თბილისთან“, ხვალ კი საპასუხო მატჩია.

„გურიაში“ არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, ერთ-ერთი მათგანია 30 წლის თავდამსხმელი მიხეილ კაკალაძე.

გახსოვთ 2004 წელი? მაშინ „დინამო თბილისი“ უეფას თასის ჯგუფში გავიდა და იმ წარმატების ერთ-ერთ შემოქმედი კაკალაძეც იყო. ახლა კი ამ ფორვარდს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უწევს თამაში.

კაკალაძეს გუშინ ლანჩხუთში შევეხმიანეთ...

**- რა ხდება ლანჩხუთსა და „გურიაში“? როგორ ემზადებით? იგრძნობა თუ არა აჟიოტაჟი?**

- ჩვეულებრივად ვემზადებით, ისე, როგორც ნებისმიერი ოფიციალური თამაშის წინ. მაქსიმუმს გავაკეთებთ, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება. აჟიოტაჟს რაც შეეხება, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლანჩხუთიდან საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჩავა თბილისში. ზოგი ორგანიზებულად მიემგზავრება სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტით, ზოგიც კი საკუთარი საშუალებით.

**- ბანალური კითხვა: შანსებს როგორ შეაფასებდი?**

- თბილისის „დინამოს“ ვეთამაშებით და ვფიქრობ, შანსები 70/30-ზეა „დინამოს“ სასარგებლოდ.

**- „ზესტაფონთან“ დაპირისპირების წინ როგორ აფასებდი საკუთარი გუნდის შანსს?**



მიხეილ კაკალაძე

- მაშინაც ასე ვაფასებდი „ზესტაფონის“ სასარგებლოდ, რადგან უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ მოწინავე გუნდს ვხვდებოდით. ორივე მატჩი „ზესტაფონის“ უპირატესობით წარიმართა, თუმცა ჩვენმა მონდომებამ შედეგი გამოიღო, კონტრშეტევებზე ავაგეთ თამაში და გავიმარჯვეთ.

**- შანსებზე ლაპარაკით ისე ხომ არ ჩანს, რომ „გურიასთვის“ „დინამოს“ დამარცხება თითქმის წარმოუდგენელია...**

- ჩემი პროგნოზი იმას არ ნიშნავს, რომ „დინამოს“ რამეს დავუთმობთ. ლანჩხუთში გამართულმა შეხვედრამ დაგვანახვა, რომ წარმატების მიღწევა შეუძლებელი სულაც არ არის, პირველმა მატჩმა სტიმული მოგვცა.

**- იყო დრო, „დინამოს“ ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი იყავი. მერე რა მოხდა, რატომ ვერ წაიწია წინ მიხეილ კაკალაძე?**

- ჯერ ტრავმა, შემდეგ უსიამოვნება „დინამოს“ მაშინდელ ხელმძღვანელობასთან - ტრანსფერის რაღაც ვარიანტები იყო და დამიმალეს... მერე „დინამოში“ ახალი მწვრთნელი, ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, ველარ აეწყო იქ ჩემი საქმე...

**- „დინამოდან“ რომ წახვედი, რამდენიმე წლის შემდეგ ხელმეორედ გაგიჩნდა კარგი შანსი...**

- „ზესტაფონში“ გია გეგუჩაძემ მიმიწვია, მაგრამ ორი წელი უთამაშებელი ვიყავი და ხუთ თვეში ვერ მოვახერხე ფორმის აღდგენა, ჰოდა, მე თვითონ დავტოვე „ზესტაფონი“...

**- უცხოეთშიც სცადე ბედი...**

- დიახ, უზბეკურ „ბუხარაში“ ვიყავი სამი თვე, შემდეგ სამშობლოში დავბრუნდი, ჯერ ქობულეთის „შუქურაში“ მივედი და იქიდან გადავედი „გურიაში“.

**- ახლა ხარ ისეთ კონდიციაში, როგორიც 2004 წლის „დინამოში“ იყავი? დრიბლინგი, თამაშის გამწვავება - ისევ ასეთია კაკალაძე?**

- თავს ნორმალურად ვგრძნობ, მოედანზე, ალბათ, ურიგოდ არ გამოვიყურები.

**- „დინამოსთან“ პირველ მატჩში საკუთარი თავით რამდენად კმაყოფილი დარჩი?**

- მარცხნიდან ვითამაშე, ისე კი ხანდახან ცენტრალური თავდამსხმელიც ვარ. რეალური საგოლე მომენტები ჩვენ უფრო გვქონდა, ვიდრე „დინამოს“. გიორგი ლორიამ კარგი ბურთი ამილო, გიგა კვერენჩხილაძის დარტყმა ძელს მოხვდა... ვფიქრობ, რომ ჩემში რაღაც-რაღაცები გავაცოცხლე. კიდევ შეგძლებია კარგად თამაშიო - ასე მითხრეს მატჩის შემდეგ გულშემატკივრებმა.

**- იყო დრო, ბევრ ქართულ გუნდს რომ ჰქონდა „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშის შიში. ახლა რა ხდება ამ მხრივ?**

- თბილისის „დინამო“ – ეს სიტყვები მაინც იწვევს რაღაც რიდს... ვისაც უმაღლეს ლიგაში თამაშის კარგი გამოცდილება არ აქვს, მათთვის „დინამოსთან“ თბილისში თამაში მაინც რთული იქნება. „დინამო“ მაინც „დინამოა“. როგორც უნდა იყოს, ჩვენგან უკან დახევა გამორიცხულია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დასაკარგი არაფერი გვაქვს და თუ გოლის გატანა მოვახერხეთ, ნებისმიერი ფრე ჩვენს სასარგებლოდ იქნება.

**დავით თავართქილაძე**

სტუმარი



ოლივერ იაროში

# რუმენიგემ კატი თბილისშიც გამოუშვა

თბილისში რამდენიმე დღით იყო ჩამოსული ევროპის კლუბების ასოციაციის (ECA) წარმომადგენელი **ოლივიერ იაროში.** ამ ორგანიზაციაში საქართველოდან სამი კლუბია გაწევრიანებული: „დინამო თბილისი“, „ვიტ ჯორჯია“ და „ზესტაფონი“. ჟენევიდან ჩამოსული სტუმარიც ამ კლუბების წარმომადგენლებს შეხვდა.

ევროპის კლუბების ასოციაცია საკმაოდ სოლიდური ორგანიზაციაა, რომლის პრეზიდენტიც **კარლ-ჰაინც რუმენიგე** გახლავთ. ECA ფაქტობრივად G14-ის ბაზაზე შეიქმნა და ბევრი მნიშვნელოვანი საქმეც გააკეთა - უეფამ თითქმის ყველა ის პროექტი განახორციელა, რომლის თანაავტორი ევროპის კლუბების ასოციაცია გახლდათ.

ქართული კლუბებისთვის ECA-ის საქმიანობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, მაგალითად, ამ ორგანიზაციის შუამდგომლობით უეფამ გაზარდა სოლიდარობის ფონდი იმ კლუბებისთვის, რომლებიც ვერ ხვდებიან ევროტურნირების ჯგუფურ ეტაპზე ან საერთოდ ვერ მონაწილეობენ ევროსარბიელზე.

ECA ამ ეტაპზე ფიფასთან და უეფასთან იმაზეც მუშაობს, რომ კლუბებს დამატებითი შემოსავლები გაუჩნდეთ. ECA-ის ძალისხმევით კლუბები ფიფასგან და უეფასგან იღებენ თანხას იმის მიხედვით, მათი ფეხბურთელები რამდენ მატჩს ჩაატარებენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ახლა კი ECA იმასაც ცდილობს, რომ კლუბებმა მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებში მათი მოთამაშეების გაშვებისთვისაც მიიღონ თანხები.

იაროშის ვიზიტი საქართველოში პირველი იყო. ეს ორგანიზაცია რეგიონალურ თავყრილობებსაც აწყობს და არ არის გამორიცხული, მალე თბილისშიც გაიმართოს აღმოსავლეთ ევროპის კლუბების შეხვედრა ECA-ის ეგიდით.

**დავით თავართქილაძე**

ფუტსალი

# სპარინგი აზერბაიჯანში

საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრებში სენსაცია არ მომხდარა. კვლავ დაუმარცხებელია "იბერია სტარი", რომელმაც ამჯერად მეორეადგილოსანი "სოკარი" დაამარცხა. ამ უკანასკნელს „სტუ თელასი" გაუთანაბრდა, ხოლო მეორე ადგილზე თსუ გადავიდა.

შემდეგი ტურის მატჩები 10-13 და 17-20 აპრილს გაიმართება, მაგრამ "იბერია სტარმა" უკვე პაუზა აიღო და 11 მაისამდე ეროვნულ ჩემპიონატში არ ითამაშებს. 26-28 აპრილს, საქართველოს ჩემპიონს უეფას თასის „ოთხთა ფინალის“ მატჩები ელის.

გუშინ "იბერია სტარი" მატარებლით აზერბაიჯანში გაემგზავრა, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს აზერბაიჯანის საუკეთესო გუნდთან, ევროპის ერთ-ერთ გრანდ ნახიჭევანის "არაზთან". „ოთხთა ფინალამდე“ ეს სპარინგები ჩვენს ჩემპიონს უდავოდ წაადგება - "არაზი" ხომ ორჯერ იყო „ოთხთა ფინალის“ მონაწილე და საკლუბო რეიტინგში "იბერიას" დღესაც უსწრებს. საქართველოს ჩემპიონის მეტოქე აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია და კონკურენტ "ეკოლს" 10 ქულით უსწრებს. გუნდის ბირთვს აზერბაიჯანელები შეადგენენ.

"იბერიას" მენეჯერის, **გიორგი დარჯანიას** თქმით, შეხვედრები 10 და 11 აპრილს ბაქოში გაიმართება, საქართველოში კი გუნდი 12 აპრილს დაბრუნდება და მზადებას თბილისში გააგრძელებს.

ამასობაში, ფინალის მონაწილე ალმატის "ქაირათი" ზედიზედ მეათედ გახდა ყაზახეთის ჩემპიონი. გუნდმა გადამწყვეტ შეხვედრაში თანაქალაქელი ცსკა 13:5 დაამარცხა. ალმატელებმა ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ წააგეს და ამავდროულად, ქვეყნის თასსაც დაეუფლნენ.

ასევე ქვეყნის ჩემპიონი გახდა „ოთხთა ფინალის“ ფავორიტი "ბარსელონაც". კატალონიელებმა ტიტული ტურნირის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე გაინაღდეს.

უეფას თასის ნახევარფინალში "იბერიას" მეტოქე - მოსკოვის "დინამო" რუსული სუპერლიგის ლიდერია – 18 ტურში 16 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება. მოსკოველებს 48 ქულა აქვთ, უშუალო კონკურენტს, **ბესო ზოიძისა** და **ზვიად კუპატაძის** "გაზპრომ-იუგრას" 11 ქულით უსწრებენ.

**იბერია სტარი–სოკარი 4:1**

**გოლები:** აუგუსტო (2), რაფა, ლუსიო – ტიკურიშვილი

**თსუ — ბურჯი 7:0**

**გოლები:** თოფურია (2), სიგუნავა (2), ქანუყვაძე, კაკაბაძე, ჯაფარიძე

**GIEC - სტუ თელასი 1:11**

**გოლები:** კავთელაძე - ცხომარია (3), ბოკერია (3), ცნობილაძე (2), ასათიანი (2), სოზაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 12 | 12 | 0 | 0 | 99-18 | 36 |
| 2. თსუ | 9 | 7 | 0 | 2 | 61-24 | 21 |
| 3. სოკარი | 11 | 6 | 0 | 5 | 68-36 | 18 |
| 4. თელასი | 9 | 6 | 0 | 3 | 46-25 | 18 |
| 5. GIEC | 13 | 2 | 0 | 11 | 38-90 | 6 |
| 6. ბურჯი | 12 | 0 | 0 | 12 | 21-140 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**



ლეგიონერები

# კობიაშვილი მალე ისევ ბუნდესლიგაში აღზევდება

რუსეთის პრემიერლიგაში **აკაკი ხუბუტიას** "მორდოვიამ" "კრასნოდარს" უმასპინძლა და 0:0-ს დასჯერდა. მასპინძელთა ქართველმა მცველმა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. გამარჯვების შემთხვევაში, "მორდოვია" გასავარდნ ზონას დატოვებდა, ახლა კი 16-გუნდიან პრემიერლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა და პლეი ოფის ზონაში მყოფ "კრილია სოვეტოვს" ქულით ჩამორჩება.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში მოასპარეზე არაერთი ქართველისგან განსხვავებით, ხუბუტიამ სარანსკელთა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი მყარად დაიმკვიდრა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ბერლინის "ჰერტამ" ბრაუნშვაიგის „აინტრახტს“ უმასპინძლა და 3:0 გაანადგურა. **ლევან კობიაშვილმა** დედაქალაქელთა შემადგენლობაში სრულად ითამაშა. ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის შემდეგ ვეტერანმა ქართველმა "ჰერტას" ძირითად შემადგენლობაში ადგილი მყარად დაიბრუნა და იმედია, მომავალ სეზონში პირველი ბუნდესლიგის რეკორდსაც მოხსნის. შეგახსენებთ, კობიაშვილს აქვს იმის რეალური შანსი, რომ პირველ ბუნდესლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ლეგიონერთა შორის ლიდერი გახდეს.

"ჰერტას" პირველ ბუნდესლიგამდე თითქმის ალარაფერი აშორებს – 62 ქულა აქვს და სრულიად შესაძლებელია, ელიტაში დაბრუნება შემდეგ ტურშივე გაინაღდოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დავით ბობოხიძე შესარჩევში საუკეთესოა

## ულამაზესი გოლის ავტორიც ქართველია

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატს ჰოლანდიაში გამართულ ელიტრაუნდზე დაემშვიდობა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ციკლს უკვალოდ არ ჩაუვლია და მცირე წარმატებებით თავს მაინც მოვიწონებთ.

ელიტრაუნდის შეხვედრები ყველა ჯგუფში დასრულდა და ცნობილი გახდა, რომ 9 გოლით შესარჩევი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი ჩვენი ნაკრების ლიდერი **დავით ბობოხიძე** გახდა, ხოლო უეფამ **მურთაზ კაკაბაძე** ყველაზე ლამაზი გოლის ავტორად აღიარა.

ჯერ კაკაბაძეზე ვთქვათ: დიდი ხანია, რომ თბილისის "ამერის" მოთამაშე ფუტსალში გადაბარგდა და წარმატებით თამაშობს (ამჟამად თსუ-ს ფეხბურთელია). რაც შეეხება მის გოლს (ვიდეო იხილეთ Sportall.ge-ზე), ბელარუსთან შეხვედრის მე-11 წუთზე კაკაბაძემ ბურთი საკუთარ ნახევარზე მიიღო და მარცხენა ფლანგიდან მეტოქის კარისკენ დაიძრა. ცენტრამდე არმისულმა ისე ძლიერად დაარტყა, ბელარუსების მეკარე **არტურ ნოვოიჩიკმა** რეაგირება ვერ მოახერხა და ბურთი მხოლოდ "ცხრიანში" დაინახა. ასეთი გოლები ფუტსალში იშვიათობაა და ქართველ მოთამაშეს დაუფასდა კიდეც.

დავით ბობოხიძე კი 28 წლისაა, თავდამსხმელი გახლავთ და ეროვნულ ჩემპიონატში ასევე თბილისის თსუ-ს ღირსებას იცავს. სხვათა შორის, ელიტრაუნდში ამ გუნდის შვიდმა ფეხბურთელმა ითამაშა.

საქართველომ ორ შესარჩევ ეტაპზე იასპარეზა და ბობოხიძემ ჯამში ცხრა გოლი გაიტანა, აქედან ორჯერ მან პოკერის შესრულება მოახერხა, არადა, ელიტრაუნდში ის ტრავმით თამაშობდა.

სწორედ ამიტომ იყო, თბილისში დაბრუნებულმა "ჯვაროსნების" მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა,** პრესკონფერენციაზე ბობოხიძეს განსაკუთრებული მადლობა რომ გადაუხადა. თავად ფეხბურთელმა კი გვითხრა, რომ ტკივილები კვლავ ძალიან აწუხებს და ცხადია, საკუთარი ფულით უნდა იმკურნალოს. ფუტსალელები ხომ პირობებით განებივრებულები არ არიან და აქ დაზღვევაზე ლაპარაკი უადგილოა.

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# რატომ არ არის ქართველი თანარეკორდსმენი?



ნიკა ქუთათელაძე

ცოტა ხნის წინათ, "ლელო" წერდა, რომ „ბარსელონას“ (2003 წელს დაბადებულები) მოთამაშემ ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა. კატალონიელ ბიჭუნას ამისთვის მხოლოდ 5 წამი დასჭირდა.

თუმცა, საფეხბურთო მენეჯერი **სერგო ქუთათელაძე** ამტკიცებს, რომ მისი ვაჟი თანარეკორდსმენია და შესაბამისი კადრებიც წარმოგვიდგინა. **ნიკა ქუთათელაძე** 12 წლისაა და მეორე წელია, ცნობილი ფრანგული კლუბის - "ლილის" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობს. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. შარშან, ნიკა ევროპის საბავშვო ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მისი ვიდეოკლიპების ნახვა დაგარწმუნებთ, რომ მართლა ნიჭიერი ბავშვია.

სერგო ქუთათელაძის თქმით, ორი წლის წინათ, ნიკამ ჩეხეთის ჩემპიონატში "ბოჰემიანსის" კარი მეხუთე წამზე აილო. მაშინ 10 წლის იყო და პრალის "სპარტას" აკადემიაში ვარჯიშობდა.

ნიკა ქუთათელაძე საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების პირველ შეკრებაზეა გამოძახებული. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორღალიძე** გახლავთ.

**მერაბ მამულაშვილი**



ბურთით დავით ბობოხიძე

# დინამო და ჩისკო: რეკორდების დევნაში

თბილისის „დინამომ“ უახლოეს მდევართან სხვაობა ოთხ ქულამდე გაზარდა, „ტორპედომ“ მესამე ადგილი დაიბრუნა, „ზესტაფონის“ საევროპე შანსები კიდევ უფრო შემცირდა, ქვედა ექვსეულში დაქვეითების საფრთხე ერთდროულად ხუთ გუნდს ემუქრება, — აი, ასეთი სიტუაცია დაგვიტოვა გასულმა ტურმა. ისე, ერთი შეხედვით, უხვგოლიანი ტური არ ყოფილა: ორივე ექვსეულში 6 მატჩი ჩატარდა და მხოლოდ 10 გოლი გავიდა, თუმცა ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე სუპერ-შედეგიანობა უფრო იქნებოდა გასაკვირი; ჰო, ახლა ხომ გუნდების უმრავლესობისათვის უმთავრესი შედეგზე თამაშია, თუმცა თბილისის „დინამო“ და ამ გუნდის ესპანელი ლიდერი ჩისკო ახალ-ახალ რეკორდებს უტევენ და XXVI ტურის მიმოხილვაც სწორედ ამით გვინდა დავიწყოთ.


„ჩიხურასთან“ მატჩში ჩისკომ (№28) გოლები კოტოს და მერებაშვილის პასებით გაიტანა ფოტო: www.fcdinamo.ge

## დაუნდობელი მასპინძელი

ამ ჩემპიონატში „დინამომ“ 18 მატჩი მოიგო და აქედან ნახევარზე მეტი — დიდი ანგარიშით! ჰო, მართლაც არ არის პატარა ამბავი, როცა ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონში გუნდი 11-ჯერ გაიმარჯვებს 3 და მეტი ბურთის სხვაობით. თანაც, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ **დუშან უჰრინის** გუნდს „ნამეტნავად უყვარს“ 3:0-ით გამარჯვება — ასეთი ანგარიშით „დინამომ“ ჩემპიონატში უკვე 6 მატჩი მოიგო! აქვე, ბარემ ისიც ვახსენოთ, რომ „დინამომ“ სამჯერ მოიგო ბევრად უფრო შთამბეჭდავი სხვაობით (5:0), თითო-თითოჯერ კი 5:2 და 7:2...

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: საშინაო მატჩებში „დინამოს“ თითქმის 100-პროცენტიანი შედეგი აქვს (13 მოგება, 1 ფრე და არც ერთი წაგება) და სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს კიდეც მნიშვნელოვნად ამ გუნდის ლიდერობას. აი, რაც შეეხება საგარეო შეხვედრებს, ამ მხრივ „დინამოს“ სატრაბახო არაფერი აქვს და ერთდროულად სამ გუნდს ჩამორჩება: „დილას“, „ტორპედოსა“ და „ჩიხურას“.

## შთამბეჭდავი ჩისკო

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში გამორჩეულ ბომბარდირებზე ვისაუბრეთ და ის ტენდენციაც ვახსენეთ, წლიდან წლამდე რომ კლებულობს ჩვენთან საშუალო შედეგიანობა. არც ის დაგვიწყნია, რომ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობას 20 ან ოდნავ მეტი გოლი რომ ჰყოფნის-ხოლმე; არადა, დრო იყო, **მერაბ მეგრელაძე** და **ოთარ კორღალიძე** საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები შესაბამისად, 41 და 40 გოლით ხდებოდნენ! ეგ კი არა, 1994 წლის მერე ჩვენს ჩემპიონატში 30 გოლი არავის გაუტანია (1993-94 წლების სეზონში საუკეთესო ბომბარდირი მერაბ მეგრელაძე გახდა 31 გოლით) და აი, ამხელა პაუზის მერე კვლავ გაჩნდა ამ მართლაც დიდოსტატური მაჩვენებლის გამეორების (იქნებ — გაუმჯობესებისაც) შანსი! ხვდებით, ალბათ, რომ **ჩისკოზე** ვსაუბრობთ — თბილისის „დინამოს“ 32 წლის შემტევს ამ ტურში შესრულებული „დუბლით“ უკვე 21 გოლი დაუგროვდა და დარჩენილ ექვს მატჩში კიდევ შეეცდება თავისი „მონაგარის“ გაზრდას. 30-გოლიანი ნიშნულის თუ არა, ჩისკოს სხვა მაჩვენებლის გაუმჯობესება რეალურად ხელეწიფება: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ ერთადერთხელ იყო, საუკეთესო ბომბარდირი ლეგიონერი რომ გახდა; რუსთავის „ოლიმპის“ („მეტალურგის“) ბრაზილიელმა შემტევმა **აკინომ** 2009/10 წლების სეზონში 26 გოლი გაიტანა...

და ისევ ჩისკოზე: ესპანელმა შემტევმა ამ სეზონში უკვე... მეხუთე „დუბლი“ შეასრულა (ერთხელ — „ჰეთ-თრიქი“), 13-ჯერ (ყველაზე მეტჯერ) მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში და დღესდღეობით ისეთი სიტუაციაა, რომ სეზონის ნომერ პირველ ფეხბურთელად მისი აღიარება, ფაქტობრივად, უკვე ახლავე შეიძლება!..

## სხვა გოლიადორები

გასულ ტურში კიდევ ორმა ფეხბურთელმა შეძლო „დუბლის“ შესრულება: ქუთაისის „ტორპედოს“ ცენტრფორვარდმა **გიორგი ბერიაშვილმა** ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მატჩის პირველ ოთხ წუთში „მოახერხა“ და „დილას“ კარში ორი გოლი გაიტანა! 26 წლის ბერიაშვილის ეს გოლები „ტორპედოსთვის“ უმნიშვნელოვანესი გამოდგა: **გია გეგუჩაძის** გუნდმა მესამე ადგილი ხომ დაიბრუნა, ამას გარდა, „დილასთან“ სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა. ძალიან დიდი ალბათობით, „ტორპედო“ თასის ნახევარფინალშიც უნდა ვიხილოთ, ანუ, ქუთათურებს წლეულსაც რომ ევროტურნირებზე ვიხილავთ, ესეც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, „ლელო“ ამპლუების მიხედვით საუკეთესოებს რომ გამოავლენს, „სეზონის აღმოჩენის“ ყველაზე რეალური კანდიდატი, რაღა თქმა უნდა, **საბა ლომია** იქნება: მარტვილის „მერანის“ 21 წლის თავდამსხმელმა უპრინციპულეს მატჩში („ვიტ ჯორჯიასთან“) „დუბლი“ (ამ სეზონში — მესამედ!) შესრულა და ჩემპიონატში უკვე 15 გოლი დაუგროვდა. ეგ კი არა, საუკეთესო ბომბარდირთა დავაში ლომია მესამე ადგილზეა და მხოლოდ ორ გამორჩეულ გოლიადორს, ჩისკოს და **ჯაბა დვალს** ჩამორჩება!

## ორი გუნდის მაისურით

24 წლის **ბესიკ ჩიმაკაძემ** ზამთრის პაუზის დროს გუნდი შეიცვალა და ამიერიდან უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლ ბათუმის „დინამოს“ ეხმარება; თავის ახალ გუნდში ჩიმაკაძემ 4 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა, ყოფილი კლუბის („ვიტ ჯორჯია“) მაისურით კი პირველ ეტაპზე 5 ბურთი აქვს გატანილი (დღესაც საუკეთესო მაჩვენებელია); ანუ, დიდია იმის შანსი, რომ სეზონის ბოლოს ჩიმაკაძე ერთდროულად ორი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს! სხვათა შორის, ჩიმაკაძის გარდა, ჯერჯერობით მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა შეძლო ორი სხვადასხვა გუნდის მაისურით გოლების გატანა: 32 წლის **რომან ახალკაცმა** („დილა“, „მეტალურგი“) და 28 წლის **სანდრო გურულმა** („დილა“, ბათუმის „დინამო“).

## სადებიუტო მატჩები, გოლები...

გასული ტური რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს, ალბათ, არასდროს დაავიწყდება: ფოთის „კოლხეთის“ 21 წლის თავდამსხმელმა **გიორგი ბუხაიძემ** უმაღლეს ლიგაში პირველი გოლი გაიტანა, ხოლო 23 წლის **გიორგი ბიბილეიშვილმა** („სიონი“), 19 წლის **ნოდარ იაშვილმა** („ვიტ ჯორჯია“) და 16 წლის **ზურაბ მალანიამ** უმაღლეს ლიგაში სულაც სადებიუტო მატჩები ჩაატარეს!

**გია ტუხაშვილი**

**დუბლების ჩემპიონატი. XXVII ტური**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი – სიონი | 0:2 |
| ზუგდიდი – ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| ჩიხურა – დინამო (თბ) | 2:4 |
| დილა – მერანი | 0:1 |
| ტორპედო – დინამო (ბთ) | 4:1 |
| მეტალურგი – კოლხეთი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 27 | 19 | 2 | 6 | 71-32 | 59 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 27 | 16 | 4 | 7 | 58-29 | 52 |
| 3. ზუგდიდი | 27 | 15 | 5 | 7 | 44-35 | 50 |
| 4. ჩიხურა | 27 | 14 | 4 | 9 | 37-32 | 46 |
| 5. ზესტაფონი | 27 | 12 | 6 | 9 | 67-50 | 42 |
| 6. მეტალურგი | 27 | 12 | 4 | 11 | 51-43 | 40 |
| 7. დილა | 27 | 11 | 6 | 10 | 39-32 | 39 |
| 8. ტორპედო | 27 | 11 | 6 | 10 | 38-32 | 39 |
| 9. კოლხეთი | 27 | 8 | 5 | 14 | 26-53 | 29 |
| 10. დინამო (ბთ) | 27 | 7 | 4 | 16 | 34-54 | 25 |
| 11. სიონი | 27 | 5 | 5 | 17 | 27-60 | 20 |
| 12. მერანი | 27 | 5 | 3 | 19 | 14-54 | 18 |

## XXVI ტურის სიმბოლური ნაკრები





დილა-ტორპედო 1:2 თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი



მანჩესტერ იუნაიტედი ოლდ ტრეფორდის სახელის გაყიდვას არ აპირებს

# ძველ-ახალი პარტნიორი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამერიკულ სადაზღვევო კომპანია AON-თან 120 მილიონ ფუნტად (141 მლნ ევრო) ღირებული 8-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც: 1. 2013 წლის 1 ივლისიდან კერინგტონის საწვრთნელ ბაზას სახელად AON-ის საწვრთნელი კომპლექსი დაერქმევა. 2. კომპანიის ლოგოტიპი განთავსდება გუნდის საწვრთნელ ფორმაზე 3. AON გახდება „იუნაიტედის“ უცხოური ტურნეების ოფიციალური პარტნიორი. როგორც კონტრაქტით ირკვევა, მხარეთა შორის თანამშრომლობის მიზანია ახალგაზრდა ტალანტების ხელშეწყობა, კლუბის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, რისკების მართვა, საპენსიო პროგრამების უზრუნველყოფა, გლობალური პარტნიორული პროგრამების საშუალებით ანალიტიკური ინფორმაციის შეგროვება და ასე შემდეგ.

„იუნაიტედსა“ და ამერიკულ კომპანიას შორის თანამშრომლობა დიდი ხანია დაწყებულია. აქამდე ოკეანისგაღმელები „ეშმაკების“ სატიტულო სპონსორები იყვნენ. 2014/15 წლების სეზონიდან AON-ს ამერიკული „შევროლე“ ჩაანაცვლებს, ვისთან გაფორმებული 7-წლიანი ხელშეკრულებითაც კლუბი 357 მილიონ ფუნტს (419 მლნ ევრო) მიიღებს. ეს მაშინ, როცა AON-ს 4-წლით სატიტულო სპონსორის სახელი 84 მილიონი ფუნტი დაუჯდა. პრესაში გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლო იყო, კლუბს სტადიონის დასახელების გაყიდვაზეც ეზრუნა, თუმცა „იუნაიტედის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ედ ვუდვორდმა**, ვინც მომდევნო სეზონიდან აღმასრულებელი დირექტორის **დევიდ გილის** ადგილს დაიკავებს, მოვლენათა ამგვარი განვითარება გამორიცხა. უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში ეს „იუნაიტედის“ მიერ გაფორმებული მე-5 სასპონსორო ხელშეკრულებაა.

სანდერლენდი

# უარი ალკოჰოლს

„სანდერლენდში“ **პაოლო დი კანიოს** გამოჩენამ ამ კლუბის მიმართ პრესის ყურადღება გააათმაგა. „ჩელსისთან“ სადებიუტო შეხვედრის წაგების შემდეგ 44 წლის იტალიელმა განაცხადა, რომ არ ეშინია იმ განსაცდელის, რაც წინ უძევს, რადგან საკუთარ თავს... ძლიერ მწვრთნელად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კრიტიკულ სიტუაციაში ალღო არ უღალატებს. პაოლომ „ჩელსისთან“ თამაში შეაფასა და შეგირდებს კონკრეტული აკრძალვები დაუწესა, მაგალითად, ალკოჰოლზე. „დეილი მეილი“ გვახსენებს, რომ „სუინდონში“ მუშაობისას ანალოგიური მიზეზით აპენინელმა რამდენიმე ფეხბურთელი დაითხოვა.

- „ჩელსი“ იმ კალიბრის გუნდია, რომელსაც საკუთარ მოედანზე ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია ბურთის ხელში ჩაგდება და დომინირება. ამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მაღალ დონეზე ვითამაშეთ. გოლები წვრილმანი შეცდომების გამო გავუშვით და ახლა გამოსწორებაზე ვფიქრობთ. მართალია, დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს გავუმკლავდებით. არ ვაპირებ იმის თქმას, რომ „სანდერლენდი“ ამ ეტაპზე ფიზიკურად მზად არ არის, მაგრამ იმას კი არ დავმალავ, რომ საუკეთესო კონდიციებისგან შორს ვართ. ყოველ შემთხვევაში პირველიდან ბოლო წუთის ჩათვლით „ჩელსისთან“ თანასწორად თამაში ვერ შევძელით. განსაკუთრებით გაგვიჭირდა მეორე ტაიმში. უახლოესი დღეების განმავლობაში ფეხბურთელები აუცილებლად მიიღებენ საჭირო ენერგიას. რასაკვირველია, რთულია მოკლე პერიოდში გუნდის ისე მომზადება, მე რომ მინდა, მაგრამ სათამაშო ფორმა გასაუმჯობესებელი გვაქვს. 24 საათი ვმუშაობთ, რომ ფეხბურთელებისთვის მაქსიმალურად იოლი გზა მოვნახოთ პრობლემის გადასაწყვეტად. მე და ჩემი ასისტენტები გუნდთან მხოლოდ რამდენიმე დღეა, ვმუშაობთ, მაგრამ უკვე ვატყობ, რომ ფეხბურთელები დადებითად განეწყვნენ ჩემი მეთოდების მიმართ. თუკი გავიგებ, რომ ჩემმა რომელიმე ფეხბურთელმა თამაშის მომდევნო დღეს ან თამაშის წინ ალკოჰოლი მიიღო, მას აუცილებლად დავაჯარიმებ. არ ვგულისხმობ ოჯახთან ერთად ერთი ჭიქა წითელი ღვინის დალევას, მაგრამ ხუთშაბათსა და პარასკევს ესეც დაივიწყეთ. იმედია, ამ აკრძალვის გამო პრობლემა არავის შეექმნება.


პაოლო დი კანიო ჩელსისთან სადებიუტო შეხვედრაში მინიმალურად დამარცხდა

დაპირისპირება

# სითი სასამართლოს მიმართავს


სითის აღმასრულებელი დირექტორი ფერან სორიანო

მიმდინარე წლის თებერვალში პრემიერლიგის კლუბები (ლაპარაკია მთლიანად პროფესიულ ლიგაზე და არა ელიტურ დივიზიონზე) ჩემპიონატის ახალ ფინანსურ წესრიგზე შეთანხმდნენ. უმაღლესი ლიგის 20-დან 15-მა წარმომადგენელმა და პროფესიული სტატუსის მქონე კლუბების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მხარი დაუჭირა იდეას, რომ 2013/14 წლების სეზონიდან მოყოლებული, თუკი რომელიმე ორგანიზაცია წლის განმავლობაში 105 მილიონის ან მეტ წლიურ ზარალს ნახავს, ის სერიოზულად უნდა დაისაჯოს. მათ შორის ქულების დაკლებითაც. ამას გარდა, იმ კლუბებს, რომელთა ფეხბურთელების წლიური ხელფასი ჯამში 52 მილიონ ფუნტს აღემატება (ამ კატეგორიაში ხვდება პრემიერლიგის 20-ივე წარმომადგენელი), ეკრძალებათ სახელფასო ფონდის გაზრდა წელიწადში არა უმეტეს 4 მილიონი ფუნტისა. „მანჩესტერ სიტის“ მესაკუთრე ყატარელ შეიხებს მიაჩნიათ, რომ საკითხის ასე დასმა არასამართლიანია და „სიტის“ იურისტებს უკვე დაავალეს სარჩელის მომზადება, რათა პრემიერლიგის გადაწყვეტილება სასამართლოს გზით გაუქმდეს. „დეილი მეილის“ ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ იმ კლუბების წარმომადგენელთა დახურული შეკრება გაიმართა, რომლებიც თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ ფინანსურ რეგულაციებს. ესენი არიან: „უოტფორდი“, „ვესტ ბრომვიჩი“, „ასტონ ვილა“, „ფულჰემი“, „საუთჰემპტონი“ და რაც მთავარია, „მანჩესტერ სიტი“. ისინი შეთანხმდნენ, რომ ერთად იმოქმედებენ მიზნის მისაღწევად. პროცესის უმთავრესი კურატორი „ქალაქელების“ აღმასრულებელი დირექტორი **ფერან სორიანო** იქნება.

ამბები

## მანჩინის ბედი ივნისში გადაწყდება


რობერტო მანჩინი

„გარდიანის“ ცნობით, „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელობა **რობერტო მანჩინის** მომავალს მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყვეტს. ასე რომ, იქამდე „ქალაქელების“ მთავარ მწვრთნელზე გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ ჭორი ან ვარაუდი იქნება. 48 წლის იტალიელს 2012 წელს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ კლუბმა 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. შესაბამისად, მანჩინის გათავისუფლება მას ძალიან ძვირი დაუჯდება. თავად იტალიელი კი წარუმატებლობების გადაბრალებას რაღაც წილად ხელმძღვანელობაზე ცდილობს. ამ დღეებში მან ზაფხულზე ჩატარებულ სუსტ სატრანსფერო კამპანიაზე ილაპარაკა. რაზეც **გარი ნევილისგან** შესანიშნავი პასუხი მიიღო, მას ეტყობა ჰგონია, რომ „იუნაიტედთან“ გასატოლებლად ყოველ წელს ფეხბურთელებში 150 მილიონი ფუნტი უნდა ხარჯოსო.

## ტევესის სასჯელი და აღიარება

„მანჩესტერ სიტის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, გულშემატკივრებს შორის ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მარტში საუკეთესო ფეხბურთელად 29 წლის **კარლოს ტევესი** დასახელდა. ამასობაში „სანმა“ სამხრეთამერიკელი სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებული საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის პროცესში გადაიღო. ორი საათის განმავლობაში კარლოსი მანჩესტერის ქუჩებს ნაგვისგან ასუფთავებდა და რაც ყველაზე საინტერესოა, „ახალ სამსახურში“ ის ოჯახის წევრებმა „პორშე პანამერას“ უძვირფასესი ავტომობილით მიიყვანეს.



ბრანისლავ ივანოვიჩი

## ივანოვიჩის პირადი რეკორდი

კვირას, „სანდერლენთან“ XXXII ტურის შეხვედრაში „შავ კატებს“ გამარჯვების გოლი **ბრანისლავ ივანოვიჩმა** გაუტანა. „ჩელსის“ 29 წლის უნივერსალი მცველი „სტემფორდ ბრიჯზე“ 2008 წლის იანვრიდან თამაშობს. 2007/08-ის სეზონში მას ჩემპიონატში ერთხელაც არ უთამაშია, მომდევნო ორ სეზონში კი გოლი არ გაუტანია, 2010/11-ში მან 4-ჯერ გამოიჩინა თავი, შარშან მის ანგარიშზე 3 ბურთი იყო და აი, მიმდინარე სეზონში მან უკვე მეხუთე გოლი გაიტანა. „ჩელსის“ საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში სერბი ფეხბურთელის თქმით, ის ინდივიდუალურ მიღწევებს ნაკლებად აქცევს ყურადღებას და იმითაც ბედნიერია, რომ მისმა გოლმა გუნდს 3 ქულა მოუტანა.

## ჩელსის ბა დააკლდება

„ჩელსის“ ვებგვერდის ცნობით, 27 წლის სენეგალელმა თავდამსხმელმა **დემბა ბამ** „სანდერლენდთან“ შეხვედრის პირველ ტაიმში **კრეიგ გარდნერთან** შეტაკებისას კოჭ-წვივის სახსრის ტრავმა მიიღო და მოედანს გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა. ექიმებს ფეხბურთელის ტრავმის სირთულე ჯერ არ დაუდგენიათ. საბოლოო პასუხი მხოლოდ ტომოგრაფიის შემდეგ გახდება ცნობილი. **რაფა ბენიტესის** შეგირდთაგან ლაზარეთში იმყოფებიან **ეშლი კოული, გარი კეჰილი** და **ორიოლ რომეუ**.

## ვესტ ბრომვიჩმა გადაწყვიტა


მარკუს როზენბერგი

„ვესტ ბრომვიჩმა“ **მარკუს როზენბერგსა** და მის აგენტს უკვე სთხოვა, რომ მომდევნო სეზონისთვის ახალი კლუბის ძებნა დაიწყონ, რადგან **სტივ კლარკს** 30 წლის თავდამსხმელის სამსახური აღარ სჭირდება. შვედი „ჰოუტორნსზე“ „ვერდერიდან“ 2011 წლის ზაფხულზე გადავიდა. მას კარგი დებიუტიც გამოუვიდა, მაგრამ მერე და მერე მოუკლო, წელს კი ერთი გოლიც არ გაუტანია. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება 2015 წლის ივლისში იწურება. „ვესტ ბრომვიჩი“ მზად არის ის 2 მილიონ ფუნტად დათმოს.

## დაბრუნება 11 წლის შემდეგ

**მეთ ლე ტისიემ** მთელი პროფესიული კარიერა „საუთჰემპტონში“ გაატარა. „სენტ მერიზე“ ის 1985-დან 2002 წლამდე თამაშობდა, სადაც 500-მდე თამაში ჩაატარა. და აი, 11 წლის თავზე 44 წლისა ის მოედანს უბრუნდება, რათა რანგით მეცხრე ლიგის „გერნსს“ რამდენიმე თამაშში დაეხმაროს. მეტი რამდენიმე თვეა, მშობლიური ქალაქის კლუბის საპატიო პრეზიდენტია. *„გერნსს“ აპრილში უმძიმესი გრაფიკი აქვს. მე კი მხოლოდ 5-6 შეხვედრაში ვგეგმავ მოედანზე გასვლას. მაგალითად 14-ში საშინაო შეხვედრაში „რაინს პარკ ველთან“ ვითამაშებ. მართალია, ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ, მაგრამ იმედია, მაინც მოვახერხებ დახმარებას,“* – განუცხადა ლე ტისიემ BBC Radio–ს.

## ლალანა კმაყოფილია

„რედინგთან“ XXXII ტურის შეხვედრაში ზუსტად 4-თვიანი პაუზის შემდეგ პირველად გაიტანა „წმინდანების“ 24 წლის კაპიტანმა **ადამ ლალანამ**. საერთო ჯამში ნახევარმცველის ანგარიშზე 3 ბურთი და 6 საგოლე გადაცემაა, რაც, დაგვეთანხმებით, არცთუ ურიგო შედეგია. ის კმაყოფილია **მაურისიო პოჩეტინიოს** მუშაობით და აცხადებს, რომ ფეხბურთელები ახლა თავს ბევრად უფრო ლაღად გრძნობენ, ვიდრე **ნაიჯელ ედკინსის** დროს. *„სატურნირო მდგომარეობა გამოვასწორეთ და ეს თავისთავად მეტყველებს, რომ უკეთ ვთამაშობთ. ახალმა მწვრთნელმა გუნდში ახალი სტილი მოიტანა. მას მუშაობის საკმაოდ საინტერესო მეთოდები აქვს,“* – აცხადებს ადამ ლალანა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ჰოლანდია. ერე დივიზიე. დარჩენილი ტურების ანალიზი

# ყველაზე დაძაბული ჩემპიონატი

ჰოლანდიის ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი და ევროპის წამყვანი ჩემპიონატებიდან ყველაზე დაძაბული სიტუაცია სწორედ ერედივიზიეშია. ინგლისში „მანჩესტერ იუნაიტედის" ჩემპიონობაა გარდაუვალი, გერმანიაში „ბაიერნმა" მორიგი ტიტულის მოგება უკვე იზეიმა, ესპანეთში „ბარსელონა" „რეალს" 13 ქულით უსწრებს და ამხელა უპირატესობას არ გაანიავებს, იტალიაში „იუვენტუსის" ლიდერობას არაფერი ემუქრება, საფრანგეთში კი „პარი სენ ჟერმენს" 7-ქულიანი ჰანდიკაპი აქვს, რაც საკმაოდ დიდი უპირატესობაა იმის გათვალისწინებით, რომ მისი პირველი მდევარი საოცრად არასტაბილური „მარსელია".

ჰოლანდიაში კი ჩემპიონობისთვის ოთხი გუნდი იბრძვის. ლიდერ „აიაქსს" და მეოთხეზე მყოფ „ფეიენოორდს" შორის სხვაობა სულ 4 ქულაა. ასე რომ, აქ ყველაფერი წინ არის.

| | თ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 29 | +42 | 63 |
| 2. პსვ | 29 | +56 | 60 |
| 3. ვიტესი | 29 | +28 | 60 |
| 4. ფეიენოორდი | 29 | +19 | 59 |

## აიაქსი

ამ მომენტისთვის, ჩემპიონობის საუკეთესო შანსი სწორედ „აიაქსს" აქვს. ჰოლანდიის 31-გზის ჩემპიონმა ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო და ის დამაჯერებლად მიიწევს ზედიზედ მესამე ტიტულისკენ. **ფრანკ დე ბურის** შეგირდები უახლოეს მდევრებს სამი ქულით კი უსწრებენ, მაგრამ ამსტერდამულ გუნდს არც ისე იოლი კალენდარი აქვს. მომდევნო ტურში გაიმართება მატჩი, რომელიც შესაძლოა საჩემპიონო გამოდგეს - „პსვ ეინდჰოვენი" „აიაქსს" უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში, ტურნირის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე პირველ ადგილზე გადავა.

პსვ-ს შემდეგ „აიაქსი" კარგ ფორმაში მყოფ „ჰერენვენს" უმასპინძლებს, რასაც ბრედაში სტუმრობა მოჰყვება. ბოლოსწინა ტურში ამსტერდამელები უკვე გავარდნილ „ვილემ II"-სთან გაისეირნებენ, ხოლო ბოლო ტურში სტუმრად „გრონინგენს" შეხვდებიან. როგორც ხედავთ, დარჩენილი 5 მატჩიდან, დე ბურის გუნდს სამი უწევს სტუმრად და სამივე მატჩი საკმაოდ რთული უნდა გამოდგეს.


ვილფრედ ბონი ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელია

**დარჩენილი მატჩები**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი (სტუმრად) | 14 აპრილი |
| ჰერენვენი (შინ) | 19 აპრილი |
| ბრედა (სტუმრად) | 27 აპრილი |
| ვილემ II (შინ) | 5 მაისი |
| გრონინგენი (სტუმრად) | 12 მაისი |

## ეინდჰოვენი

**დიკ ადვოკაატის** გუნდს მცირე ჩავარდნა აქვს - „ეინდჰოვენმა" ბოლო 4 შეხვედრაში 7 ქულა აილო და პირველი ადგილი „აიაქსს" დაუთმო, თუმცა მომდევნო ტურში, გამარჯვების შემთხვევაში ისევ პირველ პოზიციაზე გადავა. პსვ-ს ასევე საკმაოდ არასასიამოვნო კალენდარი აქვს და გარდა ამისა, გუნდი ჰოლანდიის თასის ფინალშია გასული, სადაც „ალკმაარს" უნდა შეხვდეს (9 მაისს), ეს მატჩი კი ბოლო ტურის წინ უნდა გაიმართოს. ყველაზე რთული მატჩი („აიაქსთან" გასამართავი მატჩის გარდა), „ფილიპსელებს" სწორედ ბოლო ტურში აქვთ, როდესაც ენსხედეში „ტვენტეს" უნდა ეწვიონ. არ დაგვავიწყდეს იმავე „ალკმაართან" 31-ე ტურში გასამარავი მატჩიც - **შოთა არველაძის** ყოფილი გუნდი მე-14 ადგილზეა და მას ქულები ჰაერივით ესაჭიროება.

**დარჩენილი მატჩები**

| | |
|---|---|
| აიაქსი (შინ) | 14 აპრილი |
| ალკმაარი (სტუმრად) | 20 აპრილი |
| გრონინგენი (შინ) | 27 აპრილი |
| ნაიმეგენი (შინ) | 5 მაისი |
| ტვენტე (სტუმრად) | 12 მაისი |

## ვიტესი

„ვიტესი" ბრწყინვალე ფორმაშია. **მერაბ ჟორდანიას** გუნდმა ზედიზედ 7 მატჩი მოიგო, **ვილფრედ ბონიმ** კი ამ შეხვედრებში 11 გოლი გაიტანა! საერთოდ, ივუარელი ფორვარდის ანგარიშზე 29 გოლია (26 შეხვედრაში!) და ის გუნდის წარმატების მთავარი მიზეზია. ბონის გარდა, შესანიშნავ სეზონს ატარებს **გურამ კაშია**, რომელიც გუნდის კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერია.

14 მაისს, ბოლო ტურიდან ორი დღის შემდეგ, „ვიტესი" 121 წლის ხდება, მაგრამ მიუხედავად ასეთი ხანდაზმული ასაკისა, გუნდი ჰოლანდიის ჩემპიონი არასდროს გამხდარა. არნემელებს წელს ამის საუკეთესო შანსი აქვთ. **ფრედ რუტენის** გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და დარჩენილი მატჩების კალენდარიც ოპტიმიზმის საბაბს იძლევა.

ყველაზე რთული შეხვედრა „ვიტესს" 31-ე ტურში, როტერდამში ელის. დარჩენილი ოთხი მეტოქიდან, ყველაზე მაღალ პოზიციაზე „ვაალვაიკია", რომელიც მე-13 ადგილს იკავებს. ამ გუნდის გარდა, რუტენის შეგირდები მე-16 (როდა), მე-17 (ვენლო) და მე-18 (ვილემ II) ადგილზე მყოფ გუნდებს ხვდებიან.

იმის გათვალისწინებით, რომ „აიაქსს" და „პსვ ეინდჰოვენს" საკმაოდ რთული კალენდარი აქვთ, ხოლო „ვიტესს" უმეტესად აუტსაიდერებთან უწევს დაპირისპირება, ჟორდანია-კაშიას გუნდს საკმაოდ კარგი შანსები აქვს.

**დარჩენილი მატჩები:**

| | |
|---|---|
| როდა (სტუმრად) | 13 აპრილი |
| ფეიენოორდი (სტუმრად) | 21 აპრილი |
| ვილემ II (შინ) | 28 აპრილი |
| ვაალვაიკი (სტუმრად) | 5 მაისი |
| „ვენლო" (შინ) | 12 მაისი |

## ფეიენოორდი

ჰოლანდიის ერთ-ერთი გრანდი, „დიდი სამეულის" წევრი „ფეიენოორდი", ერედივიზიეს ჩემპიონი 1999 წლის შემდეგ არ გამხდარა და საერთოდ, ბოლო 20 წელიწადში გუნდი მხოლოდ ერთხელ გახდა ჩემპიონი. ჩაგდებული სეზონის შემდეგ (როდესა გუნდი კინალამ გავარდა და პსვ-სთან 0:10 წააგო), „ფეიენოორდი" გონს მოეგო და შარშან მეორე ადგილიც დაიკავა.

როტერდამელებმა ბოლო 6 მატჩიდან 5 მოიგეს და მხოლოდ „ჰერენვენთან" წააგეს. კალენდარი „ფეიენოორდსაც" საკმაოდ იოლი აქვს და თუ **რონალდ კუმანის** შეგირდებმა დარჩენილი მატჩები მოიგეს (რაც წარმოუდგენელი სულაც არ არის), დიდი ალბათობით, ასე ნანატრ საჩემპიონო ტიტულსაც დაიბრუნებენ.

**დარჩენილი მატჩები**

| | |
|---|---|
| ვაალვაიკი (სტუმრად) | 14 აპრილი |
| ვიტესი (შინ) | 21 აპრილი |
| ჰერაკლესი (შინ) | 28 აპრილი |
| დენ ჰააგი (სტუმრად) | 5 მაისი |
| ბრედა (შინ) | 12 მაისი |

### ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები

**პაულისტა. XVII ტური**

# გრანდები პლეი ოფში...

**სანტოსი–სან კაეტანო 1:1**

**გოლები:** 0:1 ჟაელი (6), 1:1 ნეიმარი (53).

**კორინთიანსი–სან ბერნარდო 2:0**

**გოლები:** 1:0 ჟორჟე ენრიკე (38), 2:0 გერერო (88).

**პონტე პრეტა–პალმეირასი 1:2**

**გოლები:** 0:1 ტიაგო რეალი (4), 1:1 ლ. რამირესი (43), 1:2 ლეანდრო (73).

**ბოტაფოგო სპ–სან პაულო 1:3**

**გოლები:** 0:1 ლუსიო (74), 0:2 ალოიზიო (80), 0:3 ადემილსონი (85), 1:3 დიმბა (90).

| | |
|---|---|
| ატლ. სოროკაბა-მირასოლი | 3:2 |
| პენაპოლენსე-გუარანი | 3:0 |
| ლინენსე-ოესტე | 3:1 |
| მოჟი მირიმი-პაულისტა | 2:0 |
| XV დე პირასიკაბა-ბრაგანტინო | 2:0 |
| იტუანო-უნიაო ბარბარენსე | 0:0 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სან პაულო (16 თამაში) - 38 ქულა, 2. პონტე პრეტა - 34, 3. მოჟი მირიმი - 33, 4. სანტოსი - 33, 5. კორინთიანსი - 32, 6. პალმეირასი - 31, 7. ბოტაფოგო სპ - 28, 8. პენაპოლენსე - 27, 9. ლინენსე - 24, 10. ბრაგანტინო - 24, 11. ოესტე - 19, 12. XV დე პირასიკაბა - 19, 13. პაულისტა - 17, 14. სან ბერნადრო - 17, 15. ატლ. სოროკაბა - 16, 16. მირასოლი - 15, 17. იტუანო - 14, 18. უნიაო ბარბარენსე (16 თ) - 13, 19. სან კაეტანო - 12, 20. გუარანი - 10.

**ბომბარდირები:** 11 - ვილიამი (პონტე პრეტა); 9 - ლინკომი (ბრაგანტინო); 8 - ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ნეიმარი (სანტოსი).

პაულისტას მე-17 ტურის შემდეგ, პლეი ოფის 6 მონაწილე გაირკვა. „სან პაულო", „პონტე პრეტა", „მოჟი მირიმი", „სანტოსი", „კორინთიანსი" და „პალმეირასი" უკვე მომდევნო ეტაპზე არიან. ამ უკანასკნელმა სტუმრად „პონტე პრეტას" მოუგო და ამ გუნდს ჩემპიონატში პირველი მარცხი აგემა. მასპინძლებისგან გოლი „კორინთიანსიდან" განათხოვრებულმა **ლუის რამირესმა** გაიტანა, პერუელის გოლს სტუმართა მხრიდან ახალგაზრდა **ტიაგო რეალმა** და „გრემიოდან" გადმოსულმა **ლეანდრომ** უპასუხეს.


ლუსიომ (3) „სან პაულოს" მაისურით პირველი გოლი გაიტანა

ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „სან კაეტანოს" ვერ მოუგო „სანტოსმა". სტუმრებს **რივალდო** არ ჰყავდათ, მაგრამ ქულის აღება ლეგენდის გარეშეც შეძლეს. „სანტოსის" მხრიდან გოლი **ნეიმარმა** გაიტანა, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე თავი ბრაზილიის ნაკრებშიც გამოიჩინა (ბოლივიასთან).

დაუმარცხებელი სერია 15 მატჩამდე გაზარდა „კორინთიანსმა", ვინც **ჟორჟე ენრიკეს** და **პაოლო გერეროს** გოლებით „სან ბერნარდოს" მოუგო. პირველობას კი „სან პაულო" ინარჩუნებს, რომელსაც ერთი მატჩიც აქვს თადარიგში. **ნეი ფრანკოს** შეგირდებმა „ბოტაფოგოს" 3:1 მოუგეს, არადა, 74-ე წუთამდე ანგარიში 0:0 იყო. ანგარიში **ლუსიომ** გახსნა და ახალი გუნდის რიგებში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

რეგულარული სეზონის დასრულებამდე ორი ტური დარჩა, რის შემდეგაც 8 გუნდი ბრძოლას პლეი ოფში გააგრძელებს. დღევანდელი გადმოსახედიდან, უკვე ცნობილ 6 გუნდს „ბოტაფოგო" და „პენაპოლენსე" უნდა შეუერთდნენ, რომლებიც „ლინენსე"-"ბრაგანტინოს" დუეტს, შესაბამისად 4 და 3 ქულით უსწრებენ.

**კარიოკა. ტაკა რიო. V ტური**

# ...გრანდები პლეი ოფს მიღმა

**ფლამენგო–დუკე დე კაშიასი 1:1**

**გოლები:** 0:1 ჩარლზ ჩადი (30), 1:1 კლებერ სანტანა (90).

**რესენდე–ფლუმინენსე 0:2**

**გოლები:** 0:1 მაიკლი (53), 0:2 რაინერი (59).

**ბოტაფოგო–ოლარია 3:0**

**გოლები:** 1:0 ლოდეირო (49), 2:0 ვიტინიო (79), 3:0 ვიტინიო (90).

**ვასკო–ფრიბურგენსე 2:1**

**გოლები:** 1:0 აბუდა (24), 1:1 ლუკასი (35), 2:1 დაკსონი (82).

| | |
|---|---|
| ნოვა იგუასუ-ვოლტა რედონდა | 1:0 |
| კისამა-მადურეირა | 0:1 |
| აუდაქს რიო-მაკაე | 1:0 |
| ბანგუ-ბოავიშტა | 1:1 |

**სატურნირო მდგომარეობა:**

**A ჯგუფი:** 1. ბოტაფოგო (4 თამაში) - 12 ქულა, 2. ვოლტა რედონდა - 12, 3. ნოვა იგუასუ - 8, 4. ფრიბურგენსე (4 თ) - 6, 5. ოლარია - 5, 6. მადურეირა - 4, 7. ვასკო და გამა - 4, 8. კისამა - 2.

**B ჯგუფი:** 1. ფლუმინენსე - 13 ქულა, 2. რესენდე - 12, 3. აუდაქს რიო - 7, 4. დუკე დე კაშიასი - 6, 5. ფლამენგო - 5, 6. ბოავიშტა - 5, 7. მაკაე - 3, 8. ბანგუ - 3.

**ბომბარდირები:** 4 - მაიკლი (ფლუმინენსე); 3 - ჩარლზ ჩადი (დუკე დე კაშიასი), ჰიროში (რესენდე), ლოდეირო (ბოტაფოგო).

ორი ტური დარჩა „ტაკა რიოს" ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე და უკვე გაირკვა, რომ ორი გრანდი, „ფლამენგო" და „ვასკო და გამა" 1/2-ფინალს მიღმა დარჩებიან. „ფლამ" ვერც ამ ტურში მოიგო და საკუთარ მოედანზე „დუკე დე კაშიასს" დაუზავდა, თანაც მარცხს და სირცხვილს ბოლო წამებზე, გამოცდილი **კლებერ სანტანას** გოლის წყალობით გადაურჩა. „ვასკომ" კი მოიგო, მაგრამ გუნდი ჯგუფში მეშვიდე ადგილზეა და მეორეზე მყოფ „ვოლტა რედონდას" მთელი 8 ქულით ჩამორჩება.

ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო „ტაკა გუანაბარას" გამარჯვებულმა „ბოტაფოგომ", რომელმაც **ნიკოლას ლოდეიროს** და 19 წლის **ვიტინიოს** კარგი თამაშის წყალობით, „ოლარია" გაანადგურა. თავისი ჯგუფის ლიდერია „ფლუმინენსეც", ვინც „რესენდეს" დააყრევინა ფარ-ხმალი.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტურის შეჯამება

# ჩემპიონობა მშრალი კანონით

## ბაიერნის ხელმძღვანელებმა ფეხბურთელებს რიბერის დაბადების დღის აღნიშვნაც კი აუკრძალეს



გერმანიის ყველა დროის ყველაზე სწრაფი ჩემპიონობის ალნიშვნა ყველა დროის ყველაზე უმარილო გამოვიდა. „აინტრახტთან" მატჩის (1:0) დასრულების შემდეგ, მიუნხენელებმა ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ მოპოვებული ტიტული მოედანზე ცოტა ხნით და ლუდის შხაპების გარეშე იზეიმეს, გასახდელში მხოლოდ ერთი ყუთი ლუდი დახვდათ და ნამდვილის ნაცვლად, ფოტოებს პლასტმასის „ვერცხლის სინთან" ილებდნენ. **ბოატენგმა, შაჩირიმ** და გამარჯვების გოლის ავტორმა **შვაინშტაიგერმა** მოგვიანებით „ფეისბუქსა" და ტვიტერზე გასახდელში გადაღებული რამდენიმე ფოტო ატვირთეს, სადაც საზეიმო განწყობა კი კარგად ჩანს, მაგრამ, აბა რა არის ბავარიული ზეიმი ბავარიული ლუდის შხაპების გარეშე?

ჩემპიონები გასახდელში დიდხანს არ დარჩენილან, ავტობუსს სწრაფად მიაშურეს და აეროპორტისკენ აიღეს გეზი, ფრანკფურტის სტადიონის დამლაგებლები კი ჰყვებიან, „ბაიერნის" გასახდელში მხოლოდ ლუდის რამდენიმე ბოთლი შევნიშნეთო. სამაგიეროდ, უხვად უნახავთ მინერალური წყლის ბოთლები, გერმანიის ჩემპიონობის ზეიმის კვალი კი იქაურობას ოდნავადაც არ ეტყობოდა.

მიუნხენის აეროპორტში გერმანიის ჩემპიონებს მხოლოდ სამი (!!!) გულშემატკივარი დახვდათ, „ზებენერშტრასეზე" კი ოდენ ათ ფანს მოეყარა თავი...

ფაქტია, რომ საფეხბურთო გერმანიას ჩემპიონობის ასეთი მოსაწყენი და უხმაურო ალნიშვნა არ ახსოვს - არადა, ეს ხომ სარეკორდო დროში მოპოვებული ჩემპიონობა იყო. *„სამწუხაროა, რომ სრულყოფილი ზეიმი ავკრძალეთ, მაგრამ ჩვენ სხვა მიზნებიც გვაქვს და დაუშვებელია, რომ ამ მიზნების (ჩემპიონთა ლიგა, გერმანიის თასი) მიღწევას საფრთხე შექმნას,"* - ალნიშნა მოგვიანებით მიუნხენური გრანდის პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა.** იგულისხმება ის, რომ ოთხშაბათს „ბაიერნს" ტურინში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი აქვს და ბავარიულ სტილში გამოთრობას ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ, შეიძლებოდა, გუნდზე ცუდად ემოქმედა. გერმანიის „ახალგამომცხვარ" ჩემპიონებს ერთადაც კი არ უვახშმიათ. მეტიც: გუშინ ჩვეულებრივად ივარჯიშეს, დღეს საღამოს კი ტურინში მიფრინავენ.

### ზამერმა რიბერის დაბადების დღის აღსანიშნავი ვახშამიც აკრძალა

კვირას „ბაიერნის" ვარსკვლავი, ბუნდესლიგის ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და რეკორდმაისტერის 23-ე ჩემპიონობის უმთავრესი შემოქმედი **ფრანკ რიბერი** 30 წლის გახდა და თანაგუნდელებს მისთვის სიურპრიზის მოწყობა სურდათ. კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** მიუნხენის საუკეთესო იტალიურ რესტორანში ვიზიტი დაგეგმა და ყველა მოთამაშეს შეატყობინა, მაგრამ როგორც კი ეს ინფორმაცია ბავარიული გრანდის სპორტული დირექტორის, **მათიას ზამერის** ყურამდე მივიდა, ზეიმი მაშინვე გადაიდო!

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ზამერმა ფეხბურთელებს რიბერის დაბადების დღის ალნიშვნაც კი აუკრძალა! მოკლედ, გერმანიის ყველა დროის ყველაზე სწრაფი, დამსახურებული და ყველაზე გრანდიოზული ჩემპიონობის ზეიმი სასაცილოდ უხმაურო გამოდგა.

### დანტე

„ბაიერნელთაგან" გერმანიის ჩემპიონობას ყველაზე გულითადად ბრაზილიელ მცველ **დანტეს** ვულოცავთ, რომელმაც პირველად მოიგო ბუნდესლიგა. თუმცა საქმე მარტო ამაში არაა. ყველაზე საინტერესო ისაა, თუ როგორ განვითარდა დანტეს ბავარიული კარიერა - ეს ხომ მისი პირველი სეზონია რეკორდმაისტერში. ბევრს გაუკვირდება, რომ ბრაზილიელ მცველს ამ სეზონში „ბაიერნის" ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტი ოფიციალური მატჩი აქვს ჩატარებული და რაც მთავარია, თითქმის ყველა შეხვედრაში მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ერთი წლის წინ, როცა მიონხენგლადბახის „ბორუსიადან" მიუნხენურ გრანდში მისი ტრანსფერი გადაწყდა, ძალიან ცოტას თუ სჯეროდა, რომ დანტე „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდებოდა. ახლა კი თამამად შეიძლება იმის თქმა, რიმ ბრაზილიელი რეკორდმაისტერის დაცვის ბურჯია.

### მათიას ზამერი

ის, რომ „ბაიერნი" ასეთი დაუნდობელი და მრისხანეა, ზედიზედ ორ სეზონში უტიტულოდ დარჩენის გარდა, ბავარიული გრანდის სპორტული დირექტორის, მათიას ზამერის დამსახურებაცაა. „მოტცკი" ამ თანამდებობაზე გასულ ზაფხულს დაინიშნა და მას მერე, საქმის კეთებასთან ერთად, მუდმივად იმას ებრძვის, რომ „ბაიერნის" ფეხბურთელებს წარმატებები თავში აუვარდეთ.

„აინტრახტთან" მატჩი ჯერ ხეირიანად დამთავრებულიც არ იყო, ზამერმა პირდაპირ ეთერში რომ „დააგინა": *„ვინც დღეს დალიოს, არაპროფესიონალი იყოსო..."*

### იუპ ჰაინკესი

ყველაზე მაგარი კი ბავარიელებს მაინც მწვრთნელი ჰყავთ - მრავლის მნახველი და გამობრძმედილი **იუპ ჰაინკესი.** ეს „დონ იუპისთვის" არ იყო პირველი ჩემპიონობა, მაგრამ სახეზე ეწერა, რომ ძალიან ბედნიერი იყო. პრეზიდენტმა ჰიონესმა თქვა, ფეხბურთელებმა იუპი აიტაცეს და აბურთავეს, თვალზე ცრემლი მომადგაო, მაგრამ ფაქტია, რომ ული ერთი წამითაც არ დაფიქრდებოდა იმაზე, ემანდ, შეცდომას ხომ არ ვუშვებთ, ამ კაცს, ფაქტობრივად, ძალით რომ ვაგზავნით პენსიაზე და **გვარდიოლა** მოგვყავსო.

ფაქტია, რომ ამ სეზონის ბოლოს „ბაიერნიდან" წასვლა თავად ჰაინკესის იდეა არ ყოფილა და როგორც არ უნდა შეფუთონ ეს ცვლილება რეკორდმაისტერის ბოსებმა და რაც არ უნდა კარგად ითამაშოს გუნდმა გაისად (ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს?), „ბაიერნის" ისტორიაში აუცილებლად ჩარჩება და გვარდიოლას ბავარიულ ეპოქას უმძიმეს წნეხად გაჰყვება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჰაინკესის გაშვება შეცდომა იყო.

ბუნდესლიგის 20-ქულიანი უპირატესობით მოგება და სარეკორდო დროში გაჩემპიონება იმასაც ნიშნავს, რომ ჰაინკესი გვარდიოლას ურთულეს მემკვიდრეობას უტოვებს.

### ბებერი ლოთი უდო

ბავარიულ მშრალ კანონზე ყველაზე საინტერესო კომენტარი ლეგენდარულმა გერმანელმა მწვრთნელმა **უდო ლატეკმა** გააკეთა: *„გავიგე, რომ „ბაიერნის" გასახდელში მხოლოდ ერთი ყუთი ლუდი შეუტანიათ. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ ფეხბურთელზე მხოლოდ ერთი ბოთლი იყო გათვლილი. თუ ეს მართალია და ერთ ჩემპიონობაზე ფეხბურთელს მხოლოდ ერთი ბოთლი ლუდი ეკუთვნის, გამოდის, რომ მარტო დღეს მე უკვე რვაჯერ გავხდი გერმანიის ჩემპიონი..."*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## საუკეთესო ფეხბურთელები

XXVIII ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 22 | 2.20 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 26 | 2.40 |
| 3. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 26 | 2.46 |
| 4. რენე ადლერი | ჰამბურგი | 27 | 2.67 |
| 5. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 27 | 2.77 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 24 | 2.78 |
| 7. თომას მიულერი | ბაიერნი | 24 | 2.80 |
| 8. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 26 | 2.80 |
| 9. რომან ვაიდენფელერი | დორტმუნდი | 26 | 2.83 |
| 10. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 28 | 2.84 |

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 28 | 18 | 10 | 28 |
| 2. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 25 | 21 | 7 | 28 |
| 3. თომას მიულერი | ბაიერნი | 24 | 12 | 12 | 24 |
| 4. საბოლჩ ჰუსტი | ჰანოვერი | 21 | 9 | 11 | 20 |
| 5. მარკო როისი | დორტმუნდი | 27 | 11 | 9 | 20 |
| 6. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 26 | 8 | 11 | 19 |
| 7. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი | 21 | 9 | 8 | 17 |
| 8. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 21 | 15 | 2 | 17 |
| 9. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 22 | 7 | 10 | 17 |
| 10. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 28 | 9 | 7 | 16 |

XXVIII ტურის გმირი

### ბასიან შვაინშთაიგერი (ბაიერნი, 2)



ამ სეზონში **ბასტიან შვაინშტაიგერს** მეორედ ვასახელებთ ტურის გმირად. „ბაიერნის" 28 წლის ნახევარმცველი „აინტრახტთან" პირველიდან ბოლო წუთამდე ყველასგან გამორჩეული მოთამაშე იყო. შვაინიმ იდეალური პასები არიგა და ბურთს ყველაზე ხშირად, 106-ჯერ შეეხო. ამასთან, შვაინშტაიგერმა ორთაბრძოლების 74 პროცენტი (!) მოიგო და ფრანკფურტელებს ის ერთადერთი გოლიც სწორედ მან გაუტანა.





## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4-ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# როცა თავზემოთ ძალა არაა

## რეალი ნახევარფინალის საგზურს დღეს ოფიციალურად გაიფორმებს

**მადრიდში** ისეთი ანგარიში დაფიქსირდა, რომ „გალათასარაის" ნახევარფინალში გასვლისთვის სასწაული სჭირდება. ფატიჰ თერიმის გუნდმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" კარგად იბრძოლა, მაგრამ მაინც 0:3 განადგურდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სასწაულები ძალიან იშვიათად ხდება, თურქებს მაინც არ ეტყობათ ყურების ჩამოყრა და „სამეფო გუნდს" უბრძოლველად არ დანებდებიან.

**გალათასარაი–რეალი 22:45**

**პირველი მატჩი:** 0:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გალათასარაი (4-1-2-1-2):** მუსლერა - ებუე, სემი კაია, გიოქჰან ზანი, რიერა - ფელიპე მელო - ჰამით ალთინთოფი, სელჩუკ ინანი - სნეიდერი - უმუთ ბულუთი, დროგბა.

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - არბელოა, ალბიოლი, ვარანი, ფაბიო კოენტრაო - ხედირა, მოდრიჩი - დი მარია, იოზილი, კ. რონალდო - ბენზემა.

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

**ურთიერთშეხვედრები**

**03.04.2013**

**რეალი–გალათასარაი 3:0**

**გოლები:** 1:0 კ. რონალდო (9), 2:0 ბენზემა (29), 3:0 იგუაინი (73)

**18.04.2001**

**რეალი–გალათასარაი 3:0**

**გოლები:** 1:0 რაული (15), 2:0 ივან ელგერა (28), 3:0 რაული (37)

**03.04.2001**

**გალათასარაი–რეალი 3:2**

**გოლები:** 0:1 ივან ელგერა (33), 0:2 მაკელელე (42), 1:2 უმით დავალა (47-პენ), 2:2 ჰასან შაში (65), 3:2 ჟარდელი (75)

შესავალი შეიძლებოდა მოკლედ ასე დაგვეწერა: „რეალი" ცალი ფეხით ნახევარფინალშია. მაგრამ მადრიდული გრანდის მდგომარეობა „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაფიქსირებული 3:0-ის შემდეგ იმაზე უკეთესია, ვიდრე ცალი ფეხით ნახევარდინალში ყოფნა. „გალათასარაის" ამ ბარიერის გადალახვის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუჩნდება, თუ **ჟოზე მოურინიოს** შეგირდები ძალიან ბევრ შეცდომას დაუშვებენ და ამავდროულად, თურქებიც იმაზე მეტს მოახერხებენ, ვიდრე შეუძლიათ. ერთი სიტყვით, „გალათასარაის" წარმატება ფანტასტიკის სფეროა.




ებუეს „გალათასარაი" კრიშტიანო რონალდოს „რეალთან" ფაქტობრივად უშანსოდაა

### თერიმის პრობლემები: არც ბურაქი, არც წუნკეუ

„გალას" მდგომარეობას ის ფაქტებიც ამძიმებს, რომ თურქეთის ჩემპიონს დღევანდელ მატჩში ორი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდება. ცენტრალურმა მცველმა **დანი ნუნკეუმ** და „გალათასარაის" გოლეადორმა **ბურაქ ილმაზმა** მადრიდში მესამე გაფრთხილება მიიღეს, რის გამოც დღეს დისკვალიფიკაცია აქვთ. თურქები განსაკუთრებით ბურაქს მისტირიან, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 8 გოლი აქვს გატანილი და თანაც, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ყვითელი ბარათი მეტად საეჭვო ვითარებაში მიიღო - **თერიმის** აზრით, ილმაზის მხრიდან სიმულაციას ადგილი არ ჰქონია.

სამაგიეროდ, „მერშინთან" კალენდარულ მატჩში **დიდიე დროგბამ** დუბლი შეასრულა (3:1), რაც იმას ნიშნავს, რომ ივუარელი კარგ ფორმაშია. ბურაქ ილმაზს კი დღეს სავარაუდოდ **უმუთ ბულუთი** შეცვლის, რომელიც ნამდვილად არაა ცუდი თავდამსხმელი, მაგრამ ბურაქის დარი შედეგიანობით არ გამოირჩევა. სხვა ფეხბურთელები კი თერიმს მწყობრში ჰყავს. მათ შორის **ვესლი სნეიდერიც**, რომელიც „გალას" ხელმძღვანელებისა და გულშემატკივრების იმედებს ჯერ ვერ ამართლებს.

### რეალი სრულ მზადყოფნაშია

მოურინიო დღევანდელ შეხვედრას მაინც სიფრთხილით მოეკიდა და „ლევანტესთან" 5:1-ზე მოგებულ შეხვედრაში წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა. „რეალს" **სერხიო რამოსი** და **ჩაბი ალონსო** ჰყავს დისკვალიფიცირებული, მაგრამ „სამეფო გუნდისთვის" მათი არყოფნა პრობლემას არ წარმოადგენს. უფრო მეტიც: გაჩნდა ეჭვი, რომ რამოსმა და ალონსომ მადრიდულ შეხვედრაში გაფრთხილებები განგებ მიიღეს, რადგან უნდოდათ, რომ ნახევარფინალს აბსოლუტურად სუფთად შეხვედროდნენ. არ იქნება პეპე (კუნთი), რის გამოც სასტარტოში რაულ ალბიოლს უნდა ველოდოთ.

„თურქ ტელეკომ არენაზე" „რეალს" ჯოჯოხეთური ატმოსფერო კი ელის, სამბურთიანი უპირატესობა იმდენად დიდია, რომ თურქებისთვის მათი ფანების ფაქტორიც ბევრს არაფერს ნიშნავს. 2001 წელს „გალათასარაიმ" „რეალს" შინ 3:2 მოუგო (0:2-ს აგებდა) და ფაქტობრივად გამორიცხულია, რომ თერიმის გუნდმა ამჯერად უკეთესი შედეგის დაფიქსირება შეძლოს. „რეალს" ოფიციალურ მატჩებში ხომ 12-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს...

# სახიფათო მატჩპოინტი

## 0:0 იმაზე უარესია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს

**დორტმუნდის** „ბორუსიას" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასასვლელად მინიმუმ ერთი გოლის გატანა სჭირდება - ოღონდ იმ პირობით, რომ საკუთარ კარს მშრალად შეინახავს. პლეი ოფში სტუმრად დაფიქსირებული 0:0 ერთი შეხედვით ურიგო შედეგი არაა (წაგებას ნამდვილად სჯობია), მაგრამ ფრეებს შორის ყველაზე არაკომფორტული და საბოლოო ჯამში, საპასუხო მატჩის წინ საკმაოდ სახიფათო ანგარიშია, რადგან ნებისმიერი სხვა ფრე დორტმუნდში უკვე „მალაგას" აწყობს და ყველამ ვიცით, რომ პელეგრინის გუნდს თავის დაცვაც ეხერხება და გოლის გატანაც შეუძლია.

**დორტმუნდი–მალაგა 22:45**

**პირველი მატჩი:** 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - გიუნდოგანი, კელი - როისი, გიოტცე, გროსკროიტცი - ლევანდოვსკი.

**მალაგა (4-2-3-1):** ვილი კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ლუგანო, ანტუნეში - ტულალანი, ნაჩო კამაჩო - ხოაკინი, ჟულიო ბაპტიშტა, ისკო - სავიოლა.

**არბიტრი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

**ურთიერთშეხვედრები**

**03.04.2013**

**მალაგა–დორტმუნდი 0:0**

„ლაროსალედაზე" გერმანელებს ესპანელებზე მეტი და გაცილებით უკეთესი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ **მარიო გიოტცემ** (რამდენჯერმე) და „ბორუსიას" საუკეთესო ბომბარდირმა **რობერტ ლევანდოვსკიმ** შანსები ქარს გაატანეს. შესაბამისად, სწორედ მათი ბრალია ის, რომ



რობერტ ლევანდოვსკი პირველ მატჩში საუკეთესო იყო, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო

გერმანიის ან უკვე ექსჩემპიონს საპასუხო შეხვედრაში ფრთხილად და ძალიან ყურადღებით ყოფნა მოუწევს.

*„0:0 იმაზე გაცილებით უარესი შედეგია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. საპასუხო მატჩის წინ ჩვენ, თუ შეიძლება რომ ასე ითქვას, სახიფათო მატჩპოინტი გვაქვს. ყურადღებით უნდა ვითამაშოთ და მეტოქეს არ უნდა მივცეთ ისეთი კონტრშეტევების განხორციელების საშუალება, როგორებიც შაბათს „აუგსბურგმა" გაგვიკეთა. „მალაგასთან" დაცვიდან შეტევაში დაბალანსებული ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ და უნდა გვახსოვდეს, რომ ანდალუსიელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ, რომელიც შეცდომებს არ გვაპატიებს,"* - ეს „დორტმუნდის" საყრდენი ნახევარმცველის, **სვენ ბენდერის** სიტყვებია.

„აუგსბურგთან" მატჩში „ბორუსიამ" პირველი ტაიმი 1:2 წააგო, მაგრამ მეორე ტაიმში თამაში მაინც შეატრიალა, ნიშანდობლივი კი ის იყო, რომ დორტმუნდელთა თავკაცმა **იურგენ კლოპმა** შაბათს ძირითად შემადგენლობაში 7 ახალი ფეხბურთელი გაამწესა. ცხადია, რომ წამყვანი ფეხბურთელები სწორედ „მალაგასთან" დღევანდელი მატჩისთვის დაასვენა და ფაქტია ისიც, რომ დღეს ისევ იმ შემადგენლობას ათამაშებს, რომელმაც ანდალუსიაში 0:0-ს მიაღწია.

თუმცა გამორიცხული არაა, რომ „დორტმუნდის" დაცვის ბურჯმა **მატს ჰუმელსმა** გამოჯანმრთელება მოასწროს და მოედანზე გასვლა მოახერხოს. თუ არა და, მას ისევ ბრაზილიელი **ფელიპე სანტანა** შეცვლის. „აუგსბურგთან" მატჩს ჰუმელსმა თვალი ტრიბუნიდან მიადევნა, თუმცა ფეხზე რომც დადგეს, შესაძლოა, კლოპმა მატსის სასტარტოში გამწესება არც გარისკოს. გუშინდელი მდგომარეობით, „დორტმუნდს" დღეს ვერც **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** დაეხმარება. პოლონელი გარემარბი „ბორუსიას" მალაგაშიც აკლდა, თუმცა შეიძლებოდა, გამოჯანმრთელება მოესწრო.

*„საპასუხო მატჩშიც ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, როგორც ესპანეთში ვაკეთებდით - მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საგოლე მომენტები უნდა გამოვიყენოთ,"* - ეს „დორტმუნდის" გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ დორტმუნდის „ბორუსია" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ბოლოს 1997/98 წლების სეზონში გავიდა. მაშინ „დორტმუნდი" ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული იყო და ფინალის გზაზე BVB-ს მომავალი გამარჯვებული მადრიდის „რეალი" გადაელობა (0:2, 0:0). „მალაგას" კი უნიკალური შანსი აქვს, ნახევარფინალში დებიუტანტის რანგში გაალწიოს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● სერია A. მატჩების გამოხმაურება

# დიდი შეტევა მსაჯებზე

## ცხელი უქმეები იტალიაში


ადრიანო გალიანი „არტემიო ფრანკის" ტრიბუნიდან გასაყვანი გახდა

**სერია A-ს თითქმის ყველა ტურში იმდენი საინტერესო ამბავი ხდება, რომ ხშირად, მეორე პლანზე ინევს საუკეთესო ფეხბურთელის, მწვრთნელის თუ სხვა გამორჩეული მოთამაშის გამოვლენა. ამ შემთხვევაშიც იმ მოვლენებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, რომლებმაც საფეხბურთო იტალიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. თავდაპირველად, კვირას ღამე გამართულ შეხვედრებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რადგან მათ შესახებ ტურის მიმოხილვაში არაფერი გვითქვამს...**

### ინტერი ჩვეულ სტიქიაში

**ანდრეა სტრამაჩონის** აქვს რაღაც **ზდენეკ ზემანისეული**, რადგან მისი „ინტერი" არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. მილანურმა გრანდმა საკუთარ მოედანზე „ატალანტა" მიიღო, მეტოქეს ორი ბურთის სხვაობით ამარცხებდა და საბოლოოდ, 3:4 წააგო. მოკლედ, „ინტერმა" მოგებული მატჩი დათმო, რამაც თვით მუდამ მშვიდი **მასიმო მორატი** ალაშფოთა. „ინტერის" პრეზიდენტი ემოციებს ვერ მალავდა და ჟურნალისტებს ხმამაღლა განუცხადა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო...

თამაშის პერიპეტიებს აღარ მოვყვებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ 3:1-ზე, მატჩის არბიტრმა მასპინძელთა კარში მეტად საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც **ხერმან დენისმა** გოლად აქცია და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. დენისმა კიდევ ორჯერ დაამწუხრა მეტოქე - ჰეთთრიკი შეასრულა და „ატალანტას" სამი ქულა მოუტანა. მილანელებმა ის საეჭვო პენალტი დაიხვიეს ხელზე და არბიტრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. კაცმა რომ თქვას, პენალტი მართლა არ იყო და არბიტრი **ანდრეა ჯერვაზონი** შეცდა, მაგრამ ამართლებს კი ეს 3:1-დან 3:4-ის წაგებას?

ნამატჩევს, ანდრეა სტრამაჩონიმ მთელი პასუხისმგებლობა მსაჯს დააკისრა: *„არბიტრმა თამაშის სადავეები ხელთ იგდო და აბსოლუტურად გაუგებარი გადაწყვეტილებები მიიღო. მთელ რიგ ეპიზოდებში სტუმართა მხარე დაიჭირა, თერთმეტმეტრიანი კი ნამდვილად გამოიგონა. ძალიან სამწუხარო მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ დიდწილად ამაში დამნაშავე რეფერია".*

გაცილებით უფრო მშვიდად იყო ყველაფერი ნეაპოლში, სადაც „ნაპოლიმ" „ჯენოას" ორი უპასუხო ბურთი გაუტანა და მნიშვნელოვანი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. ამრიგად, სამხრეთელებმა „მილანს" მთელი ოთხი ქულით გაუსწრეს და მომდევნო ტურში, სულ რომ დამარცხდნენ მდევართან, მაინც შეინარჩუნებენ მეორე ადგილს. დიახ, მომდევნო ტურში სწორედ „მილანი"-„ნაპოლის" ჯახია.

### ვუჩინიჩი და კონტე

„იუვენტუსი"-"პესკარას" შეხვედრის გმირი **მირკო ვუჩინიჩი** გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა და ლიდერს მოსალოდნელი გამარჯვება მოუტანა. გუშინდელ ნომერშიც გაცნობეთ, რომ ჩერნოგორიელმა ერთ-ერთი გოლი მეტად ორიგინალურად აღნიშნა, შორტი გაიძრო და მოედანზე ტრუსის ამარა დარბოდა. ამის შემხედვარე, **ანტონიო კონტე** წყობიდან გამოვიდა და მირკო კარგა გვარიანად დატუქსა - ჯერ ერთიორი „ტკბილი სიტყვა" მიაძახა და შემდეგ მუჯლუგუნიც მიაყოლა... მოკლედ, მწვრთნელმა შეგირდს საქციელი დაუწუნა, ნამატჩევს კი განაცხადა, რომ ვუჩინიჩი „ბაიერნთან" შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში არ იქნებაო.

ამ ამბავს იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა - ბევრმა გამოთქვა მოსაზრება და ისიც კი თქვეს, რომ კონტე ზედმეტ პრინციპულობას იჩენს. თავად ანტონიო ამ თემაზე კომენტარს აღარ აკეთებს, სამაგიეროდ თავად ვუჩინიჩი გაესაუბრა ჟურნალისტს:

*„ასეთი რამ ადრეც გამოკეთებია, მათ შორის ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობისას. ვაღიარებ, რომ მთლად ეთიკური საქციელი არაა, მაგრამ ხშირად ემოციები გონებას მიბინდავს. კონტეს აღშფოთების მესმის, მაგრამ ისეთიც არაფერი დამიშავებია, რომ ძირითადი შემადგენლობიდან მომკვეთონ. ნებისმიერ შემთხვევაში, მწვრთნელის გადაწყვეტილებას პატივისცემით მოვეკიდები".*

### ისევ ტალიავენტო და ნაძლევი

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ფლორენციაში გაიმართა, სადაც ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდები წარსდგნენ. „მილანი" „ფიორენტინას" ორი ბურთის სხვაობით უგებდა, საბოლოოდ კი მატჩი ფრედ დასრულდა, 2:2. მატჩის ყველაზე გამორჩეული ფიგურა მსაჯი **პაოლო ტალიავენტო** გახლდათ, რომელსაც საერთოდ სჩვევია ბენეფისების მოწყობა.

ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, არბიტრებმა ფლორენციელებს ფეხბურთელი გაუძევა, რითიც სტუმრებს კოლოსალური უპირატესობა მისცა - თანაც იმ მომენტში, სულაც არ იყო აუცილებელი **ნენად ტომოვიჩისთვის** წითელი ბარათის ჩვენება. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში „გამოასწორა შეცდომა", როდესაც ჯერ „მილანის" სასარგებლოდ არ დანიშნა ორი თითქმის 100%-იანი თერთმეტმეტრიანი და შემდეგ უკვე სწორად „როსონერის" კარში დანიშნა ორი საეჭვო პენალტი. მოკლედ, ტალიავენტომ ძალიან ჩახლართა და ორივე მხარე მოიმდურა.

დიახ, ნამატჩევს მილანელებიც და ფლორენციელებიც ხელიდან გაშვებულ ორ ქულას სწორედ ტალიავენტოს აბრალებდნენ. მაგალითად, **ადრიანო გალიანი** იმდენად აღშფოთდა, რომ მსაჯი ტრიბუნებიდან გალანძღა, რამაც თავის მხრივ ფლორენციელები გააღიზიანა - საბოლოოდ, გალიანი გულშემატკივრებს დაუპირისპირდა და სტადიონიდან დაცვით გასაყვანი გახდა... აქვე, კიდევ ერთ უკმაყოფილოს, „ვიოლას" დამრიგებელ **ვინჩენცო მონტელას** კომენტარს გავეცნოთ: *„ვფიქრობ, გამარჯვება თავისუფლად შეგვეძლო და დასანანია, რომ მხოლოდ ქულას დავჯერდით. მსაჯს აშკარად ზედმეტი მოუვიდა, როდესაც ტომოვიჩი გაგვიძევა, რადგან იმ მომენტში საწითლე არაფერი იყო. მატჩის შემდეგ, ტალიავენტოს ვუმტკიცებდი, რომ შეცდა, თუმცა ისიც დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. საბოლოოდ, დავნაძლევდით და ვინც დამარცხდება, ვახშამს იკისრებს. განმეორებაზე ყველაფერი კარგად გამოჩნდება".*

### პრემიის ძალა

**ჯუზეპე სანინო** კარგ ფეხზე დაბრუნდა „პალერმოში" - მისმა გუნდმა მიჯრით მეორე მატჩი მოიგო და თითქმის ჩამოწერილი გუნდი გადარჩენისთვის მებრძოლთა შორის ლამის ფავორიტად იქცა. მოკლედ, სანინომ გუნდი გამოაცოცხლა, მაგრამ როგორც იტალიურ სპორტულ პრესაში წერენ, მწვრთნელზე მეტად ეს კლუბის პრეზიდენტის მიერ დაწესებული პრემიის დამსახურებაა. დიახ, **მაურიციო ძამპარინიმ** ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის სოლიდური პრემიები დააწესა და როგორც ხედავთ, ფეხბურთელებიც ერთიანად გარდაისახნენ. ორი გამარჯვების შემდეგ, ძამპარინი მშვენიერ ხასიათზეა, თუმცა იქვე ამბობს, რომ მიზნამდე ჯერ კიდევ შორია:

*„აქამდე მაინც დამეწესებინა პრემიები, ასეთ დღეში ხომ არ ჩავვარდებოდით? - მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოვიპოვეთ, მაგრამ გადარჩენაზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრეა. წინ კიდევ ბევრი თამაშია და თითოეული ფინალის ტოლფასი. მაქსიმალურად უნდა მოვინდომოთ, თავ ზემოთ ავხტეთ და ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი კარგად იქნება".*

**ლაშა წიკლაური**


იშვიათი სანახაობა

---

ევროპული ფეხბურთი

## ესპანეთი

### ლა ლიგა. XXX ტური

**სევილია-ბილბაო 2:1**

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (4), 1:1 გურპეგი (55), 2:1 ნეგრედო (87)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტო - კოკე (81. სისინიო), ფასიო (66. პეროტი), ფ. ნავარო, მორენო - მედელი, კონდობია - დელ მორალი (46. ბოტია), რაკიტიჩი, რეიესი - ნეგრედო.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა (70. რამალიო), გურპეგი, ეკიზა, ლაპორტი - დე მარკოსი, სან ხოსე (46. იტურასპე), ანდერი - ი. გომესი, ფ. ლორენტე (46. ადურისი), მუნიაინი.

**გაფრთხილება:** ნავარო, კოკე, ფასიო, პეროტი - გურპეგი, ანდერი, ადურისი, დე მარკოსი, იტურასპე, ლაპორტი

**გაძევება:** ნავარო (74), ლაპორტი (80)

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10-7 (3-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 31 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 30 | 25 | 3 | 2 | 95-33 | 78 |
| 2. რეალი | 30 | 20 | 5 | 5 | 77-29 | 65 |
| 3. ატლეტიკო | 30 | 19 | 5 | 6 | 51-25 | 62 |
| 4. სოსიედადი | 30 | 14 | 9 | 7 | 55-39 | 51 |
| 5. ვალენსია | 30 | 14 | 7 | 9 | 44-42 | 49 |
| 6. მალაგა | 30 | 13 | 8 | 9 | 43-32 | 47 |
| 7. ბეტისი | 30 | 14 | 5 | 11 | 44-43 | 47 |
| 8. ვალეკანო | 30 | 14 | 2 | 14 | 40-49 | 44 |
| 9. ხეტაფე | 30 | 12 | 8 | 10 | 38-44 | 44 |
| 10. სევილია | 30 | 12 | 5 | 13 | 45-42 | 41 |
| 11. ლევანტე | 30 | 11 | 7 | 12 | 35-46 | 40 |
| 12. ესპანიოლი | 30 | 10 | 9 | 11 | 37-39 | 39 |
| 13. ბილბაო | 29 | 10 | 5 | 14 | 33-51 | 35 |
| 14. ვალიადოლიდი | 30 | 9 | 8 | 13 | 38-43 | 35 |
| 15. ოსასუნა | 30 | 8 | 7 | 15 | 26-35 | 31 |
| 16. გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 27-45 | 28 |
| 17. სარაგოსა | 30 | 7 | 6 | 17 | 28-46 | 27 |
| 18. დეპორტივო | 30 | 6 | 8 | 16 | 38-63 | 26 |
| 19. სელტა | 30 | 6 | 6 | 18 | 29-45 | 24 |
| 20. მალიორკა | 30 | 6 | 6 | 18 | 32-63 | 24 |

**ბომბარდირები:** 43 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 29 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

## იტალია

### სერია A. XXXI ტური

**რომა-ლაციო 1:1**

**გოლები:** 0:1 ერნანესი (16), 1:1 ტოტი (57-პენ)

**რომა (4-3-1-2):** სტეკელენბურგი - ტოროსიდისი, მარკინიოსი, კასტანი, მარკინიო - ბრედლი, დე როსი (53. დესტრო), ფლორენცი (73. დოდო) - პიანიჩი - ლამელა, ტოტი.

**ლაციო (4-1-4-1):** მარკეტი - გონსალესი, ბიავა, კანა, რადუ (90. სტანკევიჩიუსი) - ლედესმა (70. ჩიანი) - კანდრევა, ონაზი, ერნანესი, ლიულიჩი - კლოზე (60. კოზაკი).

**გაფრთხილება:** დე როსი, ლამელა, პიანიჩი, კასტანი - რადუ, ლიულიჩი, კანა, ბიავა

**გაძევება:** ბიავა (69)

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 12-15 (6-7); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 31 | 22 | 5 | 4 | 61-20 | 71 |
| 2. ნაპოლი | 31 | 18 | 8 | 5 | 57-29 | 62 |
| 3. მილანი | 31 | 17 | 7 | 7 | 54-33 | 58 |
| 4. ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 56-39 | 52 |
| 5. ლაციო | 31 | 15 | 6 | 10 | 39-36 | 51 |
| 6. ინტერი | 31 | 15 | 5 | 11 | 49-42 | 50 |
| 7. რომა | 31 | 14 | 6 | 11 | 60-52 | 48 |
| 8. კატანია | 31 | 13 | 7 | 11 | 40-38 | 46 |
| 9. უდინეზე | 31 | 11 | 12 | 8 | 41-39 | 45 |
| 10. პარმა | 31 | 10 | 9 | 12 | 39-39 | 39 |
| 11. კალიარი | 31 | 10 | 9 | 12 | 37-49 | 39 |
| 12. ბოლონია | 31 | 10 | 7 | 14 | 41-40 | 37 |
| 13. ატალანტა | 31 | 11 | 6 | 14 | 34-45 | 37 |
| 14. სამპდორია | 31 | 10 | 7 | 14 | 36-38 | 36 |
| 15. ტორინო | 31 | 8 | 13 | 10 | 39-43 | 36 |
| 16. კიევო | 31 | 10 | 5 | 16 | 32-48 | 35 |
| 17. სიენა | 31 | 8 | 9 | 14 | 31-42 | 27 |
| 18. პალერმო | 31 | 5 | 12 | 14 | 28-44 | 27 |
| 19. ჯენოა | 31 | 6 | 9 | 16 | 31-48 | 27 |
| 20. პესკარა | 31 | 6 | 3 | 22 | 22-63 | 21 |

**შენიშვნა:** *სიენა - 6 ქულა, ატალანტა - 2, სამპდორია - 1, ტორინო - 1.*

**ბომბარდირები:** 22 - კავანი (ნაპოლი); 17 - დი ნატალე (უდინეზე); 16 - ელ შაარავი (მილანი)

## ინგლისი. პრემიერლიგა.

### XXXII ტური

**იუნაიტედი-სიტი 1:2**

**გოლები:** 0:1 მილნერი (51), 1:1 კომპანი (59-ს.კ-ში), 1:2 აგუერო (78)

**იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა – რაფაელი, ჯონსი, ფერდინანდი, ევრა – გიგზი, კერიკი, უელბეკი (80. ვალენსია), იანგი (90+1. კაგავა) – რუნი (85. ერნანდესი), ვან პერსი

**სიტი (4-5-1):** ჰარტი – საბალეტა, ნასტასიჩი, კომპანი, კლიში – ი. ტურე, მილნერი, ბარი, ნასრი (71. აგუერო), დ. სილვა (90. ლესკოტი) – ტევესი (90+3. ხ. გარსია)

**გაფრთხილება:** რუნი, რაფაელი, ვალენსია – დ. სილვა, კომპანი, ტევესი, ბარი, საბალეტა

**კარში დარტყმა:** 13-6 (6-3) **კუთხური:** 9-4 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 13-20 **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 75 498

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 31 | 25 | 2 | 4 | 71-33 | 77 |
| 2. სიტი | 31 | 19 | 8 | 4 | 57-27 | 65 |
| 3. ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 61-33 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 55-40 | 58 |
| 5. არსენალი | 31 | 16 | 8 | 7 | 61-34 | 56 |
| 6. ევერტონი | 31 | 13 | 13 | 5 | 49-37 | 52 |
| 7. ლივერპული | 32 | 13 | 10 | 9 | 59-40 | 49 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42-43 | 44 |
| 9. სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43-42 | 41 |
| 10. ფულჰემი | 31 | 10 | 9 | 12 | 43-47 | 39 |
| 11. საუთჰემპტონი | 32 | 9 | 10 | 13 | 46-53 | 37 |
| 12. ვესტ ჰემი | 31 | 10 | 7 | 14 | 35-44 | 37 |
| 13. ნიუკასლი | 32 | 10 | 6 | 16 | 42-56 | 36 |
| 14. ნორვიჩი | 32 | 7 | 14 | 11 | 30-49 | 35 |
| 15. სტოკ სიტი | 32 | 7 | 13 | 12 | 28-39 | 34 |
| 16. ასტონ ვილა | 32 | 8 | 9 | 15 | 35-59 | 33 |
| 17. სანდერლენდი | 32 | 7 | 10 | 15 | 34-45 | 31 |
| 18. უიგანი | 31 | 8 | 7 | 16 | 37-57 | 31 |
| 19. ქუინზ პარკი | 32 | 4 | 12 | 16 | 29-52 | 24 |
| 20. რედინგი | 32 | 5 | 8 | 19 | 36-63 | 23 |

**ბომბარდირები:** 22 - ლუის სუარესი (ლივერპული), 19 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - გარეთ ბეილი (ტოტენჰემი), მიგელ მიჩუ (სუონსი)

● ქართული ჭიდაობა



# ძიუდოში უკეთ მოსამზადებლად

ცნობილი გახდა, რომ ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალში, რომელიც 2015 წელს თბილისში გაიმართება, ძიუდოში 1998-1999 წლებში დაბადებული ჭაბუკები იასპარეზებენ. ამის გათვალისწინებით საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციამ გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი შეჯიბრება ჩაატაროს ამ ასაკის სპორტსმენებისთვის, რადგან ქართული ჭიდაობა ფაქტობრივად ბევრად აღარ განსხვავდება იაპონელთა ჭიდაობისგან.

პირველი ასეთი შეჯიბრი - საქართველოს ზონალური პირადი პირველობა ჩატარდა ქ. ხაშურში თიანეთის, ბორჯომის, მცხეთის, კასპის, გორისა და ხაშურის რაიონების 80 სპორტსმენის მონაწილეობით.

ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების შესანიშნავი დონით გამოირჩეოდნენ ხაშურლები: **თემურ ნოზაძე, ლუკა მაისურაძე** და **შათირ შერაზადიშვილი** (გადაეცა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი), ქარელელები: **ზვიად ბერუაშვილი და გიორგი პოლიტაშვილი.**

შეჯიბრებას ესწრებოდნენ ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი,** პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ოთარ ყურაშვილი,** ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი **რამაზ ხარშილაძე** და ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

I-IV ადგილზე გასული მოჭიდავეები გამოვლენ ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც 25-27 აპრილს ქ. მცხეთაში გაიმართება.

**კვარცხლბეკი**

**46 კგ.** 1. თემურ ნოზაძე (ხაშური), 2. ზურა კახნიაშვილი (გორი), 3. შალვა ოსაძე (ქარელი).

**50 კგ.** 1. ვანო ხუბაშვილი (მცხეთა), 2. ვაჟა მარჯანიძე (ქარელი), 3. ალეკო კაიდარაშვილი (გორი).

**55 კგ.** 1. ზვიად ბერუაშვილი, 2. ნიკა კაკაშვილი (ორივე - ქარელი), 3. ნოდარ მშვიდობაძე (გორი).

**60 კგ.** 1. ლუკა მაისურაძე (ხაშური), 2. რეზო თაბუკაშვილი, 3. ტარიელ ბუქულაშვილი (ორივე - გორი).

**66 კგ.** 1. შათირ შერაზადიშვილი (ხაშური), 2. გაგა ქიტიაშვილი (ქარელი), 3. პაატა კურტანიძე (ბორჯომი).

**73 კგ.** 1. ოთარ გოგიძე, 2. ელგუჯა ზერეკიძე (ორივე-გორი), 3. გოჩა ქერდიკაშვილი (მცხეთა).

**+81 კგ.** 1. გიორგი პოლიტაშვილი (ქარელი), 2. ჯაბა ქარელიშვილი (გორი), 3. გურამ გოგიჩაშვილი (ხაშური).

**იური იმერლიშვილი**

● ჭადრაკი

# ფინიშამდე 2 ტურით ადრე



ირაკლი ბერაძე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 12 და 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობებზე უკვე გათამაშდა შვიდი ტური. ფინიშამდე ორი ტურით ადრე თითოეულ ასაკში საკმაოდ დიდი ჯგუფი აცხადებს მედლებისთვის პრეტენზიებს.

**12-წლიან** გოგონებში 5,5-5,5 ქულით ელენე კოსტავა და სანდრა კაპანაძე მეწინავეობენ. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით თამარ ესაძე, სალომე სანიკიძე და ლილე ქორიძე ჩამორჩებიან. ამ ასაკის ბიჭებში 6-6 ქულით ორი ლიდერია — ნიკოლოზ პეტრიაშვილი და კოკა ბუკია. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა მათე თოდაშვილმა. სამ მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

**20-წლიან** გოგონებში 6 ქულით ანა კუჭავა დაწინაურდა. მერი არაბიძემ და ანა შამათავამ 5,5-5,5 ქულას მოუყარეს თავი. ვაჟებში ზურაბ ჯავახაძეს დარჩენილ ორ ტურში ჩემპიონობისა და მსოფლიოს პირველობის საგზურის მოსაპოვებლად ნახევარი ქულაც ჰყოფნის, რადგან 7 ტურის შემდეგ 6,5 ქულა აქვს და უახლოეს მეტოქეს — ირაკლი ბერაძეს 1,5 ქულით უსწრებს.

**ვაჟა დანელია**

# მოგებით დაიწყეს

**მიხეილ მჭედლიშვილი, კონსტანტინე შანავა, ლევან ფანცულაია, ბელა ხოტენაშვილი, სოფიკო ხუხაშვილი** და **მაკა ფურცელაძე** დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ. ექვსივე დიდოსტატმა წარმატებით აილო სტარტი. პირველ ტურში ჩვენებურებმა, შესაბამისად, სამერ მეჰდი (ირანი), მიხაელ კლიზჩი (გერმანია), ანდრეას ალბერსი (გერმანია), ალმაზარეგ ესა (საამიროები), მარშულ მოჰამედი (საამიროები) და მულავანა ტიმი (ინდოეთი) დაამარცხეს.

**ვაჟა დანელია**




● სამბო. ინტერვიუ ნაკრების მწვრთნელ ჯონდო მუზაშვილთან

# ვაჯობოთ მეტოქეს, ვაჯობოთ არბიტრებს

**საქართველოს ნაკრები ამას წინათ იმყოფებოდა მოსკოვში, სამბოს ფუძემდებლის ანატოლი ხარლამპიევის მემორიალურ ტურნირზე. ეს ტრადიციული შეჯიბრება ყოველთვის მაღალი დონისაა და მასში ბევრი შესაბამისი კლასის მოჭიდავე ასპარეზობს. შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრებიც ძლიერი შემადგენლობით გაემგზავრა. ჩვენმა ფალავანებმა ხუთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ტურნირი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისის გზაზე. კონტინენტის ჩემპიონატი კი იტალიაში 17-21 მაისს შედგება. სამბოს ნაკრები ბაკურიანშია შეკრებაზე. გუნდის თავკაც ჯონდო მუზაშვილს სწორედ იქ შევეხმიანეთ.**

**- ხარლამპიევის ტურნირზე ხუთიდან ხუთი წაგებული ფინალი ბევრს, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოეჩვენა და არბიტრების ობიექტურობაზე კითხვები წარმოეშვათ.**

- მესმის ქართველი გულშემატკივრის, ეს კითხვებიც მათ, ალბათ, ლოგიკურად გაუჩნდათ. მსაჯობის დონემ ნამდვილად ვერ დამაკმაყოფილა. საერთოდ, ჩვენს სამბისტებს მუდამ ვაფრთხილებ, რომ არენაზე გასულებმა მოწინააღმდეგესაც უნდა აჯობონ და მსაჯებსაც. განსაკუთრებით მძიმე წონის ფინალმა გამიჩინა პროტესტი. ონისე ბულაძის და რომან მიხალჩენკოს (რუსეთი) საჩემპიონო დაპირისპირების დასრულებამდე 15 წამი რჩებოდა, როცა არბიტრებმა შეხვედრა გააჩერეს და ერთი წუთის წინ გაკეთებულ გდებაზე მიხალჩენკოსთვის ქულების იმ ოდენობის მინიჭება გადაწყვიტეს, რაც მას გაამარჯვებინებდა (!). უნდა აღვნიშნო, რომ ხუთიდან ოთხი ფინალი რუსთან წააგეს ჩვენმა სამბისტებმა, ერთი ყაზახ სპორტსმენთან. სხვათა შორის, გივი ნადარეიშვილის (52) მარცხი ყაზახ ბეიმბეტ კანჯაროვთან დასანანი გამოდგა, რადგან გივიმ თავისი უპირატესობა გამოუცდელობის გამო წყალში გადაყარა. კიდევ ერთმა ფინალისტმა უშანგი კუზანაშვილმა 57 კგ-დან 62-ში ახლახან აინაცვლა და მისგან ჯერჯერობით ოქროს მედლის ვერმოპოვება ტრაგედია ნამდვილად არაა. ცოტა ხანში ადაპტაციის ეტაპი გაივლის და მას ისევ ვიხილავთ კვარცხლბეკის უმაღლეს მწვერვალზე. საზოგადოდ, ამ შეჯიბრებაში ქართველთა გამოსვლა მაინც დადებითად მინდა შევაფასო, რადგან ხარლამპიევის მემორიალი მუდამ წარმომადგენლობითია. ზუსტად ვერ გეტყვით სტატისტიკას, მაგრამ შესაძლოა ამდენი მედალი ამ ტურნირზე უწინ არც მიგვილია.

**- აღნიშნული შეჯიბრება ალბათ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპის ნაწილი იყო. კიდევ რას გეგმავთ მაისში გასამართ კონტინენტის ჩემპიონატამდე?**

- დაგეგმილი გვაქვს სამი შეკრება. ერთს ამჟამად გავდივართ. აქ კონტინენტის პირველობაზე საასპარეზო სავარაუდო შემადგენლობის დიდი ნაწილია წარმოდგენილი. ახლანდელი შეკრება მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშებისგან შედგება. მომდევნო იქნება დუშეთში, ხოლო მესამე შეკრებას სად ჩავატარებთ, მოგვიანებით გადაწყდება. აჯობებს, თუ ერთობლივ წვრთნებს გავმართავთ რომელიმე გუნდთან. ამ ეტაპზე სომხეთის ნაკრებმა შემოგვთავაზა ერთობლივი შეკრება, რაზეც დავფიქრდებით და გადავწყვეტთ. გარდა შეკრებებისა, დაგეგმილია საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაც.

**- ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდის შემადგენლობა როდის გახდება ცნობილი?**

- ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ცხრა დღით ადრე დაგეგმილი გვაქვს საკონტროლო შეხვედრები და შემადგენლობაც სრულად მაშინ გახდება ცნობილი.

**- ნაკრების დაკომპლექტებისას გარკვეული უპირატესობა მიენიჭება საქართველოს პირველობაში გამარჯვებულებს?**

- გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ასე იქნება. ოღონდ მერწმუნეთ, არც ერთ სპორტსმენს არ ექნება ჩვენი მხრიდან არაობიექტური დამოკიდებულების განცდა.

**- ბოლო წლებში ხშირად ლაპარაკობენ, რომ ნაკრებში სამბისტი ცოტაა და გუნდი ძირითადად ძიუდოისტებით კომპლექტდება.**

- ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას. თუ გადავხედავთ, მაგალითად, იმავე არკადი ხარლამპიევის მემორიალზე გამოსულ შემადგენლობას, ან სულაც ამჟამად შეკრებაზე მყოფ გუნდს, აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ სამბისტები არიან.



ჯონდო მუზაშვილი

**- თქვენ, ფაქტობრივად, პირველ ნაბიჯებს დგამთ საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. როგორ შეაფასებდით განვლილ ეტაპს?**

- აქტიური კარიერის შემდეგ, მოგეხსენებათ, ვმუშაობდი მწვრთნელად გარკვეული პერიოდი, მაგრამ ეს სულ სხვაა. სასიამოვნოა, როდესაც ესოდენ საპასუხისმგებლო თანამდებობას გაბარებენ. მთელი მონდომებით ვარ ჩართული საქმიანობაში და ვიმედოვნებ, წარმატებული იქნება ჩემი მუშაობა. გუნდი ძალიან კარგი სამბისტებითაა დაკომპლექტებული, მათ ბევრი შეუძლიათ.

**ვასილ ბალახაძე**

● სამბო. ევროპის პირველობა

# სრული გუნდის კორექტივები

## სამბისტები ევროპაზე უდანაკარგოდ გამოვლენ

სამბოს ფედერაციამ გუშინ ღია ვარჯიშზე დაასახელა ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 11-15 აპრილს კვიპროსულ ლიმასოლში ევროპის პირველობაზე იასპარეზებს. თუმცა ჯერ მწვრთნელებზე ვთქვათ, რადგან სამწვრთნელო შტაბში სერიოზული სიახლეებია. მოგეხსენებათ, თავიდან ორივე ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონ **ავთანდილ ცინცაძეს** ჩააბარეს, თუმცა მერე გაყვეს, ცინცაძე ახალგაზრდებში დატოვეს, ჭაბუკებში კი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **მირიან პავლიაშვილი** მიიწვიეს. პავლიაშვილს თავიდანვე სთავაზობდნენ ამ პოსტს, მაგრამ მაშინ თვითონ ვერ გადაეწყვიტა კარიერის დასრულება და მწვრთნელად მუშაობა. საბოლოო გადაწყვეტილება ოდნავ მოგვიანებით მიიღო და დანიშნეს კიდეც.

მწვრთნელებმა ლიმასოლში წასაყვანი გუნდები ძირითადად საქართველოს პირველობის შედეგების მიხედვით დააკომპლექტეს, თუმცა ახალგაზრდებში 48 კილოგრამში გადაწყვეტილება პირადული შეხედულებით მიიღეს და მოგვიანებით შერჩეული კადრი დააყენეს - გორელი **გიორგი მელქუაშვილი.** მას ქვეყნის პირველობაზე არ უჭიდავია და, საერთოდ, ამ წონაში სულ ორი მონაწილე იყო, რომელთაგანაც ერთმა დააგვიანა. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელებმა ამ წონაში სხვა კანდიდატების მოძიება დაიწყეს და საბოლოოდ არჩევანი მელქუაშვილზე შეაჩერეს - მათი აზრით, ის მედალოსნებზე უფრო პერსპექტიულია.




YOUTH & JUNIOR
2013 - LIMASOL - CYPRUS

სხვა წონებში ქვეყნის ჩემპიონები **ლერი ბედინაძე** (52; აჭარა), **თორნიკე მუზაშვილი** (57; მცხეთა-მთიანეთი), **ლუხუმ ჩხვიმიანი** (62; სამეგრელო-ზემო სვანეთი), **ბექა ტულუში** (68; სამეგრელო-ზემო სვანეთი), **მიხეილ მეზურნიშვილი** (74; თბილისი), **უშანგი მარგიანი** (82; იმერეთი), **ილია მანველიშვილი** (90; კახეთი), **თორნიკე ოთინაშვილი** (100; სამაჩაბლო) და **გუგა კიბორძალიძე** (+100; იმერეთი) შეიყვანეს. ამდენად, ლიმასოლში სრული გუნდით გამოვალთ, ჩვენ კი მკითხველის ყურადღებას მძიმეწონოსან ფალავანზე შევაჩერებთ - ის სამბოსა და ძიუდოში სახელმოხვეჭილი აკაკი კიბორძალიძის შვილია.

ლიმასოლში სრულად დაკომპლექტებული გუნდი გვეყოლება ჭაბუკებშიც, სადაც მხოლოდ საქართველოს ჩემპიონები გამოვლენ: **თორნიკე ნაგლიაშვილი** (48; მცხეთა-მთიანეთი), **იოსებ მელაძე** (52; მცხეთა-მთიანეთი), **სოლომონ თედიაშვილი** (56; კახეთი), **თორნიკე ჭოველიძე** (60; სამაჩაბლო), **გიორგი გუგულაშვილი** (65; თბილისი), **გიგა ნოზაძე** (70; შიდა ქართლი), **აპოლონ ზურაბიანი** (75; სამეგრელო-ზემო სვანეთი), **ირაკლი გოგია** (81; სამეგრელო-ზემო სვანეთი), **ჯონი ჭითანავა** (87; სამეგრელო-ზემო სვანეთი) და **ჯემალ დაბრუნდაშვილი** (+87; შიდა ქართლი).

სამწუხაროდ, ამჯერად მონაწილე არ გვეყოლება გოგოებში - არც ერთ ასაკში. ვფიქრობთ, ქალთა ჭიდაობისადმი ქვეყანაში მიდგომა უნდა შეიცვალოს. ცხადია, უპირველესად, ეს ფედერაციებიდან უნდა დაიწყოს, მაგრამ სახელმწიფოს თანადგომაც აუცილებელია.

ჩვენები კვიპროსში დღეს გაემგზავრებიან, პირველი საშეჯიბრო დღე კი 12 აპრილია. ამ დღეს ახალგაზრდებიდან 48, 60 და 73-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ, ჭაბუკებიდან - 48, 62 და 82-ის (რაკი გოგოებში მონაწილე არ გვეყოლება, მათზე ამჯერად არც შევჩერდებით). 13-ში საჭიდაოდ 52, 68, 90 და +100 კილოგრამის ახალგაზრდები და 52, 65, 81 და +87-ის ჭაბუკები გავლენ. 14 აპრილს, შეჯიბრების ბოლო საასპარეზო დღეს 20-წლამდელებიდან მედლების მოპოვებას 57, 74 და 100 კილოგრამის სამბისტები შეეცდებიან, ჭაბუკებში - 56, 70 და 87-ის მოზარდები. ევროპის პირველობა 15 აპრილს იხურება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# კადეტებმა ხმლით დაიწყეს, რაპირით ამთავრებენ

**ხორვატიის ქალაქ პორეკში გრძელდება კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც სცდიან ძალებს.**

ასპარეზობის პირველ დღეს კადეტ მოხმალავეთა პაექრობაში ჩაება **საბა სულამანიძე.** ჯგუფში მან ხუთივე მეტოქე დაამარცხა: ტუნისელი ფარის ფერჯანი (5:2), დიდი ბრიტანელი ვილიამინ დირი (5:2), სერბი ლუკა ტიკვიჩკი (5:4), ვენესუელელი ხოზე ქუინტერო (5:1) და ესპანელი პაბლო როსერი (5:2). პლეი ოფში ზედიზედ ორ მეტოქეს სძლია - კანადელ ფილიპ პიტურას (15:11) და უნგრელ ვიქტორ ჰაბონის (15:14), რვა საუკეთესოში შესასვლელი პაექრობა უკრაინელ ოლექსანდ კარაკაისთან დათმო 11:15 და საბოლოოდ მე-9 ადგილით დაკმაყოფილდა. ჩემპიონობა კონსტანტინ ვორონოვმა (უკრაინა) მოიპოვა, რომელმაც ფინალში არტიომ ნოვიკაუს (ბელარუსი) აჯობა. მესამე ადგილებზე ედუარდ გერტი (გერმანია) და მარკო ლესი (იტალია) გავიდნენ.

რაპირაში გოგონებს შორის **თეონა გოგლიძე** ასპარეზობდა. ჯგუფში მან მხოლოდ ერთი მეტოქე დაამარცხა - სამხრეთაფრიკელი ანელინ კოტსი (5:2), დანარჩენი ოთხი ორთაბრძოლა დათმო, თან რუს დარია ავეჩკინასთან და ბელგიელ ვიოლეტა ლებრუნთან - თითო ქულით (4:5). ჩვენებური პლეი ოფში მომავალ ვერცხლის პრიზიორთან - ამერიკელ ლიქსმან პუას (5:4), დიდ ბრიტანელ ემილ სინგლერს (5:2) და სომეხ არტურ კოჩარიანს (5:1), პორტუგალიელ ფრანჩისკო კარვალიოსთან კი დათმო პაექრობა - 3:5. ჯგუფში კარგად იასპარეზა ახალგაზრდებში საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა **ირაკლი ფანცხავამაც** - ედუარდ ნოვიკიანს (სომხეთი, 5:1) , ანტონ კინფორს (შვედეთი, 5:4), მარკ ალმანს ანდრეუს (ესპანეთი, 5:3) აჯობა, ხოლო რუს ივან ლიმარევს (3:5) და უნგრელ გერგელი ტოჩს (4:5) დანებდა. ირაკლიმ პლეი ოფში მატიკლ დოკლი (სლოვენია) ჩამოიშორა გზიდან - 15:9, მაგრამ გერმანელი ნოე ვალტერის წინააღმდეგობა ვერ გადალახა - 9:15. სამაგიეროდ, მიხეილ მიქაელიანმა იყოჩაღა: ზედიზედ დაამარცხა იაევონ იოგი (კორეა, 15:9) და იაკობ სტიმნე (შვედეთი, 15:7), ხოლო ლატვიელ ანდრის იაჰიმოვიჩთან დამარცხდა - 6:15. ეს უკანასკნელი ვერცხლის პრიზიორი გახდა. მიქაელიანს მე-12, ფანცხავას კი 52-ე ადგილი ერგო. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. არიელ სიმონსი (აშშ), 2. ანდრის იაჰიმოვიჩი (ლატვია), 3. ხესუს ლიმარდო (ვენესუელა), ჯეკ ლეინისი (აშშ).

ამ სახეობაში გოგონათა შორის **მარია ზაკირჩენკო** გამოდიოდა. ჯგუფში 6 შეხვედრიდან 3 მოიგო (დაამარცხა რუმინელი ალექსანდრა პრედესკუ - 5:4, ესტონელი ლიზა მანაჯენკოვა - 5:4 და ბრაზილიელი კამილა სანტანა - 5:2) და ამდენივე პაექრობა დათმო (თურქ ბეგუნ ატაკერთან - 3:5, ესპანელ სოფია კისნეროსთან - 4:5 და ეგვიპტელ აია მენდისთან - 3:5). პლეი ოფში ზაკირჩენკომ ზედიზედ სძლია მერილინ პლენტის (კანადა, 15:10), მედილინ კელს (აშშ, 15:14), უედა კაოს (იაპონია, 15:11), ოჰ დაეს (კორეა, 15:9) და მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა: რუსული ბარიერი ვერ დაძლია - მარია ობრაზცოვასთან 7:15 წააგო. საბოლოოდ კი მე-8 ადგილი ხვდა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 106 წარმომადგენელი მონაწილეობდა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. ალიონა კომაროვი (ისრაელი), 2. აზა ლინდე (შვედეთი), 3. მარია ობრაზცოვა (რუსეთი), მადინა სტაჰლბერგი (გერმანია).

გუშინ კადეტთა მსოფლიოს პირველობაში ჩაება რაპირისტი **ლუკა ლალანიძე**. ჯგუფში მან სამ მეტოქეს აჯობა: დაძაბულ ბრძოლაში სძლია ბრაზილიელ ედუარდო გასტელს (5:4), იან ვანს (ტაივანი, 5:4) და ერიკ დინკოვიჩს (ხორვატია, 5:1), არადა, ამ უკანასკნელმა მხოლოდ ლუკასთან წააგო, დანარჩენი 5 მეტოქე კი დაამარცხა. პლეი ოფში ლალანიძემ ორი კონკურენტი ჩამოიშორა გზიდან: დანიელ კისი (დიდი ბრიტანეთი, 15:11) და ედვარდ ფიტჯერალდი (ავსტრალია, 15:7). დღეს ქართველი მოფარიკავე მერვედფინალში შესასვლელად ამერიკელ აქსელ კაიფერს დაუპირისპირდება.



საბრინა მასიალასთან დამარცხდა - 8:15 და შეჯიბრებას გამოეთიშა. იმ ორი მოგებით, 73 მონაწილეს შორის 58-ე ადგილი ერგო. კვარცხლბეკი კი ასე განაწილდა: 1. ვიქტორია შმელ-მესტერი (უნგრეთი), 2. საბრინა მასიალასი (აშშ), 3. გაბრიელა კეკჩინი (ბრაზილია) და ერიკა კიპრესა (იტალია).

გუშინ საპრიზო ადგილებისთვის დაშნით მოფარიკავენი იბრძოდნენ. ბიჭებში ორი წარმომადგენელი გვყავდა: კადეტებში საქართველოს ჩემპიონმა **მიქაელ მიქაელიანმა** ოთხ მეტოქეს მოუგო - ბულგარელ სავა სვეტოსლავოვს (5:3), სინგაპურელ ჰე-

**ვაჟა დანელია**

ქიდაობა

# მეფური საჩუქარი ქალაქისა და მწვრთნელისთვის

## ვორობიოვას თბილისური მოგონებები

უკრაინელი **პაველ ოლეინიკის** (96) შემდეგ თბილისზე დადებითად ევროპის კიდევ ერთმა ჩემპიონმა, რუსმა **ნატალია ვორობიოვამ** (72) ისაუბრა. ოღონდ, უკრაინელისგან განსხვავებით, ის ბევრად წონადი ფიგურაა - პირველი ოლიმპიური ჩემპიონია რუს ქალ მოჭიდავეთაგან, ეს წარმატება კი შარშან ლონდონში მოიპოვა. ვერ ვიტყვით, რომ ვორობიოვა თბილისში ამ სტატუსს ხაზს უსვამდა, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იური შახმურადოვი** რომ აფასებდა და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა, ეს კი იგრძნობოდა. ბუნებრივია, ქალებსაც თავისი საქმე ჰქონდათ, მაგრამ შახმურადოვი რამდენჯერმე შევნიშნე ტრიბუნებზე ქალთა გუნდით გარშემოკრებილი, რომლებსაც მზრუნველ მამასავით ადევნებდა თვალს, პარალელურად კი ლეიბზე მიმდინარე ბრძოლებს აკვირდებოდა და, სავარაუდოდ, შეგირდებს ორთაბრძოლებს ურჩევდა.



ვორობიოვამ თბილისში ძალზე დამაჯერებლად, ძლიერად იჭიდავა და კარიერაში პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. *„თბილისი ჩემთვის ბედნიერი ქალაქია, რადგან იქ მეორედ გავიმარჯვე - 2009 წელს იმავე დარბაზში მოვიგე მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში. სხვათა შორის, მაშინ ვალერია ჩეპსარაკოვაც ჭიდაობდა, რომელიც ახლაც ჩემპიონი გახდა. თბილისში დიდი მხარდაჭერა მქონდა, რადგან ბევრი ქართველი მწვრთნელი, სპორტსმენი და რიგითი ქომაგი მგულშემატკივრობდა. ამის დავიწყება არ შემიძლია"* - განუცხადა ვორობიოვამ რუს ჟურნალისტებს.

თბილისში მას უძნელესი წილისყრა ერგო - პირველივე წრეში ძირითად კონკურენტს, უკრაინელ ევროპის ჩემპიონ **ეკატერინა ბურმისტროვას** მოუგო, რითაც პირად შეხვედრებში ანგარიში 4:1-მდე გაზარდა. როგორც მისი სიტყვებიდან ირკვევა, შახმურადოვს საგანგებოდ მოუმზადებია ამ პაექრობისთვის და, შედეგიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ - კარგადაც!

**თბილისში დიდი მხარდაჭერა მქონდა, რადგან ბევრი ქართველი მწვრთნელი, სპორტსმენი და რიგითი ქომაგი მგულშემატკივრობდა. ამის დავიწყება არ შემიძლია**

ვორობიოვა ციმბირის პატარა ქალაქ ტულუნში დაიბადა და ჭიდაობაც იქვე დაიწყო იმის მიუხედავად, რომ დედა ამის წინააღმდეგი ყოფილა. ის თურმე დარბაზის ახლოს ცხოვრობდა და ერთხელაც მეგობარს გაჰყვა ვარჯიშზე, მოეწონა და თვითონაც დაიწყო მომზადება. როგორც მისი პირველი მწვრთნელი **კამილ ჯიგანჩინი** იგონებს, იმ მეგობრებმა თავი დაანებეს ჭიდაობას, ნატალია კი დარჩა, ოღონდ თავიდან ბიჭებთან უწევდა ვარჯიშიც და შეჯიბრებაც: *„ის დარჩა ბიჭების გარემოცვაში. ნატაშა მაშინ 10 წლის იყო. მახსოვს, როგორ მოდიოდნენ მწვრთნელები და მეკითხებოდნენ, შეიძლება, თქვენი გოგო ჩემს ბიჭთან ვაჭიდაო? ისინი ერთ ლეიბზე ვარჯიშობდნენ და ვორობიოვამ თავისი პირველი ტურნირიც ბიჭებში იჭიდავა - ორჯერ გახდა მეორე პრიზიორი ტულუნში, მერე კი მოიგო ირკუტსკის ოლქის პირველობა ბიჭებში".*

ნატალიამ მშობელი თურმე თბილისიდანაც ააფორიაქა, მაგრამ ამაში დამნაშავე ჩვენი რუსი კოლეგები ყოფილან. *„გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტებმა სამომავლო გეგმებზე მკითხეს. მე ვუპასუხე, რომ შეიძლება პირად ცხოვრებასაც მივხედო და გავთხოვდე, მათ კი დაწერეს, ვორობიოვა თხოვდებაო და დედაჩემმა აფორიაქებულმა დამირეკა. მინდა განვაცხადო, რომ 25 წლამდე დაოჯახებას არ ვჩქარობ და ჩემი გული დღესაც თავისუფალია"* - განმარტა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რომელსაც **იულია ტიმოშენკოსავით** ჰყვარებია დაწნული ვარცხნილობა.

ევროპის ჩემპიონს გამარჯვებისთანავე დაურეკა რუსეთის სპორტის მინისტრმა **ვიტალი მუტკომ** და გამარჯვება მიულოცა, პარალელურად კი ხელი მოაწერა ბრძანებას ტულუნში ნატალია ვორობიოვას სახელობის ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტული ცენტრის მშენებლობის შესახებ. ეს ფრიად საჭიროც იყო, რადგან, როგორც კამილ ჯიგანჩინი ამბობს, დარბაზი, სადაც თავიდან მომავალმა ჩემპიონმა ვარჯიში დაიწყო, ერთი ციდაა - 6X10, არ არის დუშ-კაბინები, ტუალეტი კი ქუჩაშია. ჯიგანჩინი ოლიმპიადის ფინალსაც იგონებს, რომელსაც თურმე მთელი ტულუნი ადევნებდა თვალს. *„დაახლოებით 30 კაცი - ქალაქის მერი, დეპუტატი, ადგილობრივი ფედერაციის პრეზიდენტი, მოჭიდავეები ერთად ვუყურებდით ფინალს. როცა გაიმარჯვა, დავურეკე დედამისს - ოლგა ნიკოლაევნას, მერე კი კუთხეში გავედი, სხვებს რომ არ დაენახათ, და ვტიროდი. ჩემი ტელეფონი მთელი დღე არ გაჩერებულა - ყველა მირეკავდა და მილოცავდა, უცნობი ადამიანებიც კი"* - გაიხსენა მწვრთნელმა. შარშან ჟურნალ „გლამურის" მიერ წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად აღიარებულმა ლამაზმანმა შეგირდმაც დაუფასა ამაგი ჯიგანჩინს და 2012 წლის გამოშვება „ნისანის" ჯიპი უყიდა საჩუქრად. ვორობიოვა მას თურმე ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე დაჰპირებია, თუ გავიმარჯვე, მანქანას გაჩუქებო. ამის მიუხედავად, ასეთ მეფურ საჩუქარს მაინც არ მოველოდი, ეს ჩემთვის ნამდვილი შოკი იყოო, დასძინა ბედნიერმა მწვრთნელმა.

**ირაკლი თავაძე**



ნატალია ვორობიოვა (მარჯვნივ)

აკადემიური ნიჩბოსნობა

# საგაზაფხულო პირველობა

თბილისის, მცხეთის, ქუთაისისა და ფოთის 50-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს საგაზაფხულო პირველობაში, რომელსაც ფოთმა უმასპინძლა. მედლებისთვის სპორტსმენები ორ ასაკობრივ ჯგუფში იბრძოდნენ. გოგონებში მხოლოდ ერთი მონაწილე იყო - მცხეთელი ანი გვილავა, რომელიც თანატოლთა შორის საერთაშორისო ტურნირებისთვის ემზადება.

ახალგაზრდებში ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით თბილისელმა **გიორგი ჯიქიამ** იყოჩაღა და ოქროს მედალი დაისაკუთრა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, **ცოტნე პირველაშვილი** (მცხეთა) და **დავით გიორგაძე** (ქუთაისი) გავიდნენ. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **ფარნა კაპანაძე, ნოდარ მარტოლეკი** (მცხეთა), 2. **ნიკოლოზ ქავთარაძე, ვახტანგ წიკლაური** (ფოთი), 3. **რომან ტუკვაძე, გიგა ბაზაძე** (ქუთაისი).

უფროსებში ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით პირველი მიიჭრა ფინიშთან **არჩილ ბაიაშვილი** (მცხეთა). მას მცირედით ჩამორჩა **გიორგი** კანდელაკი (ქუთაისი). მასპინძელ **გელა ქოიავას** მესამე ადგილი ხვდა.

ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით ახალგაზრდებმა უფროსებშიც მოსინჯეს ძალები. ფარნა კაპანაძემ და ნოდარ მარტოლეკმა (მცხეთა) აქაც იყოჩაღეს და პირველობა არავის დაუთმეს. ქუთაისელთა დუეტი (გიგა ბაზაძე, რომან ტუკვაძე) მეორე იყო, ხოლო ფოთელები — გიორგი კუჭავა და პეტრე ქავთარაძე ბრინჯაოს მედალს დასჯერდნენ.

ორადგილიანი გასაშლელი ნავებით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 1. **დავით ფხაკაძე, გიორგი ჩირაძე** (ქუთაისი), 2. **ვასილ ჩარკვიანი, მიხეილ ვოლნისტი** (მცხეთა), 3. **ზვიად შურღულაია, პეტრე ქავთარაძე** (ფოთი).

**ვაჟა დანელია**

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი**

**ლეგიონის კვირა**



# ხუთი-ხუთი

უკრაინის ჩემპიონატში გუშინ პლეი ოფები დაიწყო. მეოთხედფინალური სერიის პირველ შეხვედრაში **გიორგი ცინცაძის** კიევის „ბუდიველნიკმა" „ჰოვერლას" უმასპინძლა. პირველად-გილოსანს მერვესთან გამარჯვება ძალიან გაუჭირდა, თუმცა მიზანს მაინც კიეველებმა მიაღწიეს - 85:82.

ცინცაძემ შეტევაში სწორედ ისე ითამაშა, როგორც მისმა მეგობარმა **მანუჩარ მარკოიშვილმა.** „ბუმ" 4 ორქულიანიდან და ამდენივე სამიანიდან თითო ჩააგდო და 5 ქულა მოაგროვა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 8 შედეგიანი გადაცემა და 2 მოხსნაა.

თურქეთის ჩემპიონატში ზედიზედ მეთორმეტე მატჩი მოიგო მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაიმ", რომელიც უკვე ერთპიროვნული ლიდერია. იგი ერთი მოგებით უსწრებს „ფენერბაჰჩეს". რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი...

„თოფაზთან" შეხვედრაში „გალას" ქართველმა ლეგიონერმა 31 წუთი ითამაშა, 4-4 ორქულიანი და სამიანი სტყორცნა და თითო გამოიყენა, საბოლოოდ 5-5 ქულა-მოხსნა მოაგროვა.

იტალიაში ევროლიგური ფიასკოს შემდეგ ჯერაც ვერ გამოფხიზლდა სიენას „მონტეპასკი", რომელმაც სერია A-ში „კრემონასთან" წააგო და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა.

სიენელთა მწვრთნელმა **ვიქტორ სანიკიძეს** მხოლოდ 14 წუთი არგუნა...

იტალიის მესამე ლიგაში სატურნირო მდგომარეობა გამოისწორა **ნიკა მეტრეველის** „ომენამ". იგი ორი მოგებითღა ჩამორჩება მეოთხეადგილოსან „აგრიჯენტოს". რეგულარულის დასრულებამდე კი ერთი თვეა დარჩენილი. პლეი ოფში სწორედ საუკეთესო ოთხი გუნდი გადის.

**გიგა ჯანელიძის** „კაზაპუსტერლენგო" უკეთეს სიტუაციაშია: 16 გამარჯვება აქვს და 1 მოგებით ჩამორჩება მეოთხეადგილოსანს.

**ნიკა ცქიტიშვილის** „ჩამპვილმა" ლიბანში მორიგი მატჩი მოიგო, „ბიბლოსს" 87:66 სძლია. სკიტამ ამჯერად ორმაგი დუბლი ვერ შეასრულა, 11 მოხსნას 7 ქულა მიამატა.

ამ კვირაში, 10 აპრილს, ევროლიგის მეოთხედფინალში ჩაერთვება **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსი", რომლის მეტოქე თურქეთის „ეფესი იქნება.






**საქართველოს კალათბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ნოდარ ქორქიას ᲓᲔᲓᲘᲡ გარდაცვალების გამო.**

**პანაშვიდი: 9, 10 IV.**

**გამოსვენება 11 აპრილს, 14 საათზე. მისამართი: დავით ყიფიანის (ყოფილი დიდუბის) ქუჩა № 4, კორპ. 3.**

**პრეზენტაცია**

# ახალი კავშირი: კალათბურთელთა კავშირი

სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" გაიმართა ახალი ორგანიზაციის პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდნენ ვეტერანი კალათბურთელები ჩემპიონთა თასის მფლობელი **გურამ მინაშვილი, ზურაბ გრძელიძე, მიხეილ ახვლედიანი, ლევან გეგეშიძე** და **დავით თორთლაძე**. სწორედ ეს ხუთი ადამიანია „კალათბურთელთა კავშირის" დამფუძნებელი.

მის მიზნებზე მიხეილ ახვლედიანმა ილაპარაკა:

- ჩვენი მთავარი ამოცანა ქართული კალათბურთის ღრმა კრიზისიდან გამოყვანაა, რისთვისაც აუცილებელია ბავშვთა კალათბურთში შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღდგენა-რეაბილიტაცია; ეროვნული ჩემპიონატის მდგრადობის უზრუნველყოფა; ქალთა კალათბურთის რეანიმაცია; საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წესდების და საარჩევნო გარემოს ფიბა-ს რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა...

მან, იქვე შეგვახსენა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ბესიკ ლიპარტელიანის** ნათქვამი, რომლის მიხედვით ფედერაციაში შექმნილია ჯგუფი, რომელიც წესდებაზე მუშაობს.

- თუ ეს ჯგუფი მართლაც არსებობს, ხვალვე (ე.ი. დღეს) გავგზავნით ჩვენს წარმომადგენლებს, მათ შორის იურისტს, რათა წესდების ოპტიმიზაციის საკითხზე მუშაობაში ჩაერთოს.

შეხვედრაზე ითქვა, რომ „კალათბურთელთა კავშირი" ოქტომბერში დაგეგმილ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს, თუმცა სადღეისოდ კანდიდატი შერჩეული არ ჰყავთ. ისიც აღინიშნა, რომ მთავარი აქცენტი ბალავარზე, ბავშვთა კალათბურთზე გაკეთდება. ამ საკითხს დავით თორთლაძე შეეხო:

- სადღეისოდ ბავშვთა კალათბურთი მთლიანად მშობლებზეა დამოკიდებული, რომლებიც სწავლის გადასახადსაც იხდიან, შეჯიბრებებში მონაწილეობისასაც და ა.შ. ეს ცხადია, ხელს უშლის მასობრიობას, თუ შედეგების მიღწევა გვინდა, კალათბურთი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გვაქვს რეალური პროექტი, არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ვეტერანი გურამ მინაშვილი სხვა საკითხებთან ერთად ნაკრების მწვრთნელსაც შეეხო. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა მოსაზრება, რომ თუ უმაღლესი კლასის უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანის შესაძლებლობა არ გვაქვს, უმჯობესია აქცენტი ქართველ მწვრთნელზე გაკეთდეს...

- ჩემთვის ასევე მიუღებელია ის ფაქტი, რომ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ერთ ადამიანს რამდენჯერაც სურს იმდენჯერ შეეძლოს კანდიდატურის წამოყენება. სწორედ ამის გამო დავტოვე გასული წლის ბოლოს გამართული კალათბურთის ფედერაციის ყრილობა.

მიხეილ ახვლედიანმა დასძინა:

- ფედერაციის სათავეში მოსვლის შემთხვევაში, პირველი ცვლილება, რაც წესდებაში შევა, პრეზიდენტის საპრეზიდენტო ვადას შეეხება: ერთ ადამიანს ორ ვადაზე მეტით არჩევის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

„კალათბურთელთა კავშირთან" აქტიურად თანამშრომლობს მოქმედი კალათბურთელი **დავით საყვარელიძე**, რომელსაც ნიუ იორკის კოლეჯი აქვს დამთავრებული და საქართველოში ჩამოსვლამდე კალათბურთსაც აშშ-ში თამაშობდა.



**საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი**

**1/2 ფინალი**

**ოლიმპი-რუსთავი 71:55**

**24:20, 15:11, 18:10, 14:14.**

**ოლიმპი:** გ. ბაქრაძე (2ქ, 6მ), ბრაგვაძე, იაშვილი (3ქ), გოგოძე (14ქ, 3პ), იაკობიძე (7ქ), ცირეკიძე (12ქ, 17მ), ნ. ბაქრაძე, ფხაკაძე (2ქ, 20მ, 2დ), ბიჭაშვილი (2ქ), ლობჟანიძე (14ქ, 4პ), მიქელაძე (15ქ, 5პ, 2ჩ).

**რუსთავი:** ჩიჩუა, ლორთქიფანიძე (5ქ), ქიტოშვილი (20ქ, 8მ, 7პ), ოქროჭელიძე (6ქ, 7მ, 2ჩ), დვალი (5ქ, 3პ, 2დ), ურიდია (8ქ, 6მ), ნარჩომაშვილი (9ქ, 5მ, 3ჩ), რეხვიაშვილი (2ქ), ტაბალუა, ხატიაშვილი, ბარამიძე.



**სოხუმი-შსს 75:60**

**20:17, 14:18, 20:15, 21:10.**

**სოხუმი:** გაგნიძე (5ქ, 8მ, 2დ), მეგენეიშვილი (6ქ, 5პ), გაფრინდაშვილი (7ქ, 6მ), ტყაბლაძე, ჯინჭარაძე (25ქ, 10მ), გოლეთიანი (1ქ), მუიჟნიექსი (5ქ, 4პ, 2ჩ), ბულიავა (20ქ, 11მ, 2ჩ), არაბული (6ქ, 9მ, 2ჩ).

**შსს:** რ. როგავა (14ქ, 7მ, 6პ), გორდულაძე (4ქ), ლოლიშვილი (13ქ, 7მ), პულუზაშვილი (9ქ, 2დ), დ. როგავა, კვანტალიანი (14ქ, 12მ), მაჭავარიანი (4ქ), მოშიაშვილი (2ქ).

**ფინალი**

**ოლიმპი-სოხუმი 71:80**

**24:5, 10:30, 12:25, 25:20.**

**ოლიმპი:** გ. ბაქრაძე (4ქ, 6მ), ნადირაძე (9ქ, 7მ), იაშვილი (4პ), გოგოძე (27ქ, 6მ), იაკობიძე (1ქ), ცირეკიძე (3ქ), ნ. ბაქრაძე, ფხაკაძე (2ქ, 11მ), ბიჭაშვილი, ლობჟანიძე (11ქ, 6მ, 5პ), მიქელაძე (14ქ, 6მ, 4პ, 2ჩ).

**სოხუმი:** გაგნიძე (3ქ, 5მ), მეგენეიშვილი (4ქ, 4პ, 2ჩ), გაფრინდაშვილი (2ქ, 7მ), ტყაბლაძე, ჯინჭარაძე (23ქ, 12მ, 4პ, 3ჩ), გოლეთიანი, მუიჟნიექსი (21ქ), ბულიავა (12ქ, 12მ, 2ჩ, 4დ), არაბული (15ქ, 7მ, 2დ).

გასულ უქმეებზე დასრულდა საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია, გუშინ კი პირველი ფინალი გაიმართა, რომელშიც მოქმედმა ჩემპიონმა „სოხუმმა" „ოლიმპი" ცხრა ქულის სხვაობით დაამარცხა.

სერიის (ორ მოგებამდეა) მეორე მატჩი 11 აპრილს სპორტის სამინისტროს დარბაზში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (აშშ) | 1.04 | NBA | VS კლივლენდი | 102:94 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 3.04 | NBA | VS ნიუ იორკი | 82:95 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 5.04 | NBA | VS ფილადელფია | 90:101 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 6.04 | NBA | სან ანტონიო VS | 99:97 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (აშშ) | 3.04 | NBA | კლივლენდი VS | 95:113 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | | 4.04 | NBA | VS ჩიკაგო | 90:92 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 6.04 | NBA | შარლოტი VS | 96:105 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | 6.04 | თურქეთის ჩემპ. | თოფასი VS | 52:66 | 31 | 5 | 5 | 0 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 4.04 | ევროლიგა | კახა ლაბორალი (ესპ) VS | 76:64 | 19 | 7 | 3 | 0 | 1 | 1 |
| | | 7.04 | იტალიის ჩემპ. | კრემონა VS | 81:71 | 14 | 2 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტალია) | 7.04 | იტალიის ჩემპ. | მირანდოლა VS | 58:75 | 22 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 |
| გიგა ჯანელიძე | კაზაპუსტერენგო (იტ) | 7.04 | იტალიის ჩემპ. | კალაბრია VS | 87:91 | არ უთამაშია | | | | | |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 4.04 | ევროლიგა | VS ოლიმპიაკოსი (რუს) | 79:70 | არ უთამაშია | | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 2.04 | უკრაინის ჩემპ. | დონეცკი VS | 80:69 | 27 | 6 | 3 | 3 | 1 | 0 |
| | | 8.04 | უკრაინის ჩემპ. | VS ჰოვერლა | 85:82 | 26 | 5 | 2 | 8 | 0 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | 6.04 | ესპანეთის ჩემპ. | VS ხუვენტუდი | 87:80 | არ უთამაშია | | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 6.04 | ლიბანის ჩემპ. | VS ბიბლოსი | 87:66 | 35 | 7 | 11 | 4 | 3 | 0 |

## რაგბი

### ლეგიონერები

# რვა მეოთხედფინალი და მხოლოდ ორი ქართველი

## ჰაინეკენზე გორგოძემ ითამაშა, ჩელენჯკაპზე - ჟვანიამ

ევროთასების გათამაშების მეოთხედფინალური მატჩების შემდეგ, ბრძოლას ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდიდან სამი განაგრძობს. ყველაზე პრესტიჟული - „ჰაინეკენის თასის“ მოპოვების შანსი ერთბაშად ორ „ქართულ გუნდს“ აქვს. ესენია: „კლერმონი“ და „ტულონი“.

**დავით ზირაქაშვილის** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“ მეოთხედფინალში **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ შინ დაუპირისპირდა და 36:14 დაამარცხა. მატჩის გმირი ახალზელანდიელი გარემარბი **სიტივენი სივივატუ** შეიქნა, რომელმაც ორი ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ, ერთხელ თვითონ შეაღწია ჩათვლის მოედანში, მეორედ კი შუამარბ **ორელიან რუჟერის** გაატანინა ლელო. ამით „ვულკანებმა“ მეტოქე საბოლოოდ გატეხეს.

„მონპელიეს“ ძალიან არ გაუმართლა, რადგან მატჩის დასაწყისშივე დაშავდა გუნდის მგეზავი **ფრანსუა ტრინ-დუკი**. თამაშამდე ერთი დღით ადრე გავრცელებულ სასტარტო შემადგენლობაში იყო საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილი, თუმცა ის ვარჯიშისას დაშავდა და განაცხადში აღარ შეიყვანეს.

გორგოძემ სრულად ითამაშა, ჟღენტი, ნარიაშვილი და კოლელიშვილი განაცხადში არ იყვნენ. „კლერმონის“ მეტოქე ნახევარფინალში ირლანდიური „მანსტერი“ იქნება, რომელმაც სტუმრად შეძლო ინგლისური „ჰარლიქვინზის“ დამარცხება - 18:12.

**დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ შინ დაამარცხა ინგლისური „ლესტერ ტაიგერზი“ - 21:15. თამაში გუნდების მგეზავებისა და მთავარი დამრტყმელების - **ჯონი ვილკინსონისა** და **ტობი ფლუდის** დუელად გადაიქცა. „ვილკომ“ ინგლისის ნაკრებში ყოფილ თანაგუნდელს აჯობა და ორით მეტი საჯარიმო გაიტანა. ჩილაჩავა სათადარიგოთა შორის გახლდათ, თუმცა არ უთამაშია, ქუბრიაშვილი და მიქაუტაძე განაცხადში არ იყვნენ.

ნახევარფინალში „ტულონის“ მეტოქე გაცილებით სერიოზული იქნება - ინგლისის ჩემპიონი „სარასენზი“, რომელმაც შინ დაამარცხა ირლანდიური „ალსტერი“ - 27:16.

| 1/4 ფინალი | |
|---|---|
| კლერმონი-მონპელიე | 36:14 |
| ჰარლექვინზი-მანსტერი | 12:18 |
| სარასენზი-ალსტერი | 27:16 |
| ტულონი-ლესტერი | 21:15 |

**1/2 ფინალი**

კლერმონი-მანსტერი
სარასენზი-ტულონი

### აქ ერთი შემოგვრჩა

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ მეოთხედფინალური ეტაპის შემდეგ, ქართველ მორაგბეთა ორი გუნდიდან ბრძოლას ერთი - **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“ განაგრძობს. პარიზელებმა სტუმრად ითამაშეს ინგლისურ „ბასისთან“ და 36:20 მოიგეს. ჩვენებურის გუნდმა პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშა და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, პირველ ორმოც წუთში გადაწყვიტა. პარიზელები შესვენებამდე 17 ქულით დაწინაურდნენ - 20:3 და თამაშის სადავეები ხელიდან არც მეორე ტაიმში გაუშვიათ.

ჟვანია თადარიგში იყო და მოედანზე 72-ე წუთიდან გამოჩნდა. ნახევარფინალში „სტად ფრანსე“ სტუმრად დაუპირისპირდება „პერპინიანს“, რომელმაც თავის მხრივ შინ დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონი - **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი“ - 30:19.

ტულუზელებმა მასპინძლებს მეტნაკლები წინააღმდეგობა მატჩის პირველ ტაიმში გაუწიეს, თუმცა პერპინიანელებმა, რომლებიც ნელ-ნელა იბრუნებენ უწინდელ ფორმას, ფრანგული გრანდი შინ მაინც განბილებული გაისტუმრეს.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ირლანდიური „ლენსტერი“ შინ მიიღებს ბასკურ „ბიარიცს“. საგულისხმოა, რომ ორივე თასის ნახევარფინალში ხუთი ფრანგული გუნდი იასპარეზებს, ორი ირლანდიურია და ერთიც ინგლისური.

| 1/4 ფინალი | |
|---|---|
| პერპინიანი-ტულუზი | 30:19 |
| ბასი-სტად ფრანსე | 20:36 |
| ვოსფსი-ლენსტერი | 28:48 |
| გლოსტერი-ბიარიცი | 31:41 |

**1/2 ფინალი**

პერპინიანი-სტად ფრანსე
ლენსტერი-ბიარიცი

**ბესიკ ჯანგავაძე**



ბურთით მამუკა გორგოძე

# მეორე დივიზიონში ისევ ხუთი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში 26-ე ტურის მატჩები გაიმართა. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე, პლეი ოფში მოხვედრისთვის ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი იბრძვის. ესენია: „ბრივი“, „პო“, „ორიაკი“, „ტარბი“ და „ლიონი“.

ჩვენებუთა გუნდებიდან დღესდღეობით საუკეთესო მაჩვენებელი **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივს“ აქვს, რომელიც 78 ქულით მესამე ადგილზეა. ბრიველებმა 26-ე ტურში სტუმრად დაამარცხეს „კოლომიე“ - 18:16. ყველა ქულა სტუმართა გუნდს გარემარბმა **ჟულიენ კამინატიმ** მოუტანა (ექვსი საჯარიმო).

შველიძე და ნატრიაშვილი მოედანზე ერთდროულად, 54-ე წუთიდან გამოჩნდნენ, ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო.

„ბრივს“ ორი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **მამუკა მაგრაქველიძის** „პო“, რომელმაც სტუმრად წააგო **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცრაშვილისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ორიაკთან“ - 21:18. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ თამაში დაძაბული გამოვიდა, არბიტრმა ორივე გუნდიდან ორ-ორი მორაგბე გაასინბინა.

ასეიშვილი თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო, ნაცარაშვილი 62-ე წუთზე შეცვალეს, დათუნაშვილი - 69-ეზე.

66-66 ქულა აქვთ და მეექვსე-მეშვიდე ადგილებს იყოფენ „ქართული გუნდები“ „ლიონი“ და „ტარბი“. **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ სტუმად წააგო გათამაშების ლიდერ „ოიონაქსთან“ - 20:23. ქართველი განაცხადში არ იყო.

**გიორგი ნემსაძის, დავით დადუნაშვილის, ირაკლი მირცხულავასა** და **გიორგი ჩხაიძის** „ტარბი“ შინ დამარცხდა „ოშთან“- 14:16. ნემსაძემ და ჩხაიძემ სრულად ითამაშეს, ნემსაძე არბიტრმა 41-ე წუთზე გაასინბინა, მირცხულავა და დადუნაშვილი მოედანზე ერთდროულად, 50-ე წუთიდან გამოჩნდნენ.

სულ უფრო უარესდება **ალექსანდრე თოდუას, კახაბერ კობერიძის, ვახტანგ მაისურაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ვახტანგ ახობაძის** „ალბის“ სატურნირო მდგომარეობა. ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად დამარცხდა „ნარბონთან“ - 11:14.

თეთრაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო, მაისურაძე მე-60 წუთზე შეცვალეს, თოდუამ მოედანზე 12 წუთით მეტი დაჰყო, კობერიძე და ახობაძე განაცხადში არ იყვნენ.

31 ქულით ბოლო ადგილზეა და დივიზიონის დატოვების საფრთხე რეალურად ემუქრება **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასის“. პარიზელებმა 26-ე ტურში სტუმრად წააგეს მეორეადგილოსან „ლა როშელთან“ - 27:44. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს, სამ წუთში კი, თამაშში სუთიაშვილი ჩაერთო.

„მასის“ ცხრა ქულით უსწრებს და მე-14 ადგილზეა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“, რომელმაც სტუმრად წააგო „კარკასონთან“ - 8:12. ქართველი შერკინების ბურჯი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს.

ლანგედოკელებს ერთი ქულით უსწრებს და ერთი საფეხურით წინ არის **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი“, რომელმაც შინ შეძლო „ექსის“ დამარცხება - 25:15. რატიანიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

**II დივიზიონი**

**XXVI ტური**

ტარბი-ოში 14:16, დაქსი-ექსი 25:15, კარკასონი-ბეზიე 12:8, ორიაკი-პო 21:18, ალბი-ნარბონი 11:14, ლა როშელი-მასი 44:27, ოიონაქსი-ლიონი 23:20, კოლომიე-ბრივი 16:18.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ოიონაქსი - 101 ქულა, 2. ლა როშელი - 82, 3. ბრივი - 78, 4. პო - 76, 5. ორიაკი - 69, 6. ლიონი - 66, 7. ტარბი - 66, 8. კარკასონი - 64, 9. ნარბონი - 62, 10. კოლომიე - 57, 11. ალბი - 54, 12. ოში - 45, 13. დაქსი - 41, 14. ბეზიე - 40, 15. ექსი - 38, 16. მასი - 31.

■ ■ ■

კელტთა ლიგაში გასულ უქმეებზე შესვენება იყო. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა“ ტრადიციულ შვიდკაცა ტურნირზე იასპარეზა, რომელშიც საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა. ედინბურგელთა შვიდკაცა რაგბის გუნდში ბასილაიამაც ითამაშა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## უცხოური სპორტი

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ჯეიმს ნილი

# კროსბის პლეი ოფამდე დაასვენებენ

## ჰოკეის ეროვნული ლიგა მსოფლიოს თასსა და ჩემპიონთა ლიგას ჩაატარებს

„პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტნის **სიდნი კროსბის** მდგომარეობა უმჯობესდება იმ მძიმე ტრავმის შემდეგ, რომელიც მან რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მიიღო. შეგახსენებთ, რომ კანადური ჰოკეის მთავარ ვარსკვლავს თანაგუნდელის დარტყმული შაიბა მოხვდა სახეში, ყბა გაუტყდა და რამდენიმე კბილი დაკარგა.

*„გავიდა ერთი კვირა და თავს უკეთ ვგრძნობ, ვიდრე პირველ დღეებში, როცა საავადმყოფოში მოვხვდი,* - ამბობს NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდზე კროსბი. - *ყოველ დღე დავდივარ ექიმთან იმისთვის, რომ ყინულზე დაბრუნების უფლება მივილო. ვწუხვარ თუ არა დაკარგული კბილების გამო? არა. მე უფრო მეტად მანერვიულებს სრული გამოჯანმრთელება და გუნდში დაბრუნება. იმედია, ეს სულ მალე მოხდება“.*

საერთო ჯამში, ამ სეზონში „პიტსბურგს“ არ უმართლებს და პრაქტიკულად ვერ ახერხებს ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას. გუნდს გარკვეული ხანი არ ჰყავდა **ევგენი მალკინი**, შემდეგ მწყობრიდან გამოვიდა წამყვანი მცველი **კრის ლეტანგი**, ამას მოჰყვა კრობის ტრავმა. ახლა კი „პინგვინებს“ დააკლდათ ერთ-ერთი ბომბარდირი **ჯეიმს ნილი**, რომელმაც თავში დარტყმა მიიღო და მინიმუმ ერთი კვირის გამოვიდა მწყობრიდან.

25 წლის ნილმა 39 მატჩში 32 ქულა (18+14) დააგროვა. არსებობს ვარაუდი, რომ „პიტსბურგის“ ხელმძღვანელობა კროსბისა და ნილს რეგულარულში აღარ ათამაშებს, რადგან „პინგვინზს“ უკვე განაღდებული აქვს პლეი ოფში თამაში. სწორედ ამ ეტაპზე დაბრუნდებიან ეს ფორვარდები.

■ ■ ■

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობა ორი მოულოდნელი ინიციატივით გამოვიდა, რომელიც პირდაპირ ეხება ევროპულ ჰოკეის. ლიგის ერთ-ერთმა დირექტორმა **ჯონ კოლინზმა** განაცხადა, რომ NHL-ს აქვს ევროპული ბიზნეს-გეგმა, რომელიც ვარაუდობს მსოფლიოს თასის აღდგენას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს საუკეთესო ჰოკეისტებით დაკომპლექტებული ნაკრებები. ასევე გეგმაშია ჩემპიონთა ლიგის ანალოგიური ტურნირის ჩატარება კლუბებს შორის.

*„გამორიცხული არ არის, რომ ჩვენ მოვაწყობთ მატჩებს NHL-ის კლუბებსა და ევროპის საუკეთესო გუნდებს შორის. როგორ მოვაწყობთ ამას? ეს საკითხები განხილვის სტადიაშია“,* - განაცხადა კოლინზმა.

„ნიუ იორკ პოსტის“ მიმომხილველის **ლარი ბრუქსის** აზრით, მსოფლიოს თასის ორგანიზებისას მთავარი პრობლემა იქნება ფულადი საკითხი: აუცილებელი გახდება მარკეტინგული შეთანხმება, რათა ტურნირი ფინანსურად მომხიბვლელი იყოს. *„მსოფლიოს თასი ძალიან წარმატებული შეიძლება იყოს, თუ მატჩები აშშ-ის ქალაქებში გაიმართება, ხოლო ფინალი ნიუ იორკში შედგება, ოღონდ მას შემდეგ, რაც ამერიკულ ფეხბურთში სუპერბოული გაიმართება“,* - მიაჩნია ბრუქსს.

**დეტროიტი-სტ ლუისი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 პორტერი-2 (ბერგლუნდი-7, ჯეკმენი-9).

**სან ხოსე-დალასი 4:5 (ბ)**

1:0, 3:2, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 უინგელსი-4 (კუტური-13), 2:0 ბერნსი-6 (ბრაუნი-4, ნიემი-1), 2:1 ნისტრიომი-6 (ფიდლერი-9), 2:2 ჩიესონი-2 (ჯეიმი ბენი-18, რეი უიტნი-10), 3:2 გალიარდი-3 (ტორესი-8), 4:2 ვლასიჩი-3 (ტორესი-9, ბრაუნი-5), 4:3 ჩიესონი-3 (რეი უიტნი-11, ჯეიმი ბენი-19), 4:4 ლ. ერიქსონი-10 (ფრეზერი-1, გოლიგოსკი-20).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯეიმი ბენი (დალასი).

**ფლორიდა-ოტავა 2:1**

0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კონაჩერი-10 (სილვერბერგი-9, ზიბანეჯადი-13), 1:1 გოკი-5 (ფლიშმანი-18, კოპეცკი-11), 2:1 კულიკოვი-2 (იუბერდო-14, ბ. კემპბელი-16).

**კოლამბუსი-მინესოტა 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 რ. სატერი-4 (პომინვილი-16, სპარჯონი-9), 0:2 კოილი-6 (გრანლუნდი-6, სეტოგუჩი-12), 0:3 პომინვილი-11 (პარიზე-17).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 4:2**

0:1, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ლეკავალიე-8 (სან ლუი-38, სალო-13), 1:1 ოვეჩკინი-24 (ჰილენი-2, ბექსტრიომი-34), 1:2 კილორნი-7 (ლეკავალიე-17, მ. კარლი-14), 2:2 ჯ. კარლსონი-6 (ჯ. უორდი-12, ჰილენი-3), 3:2 ჯ. უორდი-8 (მ. პერო-8, ჩიმერა-9), 4:2 ოვეჩკინი-25 (რიბეირო-26).

**ჩიკაგო-ნეშვილი 5:3**

1:1, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 შოუ-8 (ფროლიკი-6, ჰიალმარსონი-8), 1:1 სპალინგი-7 (ს. კოსტიცინი-11), 2:1 ბიკელი-8 (სტალბერგი-12, როჟსივალი-11), 2:2 შ. უებერი-8 (სპალინგი-4), 2:3 ლეგუანდი-11 (ჰალიშჩუკი-5, შ. უებერი-15), 3:3 საადი-9 (კიტი-20, ტეივზი-21), 4:3 ტეივზი-19 (პ. კეინი-26, შოუ-5), 5:3 პ. კეინი-20 ( საადი-14).

**ბაფალო-ნიუ ჯერსი 3:2 (ბ)**

1:1, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კალეტა-1 (ჰეხტი-9), 1:1 სალივანი-6 (ბერნიე-5), 2:1 ოტი-8 (ჰოჯსონი-17, გერბე-4), 2:2 ფეინი-1 (ზუბრუსი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** გებრე (ბაფალო).

**ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 4:3 (ბ)**

1:0, 1:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პალმიერი-9 (ბელესკი-4, შტეკელი-4), 1:1 დაუტი-3 (ბრაუნი-11), 2:1 პერი-13 (კოლიანო-10, სურეი-8), 2:2 ჯ. კარტერი-23 (მ. რიჩარდსი-16, რიჩარდსონი-1), 3:2 ბელესკი-7 (სურეი-9, ს. კოივუ-17), 3:3 ბრაუნი-15 (კოპიტარი-25, ჯასტინ უილიამსი-19).

**ბულიტები გაიტანეს:** რაიანი (ანაჰაიმი), ს. კოივუ (ანაჰაიმი), ჯ. კარტერი (ლოს ანჯელესი), პერი (ანაჰაიმი).

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. დევისის თასი

ტურნირები


კარლოს ბერლოკი

# კანადისა და ჩეხეთის ახალი ისტორია

გასულ კვირას მამაკაცებს შორის ATP-ის ტურნირი არ გამართულა, სამაგიეროდ, მეოთხედფინალური ეტაპი ჩატარდა დევისის თასზე.

გრძელდება ამ ტურნირზე კანადელთა ისტორიული გამოსვლა. ეს გუნდი პირველად თამაშობდა მეოთხედფინალში, მაგრამ ამით არ შემოიფარგლა და შინ იტალიის ნაკრებს სძლია. თუმცა მასპინძლებისთვის მატჩი ცუდად დაიწყო, რადგან **ვაშეკ პოსპიშილმა** ორსეტიანი უპირატესობა გაანიავა **ანდრეას სეპისთან** შეხვედრაში. მეორე მატჩში **მილოშ რაონიჩმა ფაბიო ფონინის** სძლია, წყვილთა შეხვედრა კი ნამდვილ დრამად გადაიქცა. პოსპიშილმა და **ნესტორმა** პირველი ორი სეტი მოიგეს, შემდეგი ორი პარტია **ბრაჩიალისა** და ფონინის დარჩათ. მეხუთე სეტში კი მასპინძლებმა 15:13 (!) იმარჯვეს. კვირას კი კანადას გამარჯვების ქულა რაონიჩმა მოუტანა, რომელმაც იტალიელთა პირველ ნომერს სეპის სძლია.

■ ■ ■

მოქმედი ჩემპიონი ჩეხეთი შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა ასტანაში ყაზახეთის წინააღმდეგ სათამაშოდ. **ტომაშ ბერდიხმა** ვერ შეძლო თამაში, **რადეკ შტეპანეკი** კი მხოლოდ ახლა მომჯობინდა და მზად არ იყო ერთეულებში სათამაშოდ. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ჩეხებს წინა მატჩი ნაგებული ჰქონდათ ყაზახებთან, ამ მეოთხედფინალს გარკვეული ინტრიგა ახლდა თან. თუმცა სტუმრებმა უკვე პირველი დღის შემდეგ მოიპოვეს სოლიდური უპირატესობა, როცა ტრავმით მოთამაშე **კუკუშკინმა** ბრძოლა ვერ შეძლო **ჰაიეკთან**, **გოლუბევმა** კი **ლუკაშ როსოლთან** წააგო, რომელიც, მოულოდნელად, გუნდის ლიდერი გახდა.

სამაგიეროდ, წყვილთა მატჩში **შჩუკინმა** და გოლუბევმა შეძლეს ერთი ქულის აღება და მასპინძლებს მცირე იმედი დაუტოვეს. კვირას, ევგენი კოროლიოვმა სამი თანაბარი სეტი ჩაატარა როსოლის წინააღმდეგ, მაგრამ სამი ტაი-ბრეიკიდან მხოლოდ ერთი მოიგო, მეოთხე სეტისთვის კი ძალები არ ეყო. ჩეხები ნახევარფინალში გავიდნენ და თან ისტორიაში პირველად ჩაუდგნენ სათავეში დევისის თასის რეიტინგს, რომელიც 2001 წლიდან არსებობს.

■ ■ ■

ერთადერთი მეოთხედფინალი, რომელიც ხუთ მატჩამდე გაიწელა, ბუენოს აირესში გაიმართა. არგენტინა **ხუან მარტინ დელ პოტროს** გარეშე თამაშობდა, საფრანგეთს **რიშარ გასკე** აკლდა. სტუმრების დანაკლისი უფრო სერიოზული აღმოჩნდა. **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** მხოლოდ ხუთ სეტში მოუგო **კარლოს ბერლოკს**, **ჟილ სიმონი** კი დამარცხდა **ხუან მონაკოსთან**, რომელსაც ამ სეზონში არც ერთი მატჩი არ მოუგია ATP-ის დონეზე. უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა წყვილთა მატჩმა, რომელშიც **ნალბანდიანმა** და **სებალიოსმა** მაყურებლების დახმარებით მოუგეს **ბენეტოსა** და **ლოდრას**. კვირას, ცონგამ გაანადგურა მონაკო, მაგრამ ბერლოკმა დაამარცხა მეოთხედფინალის ანტიგმირი სიმონი.

■ ■ ■

კიდევ ერთ მეოთხედფინალში მოიპოვა გამარჯვება სტუმარმა გუნდმა - სერბებმა დაამარცხეს აშშ-ის ნაკრები. როგორც მოსალოდნელი იყო, **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ორივე ერთეულთა მატჩი მოუგო **ჯონ ისნერსა** და **სემ კუერის**. აქაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა წყვილთა მატჩი და **ილია ბოჟოლიაკმა** და **ნენად ზიმონჯიჩმა** მეხუთე სეტი 15:13 მოუგეს მსოფლიოს საუკეთესო წყვილს - **ბობ** და **მაიკ ბრაიანს**. ამ დუეტმა დევისის თასზე მხოლოდ მეოთხე მატჩი წააგო.

| აშშ–სერბეთი | 1:3 |
|---|---|
| 0:1 ჯონ ისნერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი | 6:7(5), 2:6, 5:7 |
| 1:1 სემ კუერი-ვიქტორ ტროიცკი | 7:6(1), 3:6, 4:6, 6:1, 6:4 |
| 1:2 ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი-ბოჟოლიაკი/ზიმონჯიჩი | 6:7(5), 6:7(1), 7:5, 6:4, 13:15 |
| 1:3 სემ კუერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი | 5:7, 7:6(4), 1:6, 0:6 |

| არგენტინა–საფრანგეთი | 3:2 |
|---|---|
| 0:1 კარლოს ბერლოკი-ჟო ვილფრიდ ცონგა | 6:4, 2:6, 3:6, 7:5, 2:6 |
| 1:1 ხუან მონაკო-ჟილ სიმონი | 7:6(2), 6:2, 6:4 |
| 2:1 ნალბანდიანი/სებალიოსი-ბენეტო/ლოდრა | 3:6, 7:6(3), 7:5, 6:3 |
| 2:2 ხუან მონაკო-ჟო ვილფრიდ ცონგა | 3:6, 3:6, 0:6 |
| 3:2 კარლოს ბერლოკი-ჟილ სიმონი | 6:4, 5:7, 6:4, 6:4 |

| ყაზახეთი–ჩეხეთი | 1:3 |
|---|---|
| 0:1 მიხაილ კუკუშკინი-იან ჰაიეკი | 3:6, 2:6, 4:6 |
| 0:2 ანდრეი გოლუბევი-ლუკაშ როსოლი | 6:4, 4:6, 2:6, 6:7(6) |
| 1:2 კოროლიოვი/შჩუკინი-მინარი/შტეპანეკი | 7:6(2), 6:4, 6:3 |
| 1:3 მიხაილ კუკუშკინი-ლუკაშ როსოლი | 6:7(5), 7:6(2), 6:7(5), 2:6 |

| კანადა–იტალია | 3:1 |
|---|---|
| 0:1 ვაშეკ პოსპიშილი-ანდრეას სეპი | 7:5, 6:4, 4:6, 3:6, 3:6 |
| 1:1 მილოშ რაონიჩი-ფაბიო ფონინი | 6:4, 7:6(4), 7:5 |
| 2:1 ნესტორი/პოსპიშილი-ბრაჩიალი/ფონინი | 6:3, 6:4, 3:6, 3:6, 15:13 |
| 3:1 მილოშ რაონიჩი-ანდრეას სეპი | 6:4, 6:4, 3:6, 7:5 |

1/2 ფინალი

ჩეხეთი-არგენტინა

სერბეთი-კანადა

# სერენა იუბილეს მიუახლოვდა

საპარდო ტურნირების შემდეგ, ჩოგბურთელები თანდათან გადადიან გრუნტზე. გასულ კვირას WTA-ის ტურში ორი ტურნირი გაიმართა და ერთ-ერთი სწორედ გრუნტისსაფარიან კორტზე ტარდებოდა.

ჩვეულებრივ, ჩარლსტონში ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა – სატურნირო ბადეში ვიხილეთ TOP25-ის ცხრა ჩოგბურთელი. აქ გაგრძელდა ამერიკელი **სლოუნ სტივენსის** წარუმატებელი სერია, რომელმაც მხოლოდ ორი გეიმი აართვა **ბეტანი მატეკს**. ასევე ადრე დატოვა ტურნირი **სამანტა სტოსურმა** – მეორე წრეში ტრავმის გამო ვერ გააგრძელა შეხვედრა **იუჯინი ბუშართან**. ისევ უმტყუნა ჯანმრთელობამ **ანდრეა პეტკოვიჩს**, რომელიც მარჯვენა ფეხის ტრავმის გამო ვერ გავიდა სათამაშოდ **კაროლინ ვოზნიაცკის** წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ტურნირის ერთ-ერთი მთავარი მატჩი ნახევარფინალში შედგა, სადაც 24-ედ გადაიკვეთა დები **უილიამსების** გზები. უპირატესობა **სერენას** ჰქონდა – 13:10, რომელმაც ბოლო წლებში შეძლო ამ დაპირისპირებაში გარდატეხის შეტანა, რადგან ვენუსი ის აღარ არის, რაც ადრე იყო. უფროსი უილიამსი ახლა რეიტინგის მესამე ათეულშია და "პრემიერ" კატეგორიის ტურნირში ნახევარფინალი მისთვის დიდ მიღწევად მიიჩნევა. შესაბამისად, სერენას ძალიან იოლი გასეირნება გამოუვიდა – 6:1, 6:2. აღსანიშნავია, რომ პირველ სეტში ფავორიტს არც ერთი უნებლიე შეცდომა არ ჰქონია.

მეორე ნახევარფინალში **ელენა იანკოვიჩი** გაჭირვებით გაუმკლავდა **სტეფანი ფოგელს**, რომელმაც ერთი დღით ადრე ტურნირს გამოთიშა კაროლინ ვოზნიაცკი. სერბმა ზედიზედ მეორე ტურნირი ითამაშა კარგად – მაიამიში ნახევარფინალში გავიდა, აქ კი ფინალში გააღწია და TOP20-ში გაიმყარა პოზიციები.

ფინალში იანკოვიჩის წარმატებისა არავის სჯეროდა, მიუხედავად ამისა, პირველ პარტიაში ის გაცილებით სტაბილური იყო, არ ჩამორჩებოდა მეტოქეს "ვინერსების" რაოდენობით და მოულოდნელად, ორი ბრეიკით მოიგო სასტარტო სეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ელენა კარგად თამაშობს უმცროს უილიამსთან და მას ცხრიდან ოთხი შეხვედრა მოუგო. მაგრამ იანკოვიჩს ფინალში ამ სტატისტიკამ ვერ უშველა.


სერენამ ჩარლსტონში მესამე მოიგო

ამერიკელმა მოუმატა და მეორე სეტში საერთოდ გეიმი არ მისცა ევროპელს, მეორეში მცირე წინააღმდეგობა იყო, მაგრამ პირველი ჩოგნის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა – 3:6, 6:0, 6:2.

უილიამსმა ჩარლსტონში მესამე ტიტული მოიპოვა, კარიერაში 49-ე გამარჯვებას მიაღწია და ერთი მოგება სჭირდება იმისთვის, რომ მეათე ქალი ჩოგბურთელი გახდეს ისტორიაში, ვისაც 50 ტურნირი ექნება მოგებული.

■ ■ ■

მონტერეიში იმარჯვა რუსმა **ანასტასია პავლიუჩენკოვამ**, რომლისთვისაც ეს იყო 2011 წლის შემდეგ პირველი ტიტული. მან საწყისი მატჩები დამაჯერებლად ჩაატარა, მაგრამ ნახევარფინალში გაუჭირდა **მონიკა ნიკულესკუსთან** მატჩში. რუსმა პირველი სეტი წააგო, მეორეში გაათანაბრა ანგარიში, მესამეში კი მეტოქეს 0:4-დან დაწევის საშუალება მისცა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია გამარჯვებას.

ფინალში პავლიუჩენკოვა გერმანელ **ანჟელიკ კერბერს** ხვდებოდა და ისევ წააგო პირველი სეტი, შემდეგ კი თამაშში გარდატეხა შეიტანა. მესამე პარტიაში ანასტასიამ ორჯერ ვერ ჩააწოდა მატჩზე, მაგრამ მიღებაზე დაასრულა შეხვედრა თავის სასარგებლოდ. საინტერესოა, რომ პავლიუჩენკოვამ კარიერაში მეოთხე ტიტული მოიგო და აქედან სამჯერ მონტერეიში იმარჯვა.

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). გრუნტი

**საპრიზო ფონდი**: $795 707

ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 9) 3:6, 6:0, 6:2.

**Monterrey Open**

მონტერეი (მექსიკა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: $235 000

**ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 5)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 1) 4:6, 6:2, 6:4.

# მონტე კარლო ჯოკოს გარეშე?


ნოვაკ ჯოკოვიჩი

დევისის თასის მატჩების შემდეგ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მსოფლიოს პირველი ჩოგანის, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მონაწილეობა მონტე კარლოს მასტერსში.

„იწყება გრუნტის ახალი სეზონი და დიდი სურვილი მაქვს ვითამაშო მონტე კარლოში, სადაც ამჟამად ვცხოვრობ. მიყვარს ეს ტურნირი და ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მაგრამ უნდა შევამოწმო - რამდენად სერიოზულია ფეხის კოჭის დაზიანება. მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილავ ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობას", - ამბობს ჯოკოვიჩი ფრანგული „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

წლევანდელი სეზონის წინ, სერბმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ 2013 წლის სეზონში მისი მთავარი ამოცანა როლან გაროსის მოგებაა. ეს არის „დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირი, რომელიც ჯოკოვიჩს არასოდეს მოუგია.

მონტე კარლოს მასტერსი 15 აპრილს დაიწყება.

ამბები

კრივი

## ტაისონი ჩამოდნა

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **მაიკ ტაისონმა** განაცხადა, რომ ბოლო დროს 45 კილოგრამი ზედმეტი წონა დაიგდო. ლეგენდარული მოკრივის თქმით, ეს შესაძლებელი გახდა იმის ხარჯზე, რომ ის ვეგეტარიანელი გახდა.

„საკუთარი ცხოვრების შეცვლა მინდოდა, მსურდა სხვა ადამიანი გავმხდარიყავი, - ამბობს „რკინის მაიკი". - ამიტომაც გავხდი ვეგეტარიანელი. აღარ ვილებ ნარკოტიკებს, ქუჩა-ქუჩა არ დავწანწალებ, არ ვეკარები კლუბებს. ყველაფერი, რასაც ახლა ვაკეთებ, ძირითადად, ოჯახის ინტერესებს ექვემდებარება".

იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება, ტაისონმა **ოპრა უინფრის** ცნობილ სატელევიზიო შოუში ილაპარაკა.

ჰოკეი

## ჩეხი ვეტერანი მიდის

„კოლორადო ეველანშის" 37 წლის ფორვარდი **მილან ჰეიდუკი**, რომელიც ბოლო მატჩებში ტრავმის გამო არ მონაწილეობს, შესაძლოა, საერთოდ ვერ დაბრუნდეს ყინულზე. თავდამსხმელმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ამ ზაფხულს აპირებს კარიერის დასრულებას, მაგრამ არსებობს იმის ალბათობა, რომ ეს ახლა მოხდება.

მიმდინარე სეზონში ჰეიდუკმა 27 მატჩი ჩაატარა და 11 ქულა (4+7) დააგროვა, სულ კი მას NHL-ში 1018 მატჩში 805 ქულა (375+430) აქვს მოპოვებული.

კალათბურთი

## უეიდი რეგულარულს ვერ ჩაამთავრებს

„მაიამი ჰიტის" მცველმა **დუეინ უეიდმა**, შესაძლოა, ვერ ითამაშოს რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში. ამის მიზეზი მარჯვენა მუხლის ტრავმაა, - იტყობინება ESPN.

უეიდმა სწორედ ამ მიზეზით გამოტოვა „ჰიტის" ბოლო რვა მატჩიდან ექვსი შეხვედრა. თავად კალათბურთელს იმედი აქვს, რომ მოასწრებს რეგულარული ჩემპიონატის დასკვნითი მატჩებისთვის გამოჯანმრთელებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მშვიდობით, ლეიკერსო?!

NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში გრძელდება „ნიუ იორკ ნიქსის“ ბრწყინვალე სვლა. „ოკლაჰომასთან“ გასვლით მატჩამდე **მაიკ ვუდსონის** გუნდს ზედიზედ 11 შეხვედრა ჰქონდა მოგებული და ამ სერიის გაგრძელებას ლამობდა. „ოკლაჰომა“ მხოლოდ ერთი მოგებით ჩამორჩებოდა დასავლეთის ლიდერ „სან ანტონიოს“ და მხოლოდ ხუთი მატჩი ჰქონდა შინ წაგებული. **დურანტი** და **ენტონი** ერთმანეთს ეჯიბრებიან რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირობისთვის. ასე რომ, შეხვედრას ინტრიგა არ აკლდა.

მასპინძლებმა თამაშიდან 57 პროცენტის სიზუსტით ისროლეს, სამქულიანების 52 პროცენტი ჩააგდეს, **უესტბრუკმა** და დურანტმა ჯამში 64 ქულა დააგროვეს - თითქოს ამ სტატისტიკას „ოკლაჰომასთვის“ იოლი გამარჯვება უნდა მოეტანა, მაგრამ მასპინძლებმა დათმეს ეს უმნიშვნელოვანესი მატჩი.

კარმელო ენტონიმ, მართალია, ვერ შეძლო ზედიზედ მეოთხე მატჩში 40-ქულიანი ზღვარის გადალახვა, მაგრამ 36 ქულა ჩაიწერა აქტივში, რასაც 12 მოხსნა (ცხრა - მეტოქის ფარზე) დაუმატა. საერთო ჯამში, „ნიქსმა“ შეტევაში 19 მოხსნა მიითვალა, თან 48 წუთის განმავლობაში მხოლოდ 6 (!) შეცდომა დაუშვა. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს სტუმრების გამარჯვება. და კიდევ, „ნიქსმა“ საჭირო დროს ითამაშა კარგი დაცვა. მას შემდეგ, რაც სირენამდე ოთხი წუთით ადრე, უესტბრუკმა თავის გუნდს მინიმალური უპირატესობა მოუტანა, **ბრუქსის** შეგირდებმა მომდევნო სამწუთნახევრის განმავლობაში მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდეს! ასე რომ, „ნიუ იორკმა“ 11:2 გაქცევა მოაწყო, რომელიც **ჯეი არ სმიტის** ურთულესი სამქულიანით დასრულდა.

საბოლოოდ, „ნიქსმა“ ზედიზედ მე-12 გამარჯვება მოიპოვა. ეს მესამე ყველაზე გრძელი სერიაა კლუბის ისტორიაში. 1969-70 წლების სეზონში 18 მატჩი მოიგო, 1993-94 წლებში - 15. და ორივეჯერ პლეი ოფის ფინალამდე მიაღწიეს.

■ ■ ■

ნაკლებად დაძაბული გამოვიდა ლოსანჯელესური დერბი. „კლიპერსს“ დიდი მოტივაცია ჰქონდა - მას შეეძლო თავის ისტორიაში პირველად მოეგო წყნარი ოკეანის დივიზიონის ტიტული, გარდა ამისა, 4:0 დაესრულებინა რეგულარულის სერია „ლეიკერსის“ წინააღმდეგ.

ამ ყველაფერმა მასპინძლების განწყობაზე კარგად იმოქმედა. მეორე მეოთხედის დასაწყისში ზედიზედ ოთხი ბურთი ჩააგდო **მეტ ბარნსმა**, რის შემდეგაც, „კლიპერსს“ ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია. დიდი შესვენების შემდეგ, **ბრაიანტმა** და კომპანიამ მხოლოდ ერთხელ შეამცირა სხვაობა 9 ქულამდე. თავად კობი გაურკვევლობაში იყო - **ნეშის** არყოფნაში გამთამაშებლის ფუნქციები შეეთავსებინა (9 შედეგიანი პასი დააგროვა) თუ ბომბარდირის თვისებები გამოევლინა. მეორე ტაიმში მან 21 ქულა დააგროვა, მაგრამ 19-დან 13 ბურთი ააცილა. გაცილებით ნაყოფიერი იყო **გასოლი**, რომელსაც სულ ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე. **ჰოვარდმა** კი 25 ქულა დააგროვა, მაგრამ მისი შექება არ შეიძლება, რადგან მეტოქისთვის დათმობილი ფარი, დიდწილად, მისი ბრალია.

„ლეიკერსმა“ უმნიშვნელოვანესი თამაში წააგო და ამით „იუტას“ დასავლეთში მერვე ადგილზე გადასვლის საშუალება მისცა. „ჯაზმენებმა“ ურთულეს ბრძოლაში მოუგეს სტუმრად „გოლდენ სტეიტს“, თანაც იმ იარაღით, რასაც სწორედ „მეომრები“ იყენებენ. „ჯაზმა“, 25-დან 11 სამქულიანი მოათავსა კალათში.

**ოკლაჰომა-ნიუ იორკი 120:125**

31:30, 25:35, 33:31, 31:29

ო: უესტბრუკი (37+11 მოხსნა+8 პასი), დურანტი (27+7 პასი+4 დაფარება), მარტინი (15), იბაკა (13+6 მოხსნა+5 დაფარება), ჯექსონი (13).

ნ-ი: ენტონი (36+12 მოხსნა), სმიტი (22+7 მოხსნა), ფელტონი (16+8 პასი), ჩენდლერი (15+5 მოხსნა), კიდი (14+6 მოხსნა), კოუპლენდი (13).

**კლიპერსი-ლეიკერსი 109:95**

30:25, 26:24, 26:21, 27:25

კ: გრიფინი (24+12 მოხსნა+5 პასი), პოლი (24+5 მოხსნა+12 პასი+3 ჩაჭრა), კროუფორდი (20), ბატლერი (14), ბარნსი (12), ჯორდანი (4+13 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (25+7 მოხსნა+10 პასი), ჰოვარდი (25+4 დაფარება), პ. გასოლი (12+13 მოხსნა+8 პასი), კლარკი (11).

**ბოსტონი-ვაშინგტონი 107:96**

28:27, 28:25, 31:19, 20:25

ბ: ბასი (20+6 მოხსნა), პირსი (15+5 პასი), უილკოქსი (13+5 მოხსნა), გარნეტი (12+6 მოხსნა), ბრედლი (10).

ვ: უოლი (16+10 პასი), პრაისი (15), არიზა (14+3 ჩაჭრა), უებსტერი (12+6 მოხსნა), სერაფინი (10).

**კლივლენდი-ორლანდო 91:85**

22:24, 22:24, 18:18, 29:19

კ: გი (19+7 მოხსნა), ტომპსონი (15+16 მოხსნა+3 დაფარება), ლივინგსტონი (12+6 მოხსნა+6 პასი), ირვინგი (9+10 პასი).

ო: ჰარისი (26+12 მოხსნა), ვუჩევიჩი (21+21 მოხსნა+6 პასი), უდრიხი (13+6 პასი).

**საკრამენტო-მემფისი 87:89**

16:25, 28:18, 20:25, 23:21

ს: კაზინსი (22+9 მოხსნა), ტომასი (18+6 მოხსნა+8 პასი), დაგლასი (14+4 ჩაჭრა), ფრედეტი (13).

მ: კონლი (25), პონდექსტერი (17+5 მოხსნა), მ. გასოლი (15+10 მოხსნა+5 დაფარება), ალენი (12+6 მოხსნა+3 დაფარება).

**დეტროიტი-ჩიკაგო 99:85**

23:26, 27:20, 25:21, 24:18

დ: ნაიტი (20+5 პასი), ჟერებკო (17+9 მოხსნა), სტაკი (14+5 პასი), ვილანუევა (12), მონრო (11+7 მოხსნა+7 პასი), მიდლტონი (10), დრამონდი (3+10 მოხსნა).

ჩ: ბუზერი (21+10 მოხსნა), რობინსონი (18), ბატლერი (14), ნოა (13+7 მოხსნა).

**გ. სტეიტი-იუტა 90:97**

27:24, 21:32, 21:21, 21:20

გ-ს: კარი (22+5 პასი), ლი (21+13 მოხსნა), ტომპსონი (20), ლენდრი (10+7 მოხსნა).

ი: მო უილიამსი (25+5 პასი), ჯეფერსონი (19+12 მოხსნა+5 პასი), გ. ჰეივორდი (13+6 პასი), ფეივორსი (12+13 მოხსნა+3 დაფარება), მილსეპი (11+6 მოხსნა).

**ფინიქსი-ნიუ ორლეანი 92:95**

26:17, 17:22, 19:35, 30:21

ფ: მარკიფ მორისი (18+5 მოხსნა), სკოლა (17+10 მოხსნა), დადლი (15), დრაგიჩი (11+8 პასი).

ნ-ო: დევისი (20+3 ჩაჭრა), ანდერსონი (17+10 მოხსნა), გორდონი (17+6 პასი), ვასკესი (10+7 პასი), ამინუ (6+10 მოხსნა).

**პორტლენდი-დალასი 91:96**

18:29, 14:27, 29:25, 30:15

პ: ბარტონი (22+13 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ოლდრიჯი (18+6 მოხსნა), ლილარდი (15), ბებიტი (10+6 მოხსნა).

დ: კამანი (26+11 მოხსნა), მერიონი (20+7 მოხსნა), კარტერი (14+6 მოხსნა), რაიტი (12+9 მოხსნა).




კარმელო სასწაულებს ახდენს

ამბები

სამთო თხილამურები

## პაკისტანი სოჭში ისრიალებს

სამთო თხილამურებში პაკისტანის ნაკრებმა 2014 წელს, სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება მიიღო, - ამის შესახებ სააგენტო „ფრანს-პრესმა“ გამოაცხადა. ეს ქვეყანა მეორედ იქნება წარმოდგენილი „თეთრ“ ოლიმპიადაზე.

ერთ საგზურზე პრეტენზიას აცხადებს სამი სპორტსმენი, რომლებმაც აუცილებელი ნორმატივის შესრულება შეძლეს - **მუჰამედ ქარიმი, მირ ნავაზი და მუჰამედ აბასი**. ეს უკანასკნელი 2010 წელს, ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამოდიოდა. მაშინ, პაკისტანელმა გიგანტურ სლალომში 103 მონაწილეს შორის 79-ე ადგილი დაიკავა.

პაკისტანში სამთო თხილამურების ეროვნული ფედერაცია 1990 წელს შეიქმნა და მას ქვეყნის საჰაერო-სამხედრო ძალები კურირებს. მაგალითად, მუჰამედ აბასი სამხედრო მფრინავია.

მძლეოსნობა

## სიკვდილი მარათონის დროს

ბერლინის ქუჩებში გაიმართა ნახევარმარათონი, რომლის დროსაც ერთ-ერთი მორბენალი გარდაიცვალა. ცნობილია, რომ მამაკაცი 24 წლის იყო.

მორბენალი ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე დაეცა და მას იქვე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზს არ ასახელებენ. გარბენის დროს, კიდევ ერთმა მონაწილემ იგრძნო თავი ცუდად, მაგრამ მისი გადარჩენა მოახერხეს. 2010 წელს, ბერლინის ნახევარმარათონში ასევე ერთი მორბენალი გარდაიცვალა.

რიგით 33-ე გარბენი 7 აპრილს გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო 32 ათასმა ადამიანმა, რომლებიც 101 ქვეყანას წარმოადგენდნენ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი | 1:2 |
| **იტალია** | |
| რომა-ლაციო | 1:1 |
| **სერია B** | |
| პადოვა-ვარეზე | 1:1 |
| **სერია C1/A** | |
| ზუდტიროლი-ტრაპანი | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| სევილია-ბილბაო | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰერტა-ბრაუნშვაიგი | 3:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰავრი-კაენი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| დორდრეხტი-კამბური | 0:3 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ-ბრაგა | 3:1 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-სილკებორგი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიკსტადი-ჰიოდი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-მიალბიუ | 0:1 |
| ნორჩოპინგი-გეფლე | 2:1 |
| ოსტერსი-ჰელსინგბორგი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ერებრო-ვარნამო | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კაპფენბერგი-ალტახი | 2:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბელინცონა-ლუგანო | 0:0 |
| **საბერძნეთი** | |
| იანინა-აეკ | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| ბურსა-ბეშიქთაში | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა-დენიზლი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| იჰლავა-ბრნო | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| მორდოვია-კრასნოდარი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ენისეი-ტომი | 1:1 |
| პეტროტრესტი-ტორპედო | 1:0 |
| ნეფტეხიმიკი-ბალტიკა | 1:0 |
| ურალი-სიბირი | 5:2 |
| შინიკი-ხიმკი | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| ვიძევი-პოლონია | 3:2 |
| **რუმინეთი** | |
| კონკორდია-გაზ მეთანი | 0:1 |
| კონსტანტა-ოცელული | 0:0 |
| **ბელარუსი** | |
| ტორპედო-დნეპრი | 1:0 |
| ბრესტი-შახტიორი | 0:1 |
| გომელი-ნაფტანი | 1:1 |
| **ისრაელი** | |
| ბეითარი-ჰაპოელი (ა) | 2:2 |
| **კალათბურთი** | |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ალიაგა | 79:66 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-სტრასბური | 84:81 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| დინამო (მ)-ტრაქტორი | 3:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ვოლერენგა | 5:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-კოშიცე | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-ესეტი | 0:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| კავჩიჩი-ზიადი | 6:2, 6:4 |
| რობრედო-რუფენი | 7:6, 6:4 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| რ. უილიამსი-პეია | 7:5, 7:5 |
| **WTA. კატოვიცე** | |
| სვიტოლინა-მარტიჩი | 7:6, 3:6, 2:6 |
| პლიშკოვა-ზაკოპალოვა | 6:7, 2:6 |
| ბეკი-დომახოვსკა | 6:3, 7:5 |
| ტორო ფლორი-პლიშკოვა | 1:6, 6:3, 0:6 |
| რობსონი-დომინგეს ლინო | 7:5, 6:7, 1:6 |

## TV პროგრამა

**9 აპრილი. სამშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰანოვერი-შტუტგარტი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. ტოტენჰემი-ევერტონი.
18:00 საფეხბურთო პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. დორტმუნდი-აუგსბურგი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-რეალი (LIVE).
00:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტური. აიაქსი-ჰერაკლესი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ლანუსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ნიუ იორკი.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ჩელსი-რუბინი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. კლერმონი-მონპელიე.
19:00 ყველაზე სწრაფები.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პონტე პრეტა-პალმეირასი.
22:00 NBA ACTION.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-დალასი.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
12:40 სპორტ-NEWS.
13:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
16:10 სპორტ-NEWS.
16:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. დორტმუნდი-შახტარი.
18:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.
20:40 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. ამერიკა-სერბეთი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 14 | 19 | (წვიმა) |
| ბათუმი | 12 | 14 | (წვიმა) |
| ფოთი | 13 | 16 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 12 | 12 | (წვიმა) |
| გორი | 10 | 20 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 13 | 24 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 12 | 26 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | 4 | 12 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 8 | 15 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 8 | 16 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 5 | 16 | (წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1339 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6514 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5143 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2225 |

მოტოგრანპრი

# იამაჰას დუბლით დაიწყო

კატარის გრანპრით გაიხსნა დოჰაში მოტოგრანპრის მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი "იამაჰას" ტრიუმფით აღინიშნა, თუმცა კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით, რბოლის ასეთი დასასრული ნაკლებად იყო მოსალოდნელი. მართალია, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ხორხე ლორენსომ** პოული მოიპოვა, მაგრამ მისი თანაგუნდელი **ვალენტინო როსი** მხოლოდ მეხუთე ადგილზე იდგა სასტარტო ბილიკზე.

სტარტის შემდეგ, ლორენსომ შეინარჩუნა ლიდერობა, მეორე ადგილზე კი გადავიდა "ჰონდას" ლიდერი **დანი პედროსა**, რომელმაც ისარგებლა **კრატჩლოუს** შეყოვნებით (ბრიტანელს **დოვიციოზომ** და როსიმაც გაუსწრეს). ასე რომ, პირველი წრე პილოტებმა ასეთი თანმიმდევრობით დაასრულეს: ლორენსო, პედროსა, დოვიციოზო, როსი, კრატჩლოუ, **ბრადლი...**

მეორე წრეზე როსი დამუხრუჭებისას შეცდა და მეშვიდე ადგილამდე ჩამოქვეითდა. დოვიციოზომაც მესამე წრეზე დაკარგა რამდენიმე პოზიცია. ამასობაში, ჩაგდებული სტარტის შემდეგ, თანდათან მოვიდა გონს "ჰონდას" მეორე პილოტი, დებიუტანტი **მარკ ლოპესი** – ის ძალიან მალე შევიდა პირველ სამეულში. სიტუაცია ტრასაზე სტაბილური გახდა: წინ კომფორტული უპირატესობით მოძრაობდა ლორენსო, მას კი მისდევდნენ პედროსა, მარკესი და კრატჩლოუ. მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა როსი, რომელმაც დოვიციოზოსა და ბრადლს გაუსწრო.



როსი და ლორენსო ზეიმობენ

შემდეგ კი დაიწყო როსის შოუ. კრატჩლოუს შეცდომის შემდეგ, ის მეოთხე ადგილზე გადავიდა, შემდეგ გაუსწრო პედროსას, მოგვიანებით კი არც მარკესი დაინდო და მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა (მანამდე, მარკესმა სწორ მონაკვეთზე გაუსწრო პედროსას, რითაც საბოლოოდ გაანაწყენა თავისი თანაგუნდელი). სამწუხაროდ, ლორენსოსა და როსის დუელი არ შედგა, რადგან ხორხე დიდი მანძილით იყო წინ და მისი დაწევა შეუძლებელი გახლდათ.

**კატარის გრანპრი**

| | |
|---|---|
| 1. ლორენსო (ესპ, Yamaha) | 22 წრე |
| 2. როსი (იტა, Yamaha) | +5,990 |
| 3. მარკესი (ესპ, Honda) | +6,201 |
| 4. პედროსა (ესპ, Honda) | +9,473 |
| 5. კრატჩლოუ (ბრიტ, Yamaha) | +18,764 |
| 6. ბაუტისტა (ესპ, Honda) | +22,148 |
| 7. დოვიციოზო (იტა, Ducati) | +24,355 |
| 8. ჰეიდენი (აშშ, Ducati) | +24,920 |

გია თვალაბეიშვილი

JOMA SPORT GEORGIA — ნაკრძოგილდებენ — GOLD LEAGUE

IX ტური


„ნატახტარი" – ვერცხლის ლიგაში ჯიქველია

კვირას ოქროს და ვერცხლის ლიგებში საბოლოოდ გაირკვა პლეი ოფების წყვილები;

| ოქროს ლიგა | ვერცხლის ლიგა |
|---|---|
| PATRULI-MFC ALGO | NATAKHTARI-ENGLISH BOOK |
| PSP-GMG | BANK of GEO-DHL Georgia |
| NATAKHTARI 2-UN of GEO | BP Georgia-AUTO BILD |
| ERISTAVI-TTC | VTB BANK - ARENA |

თამაშები 21 აპრილის სპორტკომპლექს „არენაზე" გაიმართება. გამარჯვებული გუნდები ორი თამაშის ჯამში გამოვლინდებიან.

**ბრინჯაოს ლიგა**

გაიმართა ბრინჯაოს ლიგის პირველი ტურის ერთი მატჩი:

GPI Holding-GEO Hospital

**4:2**

BUSINESS CHAMPIONS LEAGUE

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | PATRULI | 9 | 8 | 0 | 1 | 32-8 | 24 |
| 2 | PSP | 9 | 6 | 1 | 2 | 35-20 | 19 |
| 3 | NATAKHTARI 2 | 9 | 6 | 1 | 2 | 29-22 | 19 |
| 4 | ERISTAVI | 9 | 4 | 2 | 3 | 34-24 | 14 |
| 5 | TTC | 9 | 4 | 2 | 3 | 25-20 | 14 |
| 6 | UN OF GEORGIA | 9 | 4 | 1 | 4 | 40-30 | 13 |
| 7 | GMG | 9 | 4 | 0 | 5 | 29-31 | 12 |
| 8 | MFC ALGO | 9 | 2 | 2 | 5 | 31-44 | 8 |
| 9 | PALAVANI | 9 | 2 | 0 | 7 | 23-35 | 6 |
| 10 | IBSU | 9 | 0 | 1 | 8 | 23-66 | 1 |

ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| უხურგუნაშვილი | UN OF GE | 19 |
| საიდანაშვილი | PSP | 19 |
| ჩაწაძე | ALGO | 9 |
| გოლდაბაძე | ERISTAVI | 8 |
| ირბაქიძე | GMG | 7 |

ვერცხლის ლიგის V ტურის გადადებული მატჩი

ნატახტარი - VTB 5 : 1

ტურის სიმბოლური ნაკრები



7.04.2013




SPORT BUSINESS MANAGEMENT GEORGIA

VTB Joma SBM SELLS

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608